წელიწადი მეორე ფასი 10 კაპ. კვირა, 11 ენკენისთვე 1916 წ. № 202

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 5 მ.; 20×2 ღირს 7 მ., 25×2 ღირს 8 მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ელირ. მეტი.

დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

ხელმოწერის ფასი: ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 80 კ. 3 თვით—3 მ. 60 კ. 1 თვით—1 მ. 20 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

პროვინციებში: წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან.

სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა ღირს 5 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 6—მან.

გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე.

ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габлева Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

კვირას, 11 ენკენისთვეს, გარდაცვალებიდან 40 თავზე,

ეკატერინე ივანეს ასულის
სარაჯიშვილის

სულის მოსახსენებლად დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ განსვენებულის ძმები. წირვის დასაწყისი 10 საათზე, პანაშვიდისა 11 ნახევარზე, დილით. (2—324—2)

თ დი ლევან თამაზის ძე ვაჩნაძე და კნ. ანნა ივანეს ასული ანდრონიკაშვილისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 11 ენკენისთვეს, ქვაშვეთის ეკლესიაში წირვის შემდეგ გადახდილ იქნება პანაშვიდი პირველის დედის და მეორის ბებიის

კნ. მაკრინე ზურაბის ასულის
ვაჩნაძის

სულის მოსახსენებლად.

(1—325—1)

დავით ერაძე და მეუღლე ნინო სოლომონის ასული და შვილები ანნა, გიორგი, მარიამი, ალექსანდრე, ოლა, ლუბა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველების შვილის და მეორეების ძმის პრაპორჩიკის

სვიმონ დავითის ძის
ერაძის

გარდაცვალებას.

დაკრძალვა მოხდება წმინდა ნინოს სასაფლაოზე, წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება ვერის ნიკოლოზის ეკლესიაში.

მიცვალებული ავსტრიის ფრონტიდან მოასვენეს.

(1—327—1)

საზოგადო კრება

სათავად-აზნაურო ვაჟთა და დედათა გიმნაზიების მოწაფეთა მშობლებისა

დანიშნულია კვირას, 11 ენკენისთვეს, დილის 11 ს.

დელეგატების ა. არჩევად

მშობელთა წრის საბჭო სთხოვს ყველა მშობელთ უეჭველად დაესწრონ კრებას (1—326—1)

დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში

(ბელინსკის ქუჩა 2)

ხამშაბათს, 13 სექტემბერს,

თბილისის ქართველ ქალთა
საზოგადოება

ჰმართავს ჩვეულებრივ კრებას, რომელზედაც

ქ-ნი დომინიკა ჩიხლაძე

წაიკითხავს მოხსენებას

ქეთევან წამებულზე

(2—28—1)

ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი № 131. საზაფხულო შენობა)

კვირას, 11 ენკენისთვეს,

რუსულად „კაბარე“ და საზანდარი

ორშაბათს, 12 ენკენისთვეს,

სომხურად ოპერეტა „ან ეს, ან ის“
და სამხედრო ორკესტრი

დასაწყისი წარმოდგ. 9 საათზედ, სინემატოგრაფ. 8 ნახ. საათზე.

წარმოდგენაზე შესვლა უფასოა.

(3—246—3)

„ახალ კლუბის“ მამასახლისთა
საბჭოს

საჭიროდ მიაჩნია მოაგონოს კლუბის წევრთ, რომ 11 ამა ენკენისთვეს, დღის 12 საათზე, კლუბის სადგომში, დანიშნულია კოოპერატიულ საზოგადოების

„მეურნეს“ წევრთა საზოგადო კრება

საზოგადოების გამგეობის ორის წევრის ასარჩევად.

სასცენო სტუდია ს. ნ. ვორონოვისა
ქართულსა და რუსულს ენაზე

I განყოფილება — **დიქცია და დეკლამაცია.**
II „ — **პლასტიკა და გიმნასტიკა.**
III „ — **თეატრის ისტორია.**
IV „ — **ესტეტიკა.**
V „ — **პრაქტიკული მეცადინეობა.**

ცნობების მიღება შეიძლება ოთხშაბათ-კვირაობით, სალამოს 6—7 ს. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში. ტელეფონი 8—43.

დანარჩენ დღეებში 12—1 საათამდის და სალამოს 6—7 საათამდის, ნიკოლოზის ქუჩა № 64, სადგომი ვორონოვისა.

(თ.—230—13)

პირველ ხარისხოვანი რესტორანი

კაფე პარიზი

ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.

(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის“ ქვეშ)

ნიცხისაგან თავის შეფარება მხოლოდ „კაფე პარიზში“ შეიძლება.

ფასები ყველასათვის ხელმისაწდომია

ყოველ დღე მზადდება

საუზმე **ჩაი**
სადილები **ყავა**
ვახშმები **ხაჭაპური**
პიროჟკები

ადგილობრივი და უცხოური ხამელები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.

პატივისცემით **ხიდ. ხ. გიგიბერია.**

ექიმი
ფონ-ირტელი

(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).

მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი (Бѣль), საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის 9½-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.

ერლიხის „914“ და „606“

შეშხაპუნება

ექიმი-დოსტაქარი

გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ სალამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

დ. ზისტაფონში

ექიმი
დ. კ. მაჭავარიანი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.

უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა

ექიმი

ა. დ. შაჰაბაზიანცი

ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. სალ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი

მ. ი. ვაჩნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა სალამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

ბიუროკრატიის ბატონობის შედეგები

ბიუროკრატიის ბატონობა რომ ქვეყნის დაქვეითებისა და გაველურების ფაქტორია, ამას მტკიცება არა სჭირია ოდნავ დაწინაურებულს საზოგადოებაში. რაც უფრო ახალგაზრდაა სახელმწიფო და მისი ბიუროკრატიული რეჟიმი, მით უფრო მძაფრი და უხეშია ბრძანების აბსოლუტური სურვილი, რომელიც მათში აღიძვრის თავიანთ ქვეშევრდომთა და ხელქვეითთა მიმართ. რუსეთის სახელმწიფო თავის ტერიტორიის განსრულებას დღესასწაულობდა, როდესაც იგი საქართველოში დამკვიდრდა. ღმერთი სწყალობდა მის იარაღს და ახალ-ახალი ტერიტორია ემატებოდა ველიკოროსთა პირვანდელ სამკვიდრებელს. დაპყრობა ქვეყნებისა და ხალხებისა მარტოოდენ იარაღით ხდებოდა. ფიზიკური ძალა იყო ველიკოროსთა სამფლობელოს საზღვარს რომ თან და თან უფართოვებდა. რუსის ხალხის გონებასა და კულტურას ამაში წილი არ ედვა და ვერც დაიდებდა. ვერ დაიდებდა იმიტომ რომ, ისტორიისა და ცხოვრების უცნაურობის თანახმად, სწორედ ბევრად უფრო კულტურული ხალხი და ქვეყანა ხდებოდა ჩამორჩენილ რუსეთის იარაღის მსხვერპლად. ასეთ პირობებში, ახალგაზრდა რუსეთის სახელმწიფოებრივ ბიუროკრატიას იარაღისა და ფიზიკური ძალის მაღალი კულტი უნდა შეჰქმნოდა და პოლიციური რეჟიმი და ყოფა-ქცევა მართვა-გამგეობის უმაღლეს სიბრძნედ გამოეცხადებინა. ასეც მოხდა.

ჭაბუკი ბიუროკრატია მთელის აბსოლუტობით შეუდგა თავის ბრძანებლობის გამეუფებას. თავის დანიშნულებად მან გამოაცხადა დაპყრობა, დამორჩილება, იარაღი, ფიზიკური ძალა, რადგანაც დიდი რუსეთის სახელი და ფარგალი ამ რეცეპტებით იყო შექმნილი. ღვთის წინაშე სხვა იარაღი მას არც გააჩნდა.

ბიუროკრატიამ მეტაფიზიკურად გაიგო თავისი როლი და დანიშნულება. ხალხის განათლება, მისი ქონებრივი კეთილდღეობა ბიუროკრატიის საზრუნავს აღარ შეადგენდა. იგი არავითარ შემოქმედებით მონაწილეობას არ იღებდა იმ ხალხთა კულტურულ-ეკონომიურ აღორძინებაში, რომელთა ზედა ძლიერად აღმართული ჰქონდა ბატონობისა და ბრძანებლობის კვერთხი. ის იყო ყოვლის მპყრობელი ბატონი, რომლის სიმტკიცეს და დღეგრძელობას ეწირვებოდა ხალხის ძალა და ენერგია, ხალხის ქონება.

და თავის საზღვრებში უკვე ჩამდგარ რუსეთს მთელის საშინელებით დააწვა მაჯლაჯუნა-ბიუროკრატია; გაჭირდა მოქალაქობრივი ცხოვრება, გაძნელდა სუნთქვა. ბიუროკრატიის ეს ბატონობა ერთი ორად უფრო საგრძნობელი იყო ჩვენს განაპირა ქვეყანაში, რომელიც მისთვის უცხო იყო მთელი თავის წარსულით, თავის სულით და მისწრაფებით. თუ რუსის ხალხი იხუთებოდა ამ ბიუროკრატიის ბრჭყალებში, ქართველ ხალხს პირდაპირ სული აშოსდიოდა. ძველი ენგრეოდა, ხელიდან მიუდიოდა და ახალი აღარ იქმნებოდა.

შეიძლება ითქვას, რომ ბიუროკრატიის მთელი ასი წლის მოურაობა საქართველოში მარტოდ-მარტო პოლიციურ საქმიანობაში გამოიხატა. ეს იყო სული და გული, მთელი შინაარსი მისი პროგრამისა. მას არ აწუხებდა ხალხის ჯანმრთელობა; არასოდეს არ უძებნია წამალი სენისა, რომელიც მთელ ქართველობას ანადგურებს. მას არ დაბადებია თაოსნობის სურვილი, ან სამეცნიერო ექსპედიცია მოეწყო, ან გაეჩინა მუდმივი მედიკური კვლევა-ძიების სადგური, ადგილობრივი ავადმყოფობათა ბუნების გამოსაცნობად და მათ წინაამდეგ საბრძოლველად. ამას რომ თავი გავანებოთ და უბრალო საექიმო დახმარების საქმე გავითვალისწინოთ, პირდაპირ განცვიფრებასა მოხვალთ. ასე გეგონებათ საშუალო საუკუნეთა უკუმეთში ვცხოვრობთ და არა ელექტრო-და ფიზიოტერაპიის საუკუნეში, ან რენტგენის სხივების ეპოქაში! დასასურათებლად ორიოდე მაგალითი მოვიყვანოთ.

მთელს თიანეთის მაზრაში, სადაც 46 ათასი მცხოვრები ითვლება, ორად ორი სოფლის ექიმია და ერთი საფერშლო პუნქტი. ამ მაზრის 4336 კვად. ვერსის სიგრძე-სიგანეზე ერთად-ერთი საფერშლო პუნქტია.

ზაქათალის ოლქში თავის 80 ათას მცხოვრებით ერთ სამკურნალოზე 32.341 მცხოვრები მოდის. შუაგულ საქართველოში გორის მაზრაში, სადაც 230 ათასი მცხოვრებია, 2721 კვად. ვერსის სიგრძე-სიგანეზე ერთი სამკურნალო მოსდის.

ბიუროკრატიას თავი არ შეუწუხებია არც იმისთვის, რომ ქვეყნისთვის სამეურნეო დახმარება გაეწია, ან საагრონომიო სადგურების სახით, ან სამეურნეო იარაღების საწყობების გამართვით, ან სამელიორაციო ბანკების დაარსებით, ან სარწყავ რუების გაყვანით. ამოივსო ქართლის დიდი არხი, ქვეყნის გულშემატკივარი მმართველის თაოსნობით გამოყვანილი, რომელიც დიდ ლიახვიდან იყო გამოყვანილი, სჭრიდა ხეობის მარჯვენა ფერდს, მთელ ტირიფონის ველს, უვლიდა კვერნაკის მთას, რწყავდა მთელ აშურიანის მინდორს და ბოლოს მტკვარს ერთვოდა. მუხრანის ველზე დღესაც ცოცხალია ნაშთები უზარმაზარი არხისა, რომელიც ქართველთა მეფეების ბატონობის დროს არის გაკეთებული! ეს და მრავალი სხვა არხი დღეს ამოივსო, აღარ მოქმედობს; საქართველოს პურს, სიმინდს, ბაღს და სხვა ჭირნახულს აკლდება მაცოცხლებელი წყალი და ზედ ძირზე ხმება და იხრუკება. ამ მხრივ ბიუროკრატიის სრული უნიჭობა და უმოქმედობა ქვეყნის კეთილდღეობას ძირს უთხრის. ეხლაც ვერ მოუყვანიათ აღსრულებაში ის გეგმა, რომელიც ინგლისელმა ინჟინრებმა ბელისმა და გაბბიმ შეიმუშავეს ამ ორმოცდა ათი წლის წინად, თავად ბარიატინსკის მთავარმართებლობის დროს! დღესაც თუ რამე კეთდება ჩვენში, ეს კიდევ ჩვენი ხალხის თაოსნობისა და სიცხოვლის წყალობით. ერთ უშესანიშნავეს ნაყოფიერ ადგილად გადაიქცა ცხენისწყალისა და გუბისწყალის ქვემო მიმდინარეობათა შორის მოქცეული ველი დაახლოვებით 32,100 დესეტინა იმ სარწყავ არხის წყალობით, რომელიც 1880 წელში ჩვენი ცნობილი მოღვაწის ნ. ნიკოლაძის მეთაურობით იქნა გამოყვანილი. აქ, ამ რაიონში მთავარი არხების სიგრძე 300 ვერსამდე უწევს და ადგილების ფასმაც ამ არე-მარეში ერთი ათად იმატა. წინანდელი 50 მანეთის ნაცვლად დესეტინა დღეს 600—700 მ. ფასობს. ბიუროკრატიის მავნებლობა მარტო ამ დარგებს როდი დატყობია. წერა-კითხვისა და სწავლა-განათლების საქმეში იგი კიდევ უფრო ცინიკურად გამოითქვა. ზაქათალის ოლქში ცხრა ათას მცხოვრებზე ერთი სკოლა მოდის. თელავის მაზრაში, საერობო გადასახადთა გამწერ სამაზრო საკრებულოს მოწმობით, ტრაქტირთა რიცხვი ხუთმეტჯერ აღემატება სკოლათა რიცხვს. თბილისის გუბერნიასა და ზაქათალის ოლქში სასკოლო ბავშვთა რაოდენობა უდრიდა 106.459, 1912—1914 წლებისათვის. აქედან 80.888 ბავშვი სკოლის გარეშე იყო, წერა-კითხვის მადლს მოკლებული!!

ამგვარად, ქვეყნის სამი ძირითადი საფუძველი სწავლა-განათლება, ეკონომიური საქმიანობა და ჯანმრთელობა არა სწამს ბიუროკრატიას, რომელსაც ჩვენი ხალხის ბედი ხელში ჩაუგდია და მას წალმა-უკულმა ატრიალებს. თავის არსებობის მიზანსა და დანიშნულებას იგი ხედავს ტლანქ პოლიციურ რეჟიმის გაბატონებაში. ჩვენი ხალხის თითქმის მთელი ენერგია ამას ეწირვება. აი რამოდენიმე მაგალითიც.

თელავის მაზრაში 70,000 მან. საერობო ჯამიდან, 35,000 მანეთი საერობო-საპოლიციო დარაჯის შენახვას უნდება. ზაქათალის ოლქში საერობო ჯამის 72 % ამავე საპოლიციო დარაჯის შენახვაზე იხარჯება. მთელ ქუთაისის გუბერნიაში ამ საქმეს 234,745 მანეთი უნდება, რაიცა მთელი საერობო თანხის ერთ მეოთხედს აღემატება. ბიუროკრატიას მარტო პოლიცია სწამს. კანონებიც თითქოს მარტო პოლიციის შესანახ რესურსების გამოსაძებნად იწერება! კავკასიიდან წასულ მოხსენებას, რომ ამიერ-კავკასიის საერობო თანხა საკულტურო და სამეურნეო საქმეს მოხმარებოდა და მის ხარჯზე საპოლიციო დარაჯის შენახვა შემცირებულიყო, ფინანსთა სამინისტრომ ასეთი შენიშვნა გაუკეთა: „კანონში აღნიშნული არ არის, რომ ამიერ-კავკასიის ერობას უფლება ჰქონდეს გასწიოს ხარჯები სახალხო განათლებისა და სასოფლო მეურნეობისათვის!“ ამ გვარად, ხალხის განათლებას და სასოფლო მეურნეობა კანონს გარეშე არის გამოცხადებული. ქვეყანას უფლება არ აქვს თავისი ფული აუცილებელ საჭიროებისთვის მოიხმაროს.

რუსეთის ბიუროკრატიას არ აქვს შეთვისებული ევროპის არც ერთი განათლებული მთავრობის სამოქმედო მორალი და პრაქტიკა. იგი ამ მხრივ ველურობის სამწუხარო ნაშთს წარმოადგენს ამ მეოცე საუკუნის რიჟრაჟზე. სახელმწიფო ხასიათის დახმარება ჩვენს ხალხს რომ ევროპიულ წესით ეძლეოდეს, ჩვენი ქვეყანა ნივთიერ დოვლათის და კულტურულ აყვავების იშვიათ სანახაობას მოიცემოდა. ხალხს, რომელსაც ისეთი გამრჯელი და მუყაითი გლეხობა ჰყავს, რომელმაც, როგორც მაგალითად ქუთაისის გუბერნიაში, საკუთარის ღონისძიებით, მთელი „ნადელი“ გამოისყიდა და საკუთრებად განიმტკიცა, თავის მომავალის მტკიცე რწმენა და შეურყეველი იმედი უნდა ჰქონდეს. ჩვენც ამ იმედით და რწმენით ველოდებით დუხჭირ საერთო პირობების შეცვლას.

ს. კედია.

ომის ამბები

ბრძოლის ველზე

რუმინეთის მთავარ შტაბის ოფიციალ დეპეშის ცნობით, დობრუჯში მოპირდაპირეს უკან დაუხევია. თითქმის იმავე დღეს ბულგარელებს სასტიკი იერიშები დაუწყვიათ გენ. სარაილის ჯარის წინააღმდეგ სოლუნის მიდამოებში. ალაგ-ალაგ ისეთი სიმწვავით იბრძვიან ბულგარელები, რომ მოკავშირენი იძულებულნი ხდებიან უკან დაიხიონ. ასეთ გვარ ბრძოლას მოპირდაპირის მიერ უფრო ტაქტიკური ხასიათი აქვს, ვიდრე სტრატეგიული. დრო და დრო შესევა სხვა და სხვა ადგილას გამოწვეულია იმ განზრახვით, რომ მოპირდაპირე შეასუსტოს, ჩაუშალოს უცაბედი თავდასხმით ადრევე შემუშავებული გეგმა და ამ რიგად დრო მოიგოს, უფრო უკეთესად შემოიკრიფოს ძალები და მოხერხებულ ალაგას ეკვეთოს მტერს. არა გვგონია ბულგარელებს და გერმანელებს იმდენი ძალები ჰყავნდეთ, რომ შესძლონ შეტევა, როგორც სარაილის, ისევე რუმინეთის წინააღმდეგ. ბულგარელების შესევას რუმინეთში აუცილებლივ მოკავშირეთა ჯარების მოქმედება უნდა მოჰყოლოდა. დახანება მეტად დიდს ხიფათს უმზადებდა ახალ მოკავშირეებს და გენ. სარაილსაც, რა გაეწყობოდა, საბერძნეთის დახმარებაზე ხელი უნდა აეღო და თავის ძალღონით გამკლავებოდა ბულგარელებს. მკითხველებმა უკვე იციან, რომ სერბეთის ჯარმა, რომელიც გენ. სარაილის ხელმძღვანელობით მოქმედობს, ბულგარელების მარჯვენა ფრთას ამ ორი-სამი დღის წინეთ შეუტია, უკან დაახევინა და ქალაქი ფლორინა აიღეს. სამაგიეროდ ბულგარელებმა იტალიელებს დოირანთან უკან დაახევინეს. რაკი კარგა ხნობით გაყინული ბრძოლის ხაზი მოკავშირეების შეტევით ამბაურდა, ცხადი იყო ბულგარელებიც თადარიგს დაიჭერდნენ და შესაფერს გეგმას აწარმოებდნენ. ადვილი მოსალოდნელია, დროებით ცენტრალურმა სახელმწიფოებმა მას შემდეგ, რაც მათ დობრუჯში ბულგარეთის საზღვრები უზრუნველ ჰყვეს რუმინეთის ჯარის შემოსევისაგან, თავიანთ მოქმედება სოლუნის მიდამოებში გადმოიტანონ. ასეთგვარ მოსაზრებას თითქოს ერთხმივ ამართლებს ავსტრიელების მიერ დაწყებულ იერიშებს ჩრდილო-დასავლეთის ასპარეზით რუმინეთის წინააღმდეგ. თუ ამ მიდამოებში ბრძოლა სერიოზულ ხასიათს მიიღებს, ცხადია მაშინ რუმინეთის მთავარი შტაბი ვეღარ აწარმოებს ფართო ოპერაციებს ბულგარელების წინააღმდეგ და მთელი თავისი ძალღონეს ავსტრიელებს მოანდომებს.

საზოგადოთ ბალკანეთში მდგომარეობა მეტად გამწვავდა და ჩვენ ძალიან მალე მოწამეები უნდა შევიქნათ იმ დიად და მასთანვე სასტიკ ბრძოლისა, რომელმაც სამუდამოთ უნდა გადასწყვიტოს ბალკანეთის საკითხი ან ერთის ან და მეორის მხარის სასარგებლოდ.

რუსეთის მთავარ შტაბის ცნობით, როგორც აღმოსავლეთ, ასევე კავკასიის ბრძოლის ველზე მდგომარეობა უცვლელია.

X.

ომის დეპეშები

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა

10 ენკენისთვე.

პეტროგრადი. დასავლეთის და კავკასიის ასპარეზზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

9 ენკენისთვე.

პარიზი. ოფიციალი ცნობა. სომას ჩრდილოეთით მოპირდაპირეს აღარ უცდია ლეპრიესა და შუალამეს ფერმებს შუა შემოტევა. უამინდობა აფერხებს სამხედრო მოქმედებას მდ. სომას გაღმა-გამოღმა. არგონებში, ფურ-დე-პარისთან მოპირდაპირემ ნაღმი აგვიფეთქა და იერიშით წამოვიდა, მაგრამ შევაჩერეთ. ტიომონის სამხრეთით ფრანგებმა ორი თხრილი აიღეს. ტყვედ წამოიყვანეს 100 გერმანელი, მათშორის 8 აფიცერი. წამოიღეს 3 ტყვიისმფრქვეველი. ვოშაპიტრის ტყის აღმოსავლეთ ნაწილში ფრანგებმა 100 ადლით წინ წასწიეს ნაღმები. აპრემონის ტყეში ფრანგების მოწინავე სადარაჯოს ხელის ყუმბარებით მტრის იერიში მოიგერია. გუშინ პერონის სამხრეთით, ფრანგმა მფრინავმა მულენის მახლობლად ძირს დასცა გერმანელთა ჰაეროპლანი. მახლობელ აღმოსავლეთში: სტრუმიდან ვარდარამდე ხანგამოშვებით ზარბაზნებით ბრძოლაა. კაი-მაჩალანის სიმაღლეზე, ცრნის აღმოსავლეთით ბულგარელებმა მედგარი იერიში მიიტანეს სერბიელებზე, მაგრამ დიდის ზარალით მოიგერიეს.

მდ. ბროდის მიდამოებში, ბულგარელებმა კოროსტნიკაზე იერიშები განაახლეს. ორჯელ მისევის შემდეგ შეიჭრნენ სოფელში, მაგრამ სერბიელებმა ხიშტებით გამოდევნეს. მარცხენა ფრთაზე ჩვენმა ჯარმა პისოდერის ჩრდილო-დასავლეთით 5 ვერსით წინ წაიწია და თუმცა ჯანღი იყო, მიუახლოვდა სიმაღლეს „1550“. აქ 50 კაცი დავატყვევეთ.

ლონდონი. საფრანგეთში მყოფ ინგლისის მთავარ ბანაკის ცნობა. 8 ენკენისთვეს მთელი ღამე სწვიმდა. ანკარის სამხრეთით მტერი განუწყვეტლივ იერიშებით მოდიოდა. ვიგერიებდით. ტყვეები წამოვიყვანეთ. მტერმა ბევრი მოკლული დასტოვა ბრძოლის ველზე. აქ კიდევ მოვახერხეთ წინ წაწევა.

ბუქარესტი. რუმინელთა დილის ცნობა. ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთის ასპარეზი. კალიმანის და გიუნიულის (დიერდიოს) მთებში ბრძოლაა. ტყვედ წამოვიყვანეთ 1 აფიცერი და 136 მეომარი. ხელთ ვიგდეთ 1 ტყვიისმფრქვეველი. ჩვენმა რაზმმა ოდორგეა (სეკელი-უდვარჰელი) აიღო. ქიუს ველში მტრის იერიშები მოვიგერიეთ.

სამხრეთის ასპარეზზე მდგომარეობა არ შეცვლილა. ზიმნიცასთან ზარბაზნებით ბრძოლაა. დობრუჯში 3 ენკენისთვეს დაწყებული და გაძლიერებული ბრძოლა 7 ენკენისთვეს დასრულდა. ჩვენ მოვიგერიეთ გერმანელ-ბულგარელ-ოსმალთა გაერთიანებული ჯარი, რომელმაც სამხრეთისაკენ დაიხია.

პარიზი. ოფიც. საღამოს ცნობა. სომას არე-მარეში მთელი დღე ზარბაზნებს ვუშენდით მტრის მოსაგერიებელ ადგილებს. როგორც უკანასკნელ ცნობებიდან სჩანს, გერმანელებს მდ. ენის ნაპირებიდან წამოუყვანით მე-18 კორპუსი და 214-ტე დივიზია რუსეთის ასპარეზისათვის. ამ ჯარს შუაგზაში ბრძანება მიუღია, სომას ნაპირებისაკენ წამოსულიყო, მოსულან 6 სექტემბერს ღამე, ხოლო მეორე დილას ბრძოლაში მიუღია მონაწილეობა ბუშავენთან, სადაც დიდად დაზარალებულ. 7 სექტემბერს სომას ჩრდილოეთით 200-მდე ტყვე წამოვიყვანეთ. დანარჩენ ადგილებში დრო და დრო ზარბაზნების სროლაა.

ლონდონი. რეიტერის სააგენტოს სოლუნიდან ატყობინებენ: ბროდის მიდამოებში მოპირდაპირე მედგარს წინააღმდეგობას გაუწევს სერბიელებს, რომ მონასტირისაკენ არ გაუშვას.

პეტროგრადი. 10 ენკენისთვე. გარეშე საქმეთა მინისტრი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, გოფმეისტერი შტიურმერი უმაღლეს მთავარ სარდლის ბანაკში გაემგზავრა.

პარიზი, 6 ენკენისთვე. დეპუტატთა პალატა. კამათის განმავლობაში დროებითი სესხის შესახებ სოციალისტმა დეპუტატმა ნიკოსტადემ სთხოვა მთავრობას, რომ მიიღოს მან ღონისძიება, რათა განახორციელოს პრინციპი ჯართა თანასწორობისა საერთო ფრონტზე. მან განაცხადა, რომ საფრანგეთს არ შეუძლიან უკანასკნელამდე დააქციოს სისხლი თავის მამულიშვილებისა. საჭიროა, რომ ყველა მოკავშირემ შესაფერი მსხვერპლი გაიღოსო. ბრიანმა უპასუხა, რომ არ ღირს ასე დაწვრილმანებას გავყვეთო და ქება-დიდებით მოიხსენია საერთო მოკავშირეების თავგანწირვა—წმინდა მიზნის მისაღწევად. მან მოიგონა ინგლისი, რომლის შესახებ განაცხადა, რომ იგი არა მარტო საფრანგეთის მიწა-წყალზე აბრძოლებს თავის გმირ ჯარებს, არამედ ზღვაზე გვიდგია ნამდვილ დარაჯად. მან მიუთითა რა რიგ სიძნელით შექმნა მან ხმელეთის ჯარი და რამდენს მსხვერპლს სწირავს, მხოლოდ აქედან შეგვიძლიან ნათლად დავინახოთ მათი გასაკვირველი თავგანწირვაო.

იტალეთი თავის ნებაყოფლობით შემოგვიერთდა და დიდის თავგანწირვით ებრძვის მტერს ისეთს მიუვალ მთიან ადგილებში. რუსებმაც გადალახეს ასეთი გაჭირვება ჭირთა გადაზიდვისა და აი ამ სიშორეზე მოგვაწოდეს ჯარები, როგორც აქ, ისე ბალკანეთშიდაცაო.

ჩვენ ყველანი ყოველს ღონისძიებას ვიღებთ საერთო მტრის წინააღმდეგ და გულით და სულით შეთანხმებით ვმუშაობთ. ყოველს ფრანგს სურს ეს უხვად დაქცეული სისხლი იყოს ნიშანი დიდი თავისუფლების, რომ ხვალ საფრანგეთი ამაღლდეს ბრწყინვალებით, რომელსაც იგი იმსახურებსო. ქვეყანა, დაათავა ბრიანმა, არ შევა შეცდომაში არავითარი პროპაგანდითაო“. საფრანგეთი ისწრაფის გამარჯვებისკენ და სურს აიჭ როს იგი. მტკიცე გადაწყვეტილებით და შეურყეველის ერთსულოვნებით იძლევა ხალხს, ზარბაზნებს და ყუმბარებსაო. პალატამ ორატორს ტაშის ცემა გაუმართა. სოციალისტი ბრიზონი პროტესტს აცხადებს, რომ ომი ადამიანთა ჟლეტის უბრალო ქრონიკად გადააქციესო. ბრიანმა მიუგო—საფრანგეთი ყოველთვის მშვიდობიანობისაკენ ისწრაფოდა და მტერი მას დიდი ხნის მოფიქრებულის გეგმით შეესიაო. ერთს მშვენიერ დღეს გერმანეთმა საფრანგეთს ხელი ჩაუჭირა ყელში და პატარა ბელგეთის გვამს გადააბიჯა ზედ, რომლის ნეიტრალიტეტს თვითონვე ვითომ მოითხოვდაო. საფრანგეთი იკავებს შემოსეულ მტერს, ნელნელა უკან ახევინებს და თქვენ ამ დროს ზავზე როგორ ლაპარაკობთო?!. ეს ხომ შეურაცყოფაა ჩვენი გმირი ბრწყინვალე ხსოვნისაო. რამდენიმე ჩვენი დეპარტამენტი სავსეა გერმანელებით. მაშინ როდესაც მთელი ერი ყურს უგდებს მის განმათავისუფლებელ ზარბაზანთა გმინვა-გრიალს, თქვენ აქ ზავზე გინდათ ლაპარაკიო. თქვენ გეტყობათ არ იცით ღონე საფრანგეთის დიდ სულოვნობისა და ტყუილად გგონიათ, რომ ის ზავზე თავის გმირთა დაღვრილ სისხლს გასცვლისო. ეს ხომ თანასწორი იქნებოდა იმისა, როგორც უწინ ყოველთვის მოლოდინი გვქონოდა გერმანეთის მხრიდან რაიმე ავი და ბოროტი ზრახვისა. ყოველ დღე იხარჯება ფული, სამაგიეროდ ყოველ დღე ამ 44 წლის განმავლობაში საფრანგეთი მუშაობდა დაჩნეული წყლულით მკერდზე და მიუხედავად ამისა იგი აღსდგა ახალის ღონით და იმდენად მარდად აღმაღლდება, რამდენად გამარჯვება სრული იქნება. თუ თქვენ გინდათ მშვიდობიანობა და აყვავება სიმართლისა, ისურვეთ ჯერ სამშობლოს გამარჯვება. ჯერ კი ნუ ეცდებით დაარწმუნოთ ქვეყანა, რომ მას შეუძლიან მიაღწიოს მშვიდობიანობას. და არც არის თუნდ ერთი ფრანგი—რომ მინამდის ეს უნდოდეს, რადგან იგი ჩვენთვის დამამცირებელი იქნება. დეპუტატები ხმაურობით თანაუგრძნობენ ბრიანს. პალატა ადგენს გარეთ გამოაკრას მისი სიტყვა. კამათის გაგრძელება ხუთშაბათს.

ჟურნალ-გაზეთებიდან

უნგრელ სამხედრო მიმომხილველის აზრი

ბუდაპეშტის გაზეთ „პესტინაპლო“-ს თანამშრომელი, გამოჩენილი სამხედრო მიმომხილველი ბაკოსი სწერს: ეხლა მოკავშირეთა უმთავრესი სტრატეგიული მიზანია, მთლიანი ბრძოლის ხაზი გააბან რიგიდან ადრიატიკამდე რუსეთ-გალიცია-უნგრეთ-საბერძნეთ-ალბანეთ-ვალონამდე.

ნავოსნობის შეჩერება

როტერდამიდან იტყობინებიან: ინგლისის ყველა ნავთსადგური დაკეტილია. ჰოლანდიის სანაოსნო ამხანაგობათ ოფიციალი ცნობა მიიღეს, თქვენი გემები ზღვაში ვეღარ გამოვაო. ინგლისიდან აღარც დეპეშები მოდის.

გერმანელების ახალი საშინელება.

ფრიდრიხშტატში გერმანელებს უზარმაზარი ცეპელინი დაუმზადებიათ. სიგრძით 240 ადლი. მისი სიფართოვე 32 ათას კუბიკურ ადლს უდრის. ცეპელინზე არის 4 ჯავშანგადაკრული ნავი, და ბაქანი ზარბაზნებისა და ტყვიისმფრქვეველების დასადგმელად. ცეპელინის მოტორის ძალა 4—5 ათას ცხენის ღონეს უდრის. შეუძლიან 4 ვერსის სიმაღლეზე ავიდეს. საათში 120 ვერსს გაივლის. ამ ცეპელინს შეუძლიან ზიდოს 336—394 ფუთი ასაფეთქებელი მასალა. ზედ იმყოფება 30 კაცი.

ბულგარელების დავლა დრამასა და სერეზში.

მცოდნე პირთა ვარაუდით, ბულგარელებს დრამასა და სერესში ხელთ უგდიათ რამდენიმე ას მილიონ დრაჰმად ღირებული სამხედრო მასალა.

პრინცი ფრიდრიხ-ვილჰელმი მესენისა.

პრინცი ფრიდრიხი დობრუჯში საფრენიდან ნასროლ ყუმბარის ნატეხს უმსხვერპლია.

მეომართა ვალები და შეძლება.

გერმანეთის მთავრობას ამ ომის განმავლობაში გერმანეთის საიმპერიო ბანკიდან უსესხნია 357 მილიონი გირვანქა სტერლინგი. ინგლისის ბანკს 32 მილიონი გირვანქა სტერლინგი.

მოკავშირე სახელმწიფოებს ოქროს ფულად აქვთ 229 მილ. გირ. სტ.

ოფიციალ ცნობით, ინგლისში დაბანდებულია 140 მილ. გირ. სტერ. მოპირდაპირე სახელმწიფოების ქონება, ხოლო ინგლისს კი მტრის სახელმწიფოებში 115 მილ. გირვ. სტერლინგის ქონება ჰქონია.

უკანასკნელი დეპეშები

„ბერ. ვედ.“-ი აღნიშნავს: ტრანსილვანიის და დობრუჯის ფრონტზე მდგომარეობა თან და თან გართულდაო. მოწინააღმდეგემ დობრუჯის რაიონში დუნაიასა და შავზღვის შუა ფრონტი შეამოკლა. რაც შეეხება დანარჩენ ჯარს, რომელიც მოწინააღმდეგეს თადარიგად ჰყავს, სარაილის წინააღმდეგ გაიყვანეს. ცხადია, რუმინელებიც შესაფერისად მოიქცევიან და ამიტომ შესაძლოა, რომ დობრუჯის რაიონში ამ მოკლე ხანში დიდი ამბები დატრიალდებაო.

—

უნგრეთის პარლამენტში ოპოზიციის წევრმა გრაფმა ბატიანიმ საინტერესო სიტყვა წარმოსთქვა პოლონეთის შესახებ. მან სთქვა, რომ წინააღმდეგია პოლონეთის განაწილების გერმანეთსა და ავსტრო-უნგრეთის შორის და მოითხოვა ამ ქვეყნის ეროვნული გაერთიანების დადასტურება. ჩვენ უნგრელებსო, გამოიძახა ორატორმა, მხოლოდ ჩვენი ტერიტორიის შენარჩუნება გვინდა და ამდენი მძიმე მსხვერპლის შემდეგ ველით ეროვნული ცხოვრების ნამდვილს და არა მხოლოდ სიტყვიერ აღორძინებასო. შემდეგ ბატიანიმ უნგრეთის მინისტრ პრეზიდენტისა, საგარეო და სამხედრო მინისტრების გადაყენება მოითხოვა, რადგან მათ მისი აზრით ხალხის ნდობა აღარ აქვთო.

ახალი ამბავი

სასახლეში.

◆ მეფის ნაცვალს ხადარბაზოდ წარუდგნენ ქვეითა ჯარის უფროსი პოლკოვნიკი მაჭავარიანი და ცხენოსანთა ჯარის უფროსი პოლკოვნიკი თ-დი ჭავჭავაძე, რომელნიც მათ უმაღლესობის მიერ დარბაზობის შემდეგ მიწვეულ იქმნენ საუზმეზე.

ქართული დაწესებულებანი.

◆ მომხმარ. საზ. „მეურნე“. დღეს, 11 ენკენისთვეს, დილის 12 საათზე, „ახალი კლუბის“ დარბაზში უნდა განახლდეს საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება, რომელიც 2 კვირის წინ შესწყდა. კრებამ დღეს უნდა განიხილოს საგანგებოდ არჩეულ კომისიის მოხსენება შესახებ შრომის ფასის გაღებისა გამგეობის წევრთათვის და აგრეთვე უნდა აირჩიოს გამგეობის 2 წევრი. 9 ამა თვეს „ახალი კლუბის“ ზოგიერთ წევრებს კერძო თათბირი ჰქონდათ ამ საზოგადოების საქმეების შესახებ. რადგან „მეურნე“-ში მთელი კლუბია წევრად ჩაწერილი, ე. ი. 400 კაცი, თათბირზე სურვილი გამოითქვა, რომ, კლუბის წევრთა ინტერესების დასაცავად და ამასთანავე საერთოდ საზოგადოების საქმეების გასაფართოებლად, თავისუფალ ადგილებზე გამგეობაში კლუბის ორი წევრი იქმნას არჩეული. კანდიდატებად აღნიშნულ თანამდებობაზე დაასახელეს ბ-ნნი ნ. წვერავა, ალ. ლორთქიფანიძე, პ. მამრაძე და ძიძიშვილი.

◆ სკოლა ჭანეთში. ქართ. საქ. მოქ. საზ. გამგეობამ დაადგინა გახსნას ჭანეთის სოფელ აბუისლანში სკოლა და ნებართვის მისაღებად შუამდგომლობა აღძრას ტრაპიზონის რაიონის კომენდანტის წინაშე.

ფუტურისტები

ცნობილია, რომ მოკრძალება არ შედის იმ სათნოებათა რიცხვში, რომელნიც ეგრეთ წოდებული ფუტურისტებს ამკობენ. ქუჩა-ქუჩა სიარული და თავის საკუთარ გენიოსობაზე ყვირილი ოდნავ დასაძრახისადაც არ ითვლება მათ შორის. ამიტომ ალბათ არავის გაჰკვირვებია, როცა ერთს მშვენიერს სექტემბრის დღეს ტფილისს მოკლე და მჭერმეტყველი პლაკატებით ეუწყა, რომ ჩქარა „სახელოვანი მგოსანი-ფუტურისტი ვასილი კამენსკი ჩამოვაო.“ არც ის იყო გასაკვირველი, რომ ჩამოსვლის შემდეგ ეს მგოსანი თავშიშველი, ყვითელი წინდებითა დ ბაირონისებური ყელსახვევით აღჭურვილი მთავარ ქუჩებზე დადიოდა ვიღაც მანდილოსნებთან ხელი-ხელ გადაჭდობილი. თუ ფუტურისტების საღამომ არტისტიული საზოგადოების თეატრში აუარებელი ხალხი მიიზიდა ეს ალბათ უფრო იმით აიხსნება, რომ პროგრამაში კიდევ უფრო „ძლიერი ნომრები“ იყო შეტანილი: ბ. კამენსკის თანამგზავრი, „ცხოვრების ფუტურისტი“ ვლადიმირ გოლცშმიტი სხვათა შორის გვპირდებოდა, რომ თავზე ხუთ ფიცარს დაიმტვრევდა ნებისყოფის კონცენტრაციის გამოსაშკარავებლად. ასეთი მომხიბლავი აღთქმის წინაშე სუსტი აღმოჩნდა ტფილისის საზოგადოების ჩვეულებრივი გულგრილობა. როგორც ცნობილია ამ საზოგადოების ნაკლებ განვითარებული ესთეტიური გემოვნება და გონებრივი კულტურა აქვს და უფრო იმას ეტანება, რაც უღიტინებს და აღიზიანებს ნერვიულ სისტემას.

მაგრამ სამწუხაროდ ფუტურისტულმა საღამომ ვერც ძლიერი შთაბეჭდილების მოყვარულთა მოლოდინი გაამართლა. ბ. გოლცშმიტის ფიცრები მეტის მეტად მომცრო ზომის აღმოჩნდა, „ცხოვრების ფუტურისტის“ ჯამბაზობამ ახალი ვერაფერი უთხრა თბილისელებს, რომელთაც ნადიმის დროს ალბათ ბევრი უკეთესი ხონჩის მტვრეველი და ჭიქის მკვნეტელი უნახავს. სხვაფრივ კი მთელი საღამო ერთი სიტყვით შეიძლება დახასიათდეს. ეს სიტყვაა უგემურობა. უგემური იყო ესტრადის და კათედრის ზიზილპიპილებიანი დეკორაცია, უგემური იყო ბ. კამენსკის სისხლისფერი საყელო და ბ. გოლცშმიტის დეკოლტე, უგემური იყო მათი სიტყვები ხელოვნებასა და მუშაითობასა, ან კიდევ თმისა და სტომაქის ჰიგიენაზე, უგემური იყო მათი პოეზია, სადაც ერთი მეორეს ეჯიბრებოდა შაბლონი, ცინიზმი და სანტიმენტალობა. ძლიერ დამახასიათებელია რომ „სახელოვანმა ფუტურისტმა“, რომელიც თავის თავს ხელოვნების რეფორმატორად თუ რევოლუციონერად სთვლის, თავის ახალს ლექსში „თბილისზე“ ერთი ორიგინალური სახე ან გრძნობა ვერ გამოჰხატა და ისეთი გაცვეთილი კლიშეები მოგვცა, როგორიც არის ზურნა და საზანდარი, ლეკური და საროსტანიანი ქართველი ქალი, ხოლო თავის „ავიაციაში“ ვერაფერი დაგვანახვა გარდა პერანგის ამხანაგის და წინდების ასპექტისა: ამით მას ალბათ სურდა გაემართლებინა ერთი თავისი ევროპიელი თანამოაზრე, რომელმაც სთქვა, რომ ფუტურისტი დღეში ოცჯერ უნდა იყოს უზრდელი. სინამდვილეში კი ერთხელ კიდევ მხოლოდ ის დამტკიცდა, რომ რუსის ფუტურისტებს აკლიათ პირადი ხილვის ინტენსივობა და ჭეშმარიტი თავისებურობა და მთელი მათი მოქმედება თუ შემოქმედება მანჭვა-გრეხა, პოზა და მსახიობობაა.

მსოფლიო მწერლობაში ხშირად გვხდება დიდი შემოქმედი, რომელიც ცინიკოსია ბუნებით ან აზროვნებით. ამის კლასიკური ნიმუში ჯ. ბოკაჩიოა. ზოგიერთი მისი ნოველა ცინიზმის შედევრად შეიძლება ჩაითვალოს. მაგრამ ბოკაჩიოს ცინიზმი უბადლო ჰუმორითაა გალხობილი და ამიტომ შეურაცყოფას არ აყენებს ფაქიზი გემოვნების ადამიანს. ცინიზმი აუტანელი ხდება, როცა სანტიმენტალობასთან არის შეკავშირებული ან კიდევ როცა მას ბუდუარისა და ყავახანის შეხუთული ჰაერის სუნი უდის. აუტანელია როცა ზოგიერთი თანამედროვე მწერალი გაურეცხავ საცვალში ურევს ხელს და თვალების ნაბვით ან ხმის თრთოლით კორსეტებზე და ზონრებზე ლაპარაკობს. თუ არციბაშევები და ვერბიცკის ქალები ესთეტიურად განათლებულ ადამიანში პროტესტს იწვევენ, ეს იმით კი არ აიხსნება, რომ ისინი ცინიკოსები არიან, არამედ იმით, რომ მათ ნიჭი არ შესწევთ ცხოვრების მდაბალი და ცინიკური მხარე მხატვრული მწვერვალების მსუბუქ ჰაერში გაახვიონ. ესევე ითქმის რუსის ფუტურისტებზე, რომელნიც უმეტეს შემთხვევაში ძალოვანი ეროტიკისა და ფაქიზი მგრძნობიარობის მაგივრად რაღაც გულის ამრევ ვინიგრეტს გვთავაზობენ, ძნელად მოსანელებელს კუპრნარევ მურაბასავით.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ რუსული ფუტურიზმი უგვანი შვილია ევროპიული ფუტურიზმისა და ამ უკანასკნელისაგან უფრო ნაკლულოვანებანი შეითვისა ვიდრე ღირსებანი. იქ სადაც ფუტურისტული მოძრაობა პირველად დაიწყო სახელდობ იტალიაში, მას მართლაც აქვს ერთგვარი რაციონალური საფუძველი. იტალიელი ფუტურისტების მებაირახტრემ მარინეტტიმ ზოგიერთი საღი და საინტერესო აზრი გამოსთქვა თავის მანიფესტებსა და სიტყვებში, მისმა პროპაგანდამ საკმაოდ ძლიერი გამოხმაურობა იპოვა ახალგაზრდა მწერლებსა, მხატვრებსა და მემუსიკეებში. მართალია მარინეტტი მოკლებულია ღრმა აზროვნებასა და დიდ შემოქმედებითი ნიჭს; მართალია, მისი შეხედულებები ხშირად ცალმხრივი და პარადოქსალურია, მაგრამ ავტორის გულწრფელობა და ჭაბუკური გატაცება საკმაოთ ჰფარავს ამ ნაკლებს. კიდევ უფრო საყურადღებოა ის გარემოება, რომ იტალიელი ფუტურისტი ხშირად კეთილსიმყოფელ ჭეშმარიტებას უმჟღავნებს თავის თანამემამულეებს.

ევროპიულ ქვეყნებს შორის იტალია ყველაზედ მეტად არის დატვირთული ისტორიული მოგონებებით. კლასიკურმა ეპოქამ, საშუალო საუკუნეების ქრისტიანობამ და რენესანსმა აქ დასტოვა უდიდესი და უმშვენიერესი ნაშთები. რომი, ვენეცია, ფლორენცია უზარმაზარ ანტიკვარულ მუზეუმებს წარმოადგენენ, თვით პაწია პროვინციული ქალაქები და დაბები შედევრებითა და უნიკუმებით არიან სავსე. ყველაფერს სახელოვანი ისტორიის ბეჭედი აზის და ნაციის ყურადღებაც ძალაუნებურად წარსულისკენ არის მიპყრობილი. თანამედროვე მომქმედი ცხოვრებისთვის თითქო ადგილი აღარ რჩება ამდენ დიდებულ სასაფლაოებსა და ძეგლებს შორის. აქ მარხიან დიდი რომაელი მგოსნები და იმპერატორები, დიდი დანტე და პეტრარკა, დიდი მიქელანჯელო და რაფაელი. ამ ბუმბერაზთა ჩრდილი ტატნობს უბნელებს ახლად თვალახილულს, მათი კულტი აფერხებს ახალგაზრდა ნიჭის გადუჩქენას. საჭიროა ცეცხლისმფრქვეველი მთის სიცხოველე, არწივის მხედველობა და ნიაგარის ზათქი, რომ მათ გვერდით იდგე, რაიმე ახალი დაინახო და ნათქვამი ვისმე გააგონო.

„პიერისა და ჟანის“ წინასიტყვაობაში მოპასანმა გულმტკივნეულად აღნიშნა, რომ ნამდვილ მწერალს მძიმე ტვირთად აწევს წარსულ საუკუნეთა ლიტერატურა. თითქო ყველაფერი ითქვა კიდევ და ახალს სათქმელად ზებუნებრივი ძალღონებაა საჭირო. ძველი გზები გაიტკეპნა მეტისმეტად, ახალის გასაყვანად თითქო ადგილი აღარ არის დედამიწის ზურგზე. ამ მდგომარეობის წინაშე მარინეტტი რადიკალურ საშუალებებს ურჩევს. რა საჭიროა ბილიკების ფეხით ტკეპნა, როცა ავტომობილით ქროლა და ჰაეროპლანით ფრენა შეიძლება. რა საჭიროა ძველი ფსიხოლოგიის ცეხვა, როცა ჩვენს თვალწინ ახალი ადამიანი იბადება, ახალი პროფილით და თვისებით. ლამარკის ტრანსფორმატული ჰიპოთეზის მიხედვით ფუნქცია ჰქმნის ორგანოს. რატომ არ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ მომავალ ადამიანებს, რომელნიც გამოუკლებლივ პილოტები და მფრინავები იქნებიან, ბიბილო და ფრთები გამოესხმებათ ფრინველებივით? ყოველ შემთხვევაში უეჭველია დღესვე რომ ადამიანში ისპობა ზოგიერთი მორალური თვისებები, როგორც მაგალითად გულ-კეთილობა, სინაზე, ოჯახის გრძნობა და სიყვარული. მათი ადგილი მექანიკურმა შთაგონებამ და ლითონის მგრძნობიარობამ უნდა დაიკავოს. სასაცილოა მთვარის შუქზე ოცნება ელექტრონის ბატონობის ხანაში. უაზროა მუდამ სქესობრივ სიყვარულზე ლაპარაკი ინდუსტრიულ ეპოქაში. „ახლა უკვე გვხვდებიან ადამიანები, რომელნიც თითქმის მთელს ცხოვრებს უსიყვარულოდ ატარებენ, ფოლადის ფერ ატმოსფეროში. ვიმოქმედოთ ისე, რომ ამ სამაგალითო ადამიანების რიცხვმა იმატოს. ეს ენერგიული ადამიანები საღამოობით [illegible] საყვარელს როდი ნახულობენ! სამაგიეროდ ყოველ დილას მიჯნურის კეთილსინდისიერებით რწმუნდებიან, რომ მათი ქარხანა წესიერად მუშაობს“.

როგორც ამ სიტყვებიდანაც სჩანს იტალიური ფუტურიზმი ზოგადი კულტურული მოვლენაა და არა ვიწრო ლიტერატურული. ის ეწინააღმდეგება პატრიარქალურ წესწყობილებას ეკონომიურ ცხოვრებაში; კლერიკალიზმს, პაციფიზმს და კოსმოპოლიტურ სოციალიზმს პოლიტიკაში და იცავს მილიტარიზმს, ნაციონალიზმს და დემოკრატიულ ინდივიდუალიზმს. ზნეობის სფეროში ტრადიციულად განმტკიცებულ იდეალებს უარჰყოფს და უმოქმედო მიმღეობის წინააღმდეგ ენერგეტიზმს ადასტურებს. მაგრამ ყველაზე დამახასიათებელი წარსულის კულტის უარყოფაა. იტალია მიცვალებულთა ბანკიაო, ამბობს მარინეტ-

◆ **ქართ. საქ. საზ. განყოფილება რიზეში.** ქართ. საქვ. საზ. მთავარ გამგეობამ დაადგინა რიზეში ფილიალი განყოფილება გახსნას.

◆ **თავშესაფარი სოხუმში.** ქ. საქ. მოქ. საზოგადოების გამგეობამ დაადგინა: სოხუმში თავშესაფარის დაარსების აწ არსებულ ქ. შ. წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების თავშესაფარის გაფართოება გადაწყვიტოს შეერთებულმა სხდომამ წერა კითხვის და საქ. მოქ. საზოგადოების გამგეობათა.

მთავრობის დაწესებულებანი

◆ **თბ. კომენდატათ,** როგორც გავიგეთ, გენ.-ლ. გაბაშვილი ინიშნება. გენ. გაბაშვილს ამ დღეებში ბრძოლის ველიდან მოელიან თბილისში.

◆ **საგანგებო წესები.** უმაღლესი ბრძანებით სახელმწიფო დაცვის წესები უმაღლესად დამტკიცებული 14 მარიამობისთვეს 1881 წ. ერთი წლით კვლავ გაგრძელებულ იქმნა ე. ი. 1917 წ. 4 ენკენისთვემდის.

ქალაქის დაწესებულებანი.

◆ **ტრამვაის ტარიფი.** 9 ამა თვეს მოხდა შეერთებული კრება ქალაქის თვითმართველობის გამგეობისა. კრებამ 9 ხმით წინააღმდეგ 5-სა დაადგინა: 1) ტრამვაის სამგზავრო შაურიან ბილეთს მიემატოს 1 კაპეიკი; 2) 3 კაპეიკიანი ბილეთი ისევ ძალაში დარჩეს, 3) გაუუქმებელი დარჩეს გადასაჯდომ ბილეთების ძლევა; 4) სააბონემენტო წიგნაკებს მიემატოს 3 აბაზი და ამ რიგად თითო წიგნაკზე დაწესდეს 9 აბაზი. შეერთებული კრების ასეთი დადგენილება წარედგინება განსახილველად საბჭოს მახლობელ კრებას.

◆ **ხოლერა.** 10 ენკენისთვეს, დილის 8 საათზე, ქალაქის ლაზარეთში № 40 იმყოფებოდნენ: ხოლერიანი 115 და ხოლერის ნიშნებით 5 კაცი. 9 ენკენისთვეს გარდაიცვალნენ: ხოლერიანი 1 და ხოლერის ნიშნებით 1 კაცი.

◆ **გადამდები სნეულებანი.** 10 ენკენისთვეს, დილით, ქალაქის საავადმყოფოში ირიცხებოდნენ: ქუნთრუშიანი 79, ხუნაგიანი 17, ყვავილიანი 5, სახადიანი 18, საოფლიანი 147, მუცელათი 13 კაცი.

სასულიერო უწყებაში.

◆ **საქართველოს ექსარქოსი მიემგზავრება** ორშაბათს 12 ენკენისთვეს კახეთში, შუამთის მონასტრის და თელავის სასულიერო სასწავლებლის დასათვალიერებლად. 14 ენკენისთვეს, ალავერდობას, ექსარხოსი სწირავს ალავერდის ტაძარში.

◆ **სამისიონერო კურსები.** 8 ენკენისთვეს საღამოს 6 საათზე ერევნის ეპ. დომიანემ აკურთხა ალექსანდრე ნეველის ტაძართან უფასო სამისიონერო კურსები.

◆ **წყალსაყვანი ბოდბის მონასტერში.** 5 ენკენისთვეს, როგორც გვატყობინებენ, არქ. ნაზარის უკურთხებია ბოდბის მონასტრის ახალი წყალსაყვანი, რომელიც ნუკრიანის წყაროებიდან იქმნა გამოყვანილი. წყალსავანი 12 ათას მანეთამდე დამჯდარა. ნახევარი ფული სინოდს მიუცია, ნახევარი მონასტერს.

სხვა და სხვა ამბები.

◆ **უპურობა თბილისში.** 9-სა და 10-ს ამა თვეს, თბილისში პურის გამოცხობა შესამჩნევად შემცირდა. აურებელი ხალხი აწყდებოდა ფურნეებს და თორნეებს და ნახევრად უმცხვარ ცხელ პურებს ერთმანეთს სტაცებდნენ ხელიდან. ვინ თხოულობდა ან წონას, ანუ ხურდას! გუშინ გამგეობამ გუბერნატორისაგან ისესხა მაზრებისათვის მოტანილი 15 ვაგონი ქატო. ნარევი ფქვილი და დაურიგა სხვა და სხვა ამხანაგობას. ნოვიკოვის წისქვილიდან ვიღაც კერძო ვაჭარს ჩამოუტანია 12 ვაგონი კარგი ფქვილი, მაგრამ თითო ტომარას (5 ფუთი) 20 მანეთად აფასებს. როგორც ამბობენ, ქალაქის გამგეობას ნება დაურთავს გაჰყიდოს მან ამ ფასში თავისი ფქვილი.

◆ **სათ.-აზნ. საერობო ბიურომ** განაახლა თავისი მოქმედება. მდივნად ბიუროსი მოწვეულ იქმნა გ. თ. ქორდანია.

◆ **დაჭრილთა ევაკუაცია.** გუშინ ჩრდილოეთ კავკასიაში გაამგზავრეს 600 დაჭრილი და ავადმყოფი ჯარის კაცი.

◆ **გიმნასტიკურ საზოგადოების „შევარდენის“** მეცადინეობა საზაფხულო დასვენების შემდეგ კვლავ განახლდა. საგიმნასტიკო ვარჯიშობა ვაჟებისა არის სამშაბათობით და პარასკევობით, ხოლო ქალებისა ოთხშაბათობით და შაბათობით. ვარჯიშობა სწარმოებს ვაჟთა მეხუთე გიმნაზიაში (ავლაბარში). იქვე მიიღებენ ახალ წევრებს.

◆ **ექიმი მუხაძე დაბრუნდა** ბათომის ოლქიდან, სადაც საქველ. საზ. დაწესებულებით დაუთვალიერებია ჩურუქსუს საავადმყოფო.

◆ **დამსახურებული მსახიობი ვასო აბაშიძე,** რომელიც სამკურნალოდ იყო წასული, 9 ენკენისთვეს თბილისს დაბრუნდა. მსახიობი მოღონიერებულა და თავს კარგად გრძნობს.

◆ **მსახიობი ვ. გუნია** კარგა ხანია, რაც ავად არის. მსახიობს ბუასილი სჭირს და სისხლისაგან იცლება. უკანასკნელ დღეებში ის ერთობ დასუსტდა და ლოგინად ჩაწვა. ავადმყოფს სწამლობს ექ. შალვა მიქელაძე.

◆ **ტყვეებად წაყვანილ ჯარის კაცთა დახმარება.** 9 ამა თვეს ტყვედ წაყვანილ ჯარის კაცთა დამხმარე კომიტეტმა დაადგინა ფულის შესაგროვებლად შემდეგ ღონის ძიებას მიმართოს: ყულაბები გაიჩინოს, გამართოს პარიკმახერებისა და კინემატოგრაფების დღე, მოაწყოს საღამო ლატარიით, ქალაქის საბჭოს დარბაზში ხელის მოწერა გამართოს, კრება მოახდინოს არტისტულ წრეების წარმომადგენელთა თანადასწრებით წარმოდგენების და საღამოების გასამართად. ამრიგად შემოსული ფულებით საცვლები უნდა იყიდონ და ტყვეებს გაუგზავნონ. გარდა ამისა ეხლავე უნდა გამოიწერონ საქონელი, რათა საშობაო დღესასწაულებისათვის საჩუქრები გაუგზავნონ ტყვეებს.

ტი, ის მათ კარგად აჯილდოებს, ცოცხლებზე კი არას ჰფიქრობს. წარსულის ექსპლოატატორები ყოველდღე ჰკლავენ ახალგაზრდა გენიოს პოეტს, მით რომ თავზე ახლიან რომელიმე დიდი მგოსნის მუმიას, რომელიც ხუთი საუკუნის წინათ გარდაცვლილა. ამ მუმიათა, ცხედართა, მესაფლავეთა და საფლავის ქურდთა ლაშქარს ულმობელი ომი უნდა გამოვუცხადოთ. როცა გენიოსი კვდება მის საუკეთესო ნაწარმოებები მასთან ერთად უნდა დაიწვას, რომ მომავალ თაობას ფეხქვეშ არ გადაელობოს როცა ძველი ტაძრები, კოშკები და დარბაზები ინგრევა მათ განადგურებას ხელი უნდა შევუწყოთ, რომ ადგილი გავუნთავისუფლოთ ბანკებს, რკინის გზის სადგურებს, სახალხო სახლებს, ქარხნებსა და ყაზარმებსო. სცენაზე და ლიტერატურაში მანქანა უნდა გამოვიყვანოთ, როგორც ცოცხალი არსება, ესთეტიურ სფეროდან უნდა გავდევნოთ დედაკაცი და სიყვარულისა თუ ღალატის მუდმივ მოტივები. უნდა განადგურდეს ის ცრუმორწმუნოება თითქო ქალის და მშვენიერების ცნებებს შორის აუცილებელი კავშირი არსებობს, უნდა შევეცადოთ, რომ ქალის გარშემო გაფანტოს რომანტიული ბურუსი და სქესობრივ ურთიერთობას უბრალო ფიზიოლოგიური მოთხოვნილების მნიშვნელობა მიეცესო. ჩვენ კიდევ ვოცნებობთ, რომ ერთს დროს დედა-კაცი ზედმეტი გახდება გამრავლების ფუნქციისთვის და ნებისყოფის კონცენტრაციის შემწეობით მექანიკურ ვაჟიშვილს შევქმნით, მეცნიერულ კანონთა სინტეზს და დავგვირგვინებასო.

მარინეტტის აზროვნებაში უეჭველად ბევრი რამ არის გადაჭარბებული, მაგრამ მის იდეებს ხანდახან გონებამახვილობის და მოულოდნელობის მიმზიდველობაც აქვს. ეს არ შეიძლება ითქვას რუსის ფუტურისტებზე. თუ იტალიაში ფუტურიზმს აქვს ერთგვარი საბუთი არსებობისა, როგორც რეაქციას ისტორიის გალმერთების წინააღმდეგ, ეს არ შეიძლება ითქვას ისეთ კულტურულად უკან ჩამორჩენილ და ახლად ფეხადგმულ ქვეყნებში, როგორიც რუსეთი ან საქართველოა. ასეთი ქვეყნები ისედაც განძარცული არიან ისტორიის შემეცნებისაგან, ისედაც უფრო მომავლისკენ იცქირებიან, ვიდრე წარსულისკენ და აქ ფუტურისტები იმ ახირებული ადამიანების შთაბეჭდილებას ახდენენ, რომელნიც ღია კარებს ამტვრევენ სახლში შესასვლელად. რუსის ფუტურისტების საღამოზე ეს ნათლად გამოაშკარავდა. ის ცვლილებები, რაც ამ ვითომდა რევოლიციურ მოძრაობას მოაქვს სავსებით ამოიწურა ზოგიერთ უმნიშვნელო ტეხნიკურ და პროსოდიულ წვრილმანში, სხვაფრივ კი ბ. კამენსკის ისეთი არაფერი უთქვამს, რაც ჩვეულებრივ „პასეისტურ“ მგოსნებს ათასჯერ არ ეთქვათ, უფრო მძლავრად და მჭერმეტყველად. მზის სიხარული, თვალების ზეცისკენ მიპყრობა, ბავშვური გულუბრყვილობის ძიება, ცხოვრების საქანაო, ბუნების წიაღში დაბრუნება და სხვა ასეთი ტემები ისევე ძველია, როგორც თვით პოეზია და მათ საუწყებლად საჭირო არ არის არც ფუტურისტული პოზა, არც ფუტურისტული ჯამბაზობა.

გერონტი ქიქოძე.

ბოროტ-მოქმედების აღმოჩენა

4 მკათათვეს ქალაქის გამგეობის სახელობაზე თბილისის სადგურზე მოსულა 11 ვაგონი ფქვილი ბაქოდან „ნაკლადნოის“ შემდეგი ნომრებით: 31803, 31822, 31863, 31823, 31827, 31825, 31826, 31821, 31820, 31828, 31824, წონით 10828 ფუთი, გამოგზავნილი ტერ-მინასიანცის მიერ.

ფქვილის მისაღებად მისულა საქონლის სადგურზე მეორე გილდის ვაჭარი აკოფ არუთინას ძე არვანიანცი, რომელსაც წარუდგენია მოწმობა ქალაქის გამგეობისა № 2446 და ნაკლადნოების ასლით, რომელზედაც ეწერა: „ამ საქონელის მიღებას ვანდობ ერვანიანცს. ქალაქის გამგეობის წევრი ჯაბარი, საქმის მწარმოებელი ა. ტერტეროვი. 28 მკათათვე 1916 წელი“.

არვანიანცმა ხელის მოწერის დროს შემდეგი წარწერაც მოათავსა: „საქონელი მივიღე აკოფ არვანიანცმა ქალაქის გამგეობისათვის“.

ყველა ფორმალური მხარე საქონლის მიღებისა შესრულებულ იქმნა, მხოლოდ ორდერი საქონლის გატანის შესახებ სადგურიდან არ იყო წაღებული, რადგან არვანიანცს განეცხადებინა, ფქვილი სხვაგანაა გასაგზავნიო. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია უფროსმა ჟანდარმმა ალენიკოვმა.

იმავე დღეს, 4 მკათათვეს, საპატიო მოქალაქემ ქ. განჯისა კონსტანტინე სოლომონის ძემ არამიანცმა წარუდგინა რკინის „ნაკლადნოები“: 517524, 517623, 517823, 517624 და 517626—517633 და განაცხადა რომ ეს ფქვილი ბორჯომში გაეგზავნათ, აკოფ არვანიანცის სახელზე. გამოირკვა რომ არამიანცს ამ ოპერაციაზე აეღო არვანიანცისაგან 4 მან. თითო ვაგონზე. ამ „ნაკლადნოების“ ძალით ეს ფქვილი გადატანილ იქმნა ბორჯომში. 16 მკათათვეს მიღებულ იქმნა იქ არვანიანცის მიერ და მოთავსებულ ნალბანდიანისა და მურადიანის საწყობში. რასაკვირველია, ყველა ეს გარემოება ჟანდარმმა ალენიკოვმა, რომელიც ზვერავდა ამ ფქვილს, აღნუსხა საგანგებო ოქმში. როცა ქალაქის გამგეობის წევრმა გაიგო, რომ ჟანდარმს შეუდგენია ოქმიო, მივიდა რკინის გზაზე და განაცხადა, ფქვილის გაყიდვის ნებართვა მე მივეციო, ეს ფქვილი მწარე იყო და გამოსაცხობად უვარგისიო. საქმის გასაცნობად ჟანდარმი ალენიკოვი წასულა ბაქოში და გამოურკვევია, რომ ბაქოში ტერ-მინასიანცს მთელი საწყობები ჰქონია ფქვილისა, ფქვილის გასაყიდად იგი ყოფილა თბილისში და უთხოვია ქალაქის გამგეობისთვის ვაგონები, მაგრამ არ მიუცია. აქვე შეუტყვია, რომ ვაგონების მიღება შეიძლება არვანიანცის შემწეობით, რომელიც მეგობარია ჯაბარისა. ამის შემდეგ საქმეს შესდგომია და 45 ვაგონი მიუღია არვანიანცს ფქვილის გასაგზავნად. ჟანდარმი ალენიკოვი ამით არ დაკმაყოფილებულა, ბორჯომშიაც წასულა 29 მკათათვეს და ექსპერტების შემწეობით გაუგია, რომ თბილისიდან ჩატანილი ფქვილი მშვენიერ ღირსებისაა და არა უვარგისი, როგორც ჯაბარმა განაცხადა და ფუთი 15 მან. და ათ შაურად იყიდება თითო ტომარა 5 ფუთიამი, იმ დროს როცა თბილისში ფასობდა 5 ფუთიანი ტომარა 12 მანეთად.

სახელდახელო

ბაქოში ბრძანდება მდიდარი ვაჭარი ვინმე ალა მინასიანცი. პური ჩვენი არსობისა მოეპოვება უხვად, მრავალი ბეღელი სავსე აქვს ფქვილით. შეუძენია ფქვილი იგი, რაღა თქმა უნდა, არა „მამაო ჩვენო“-ს წაკითხვით, არამედ ვაჭრობითა და ათას-გვარ ოინებითა და თვალთმაქცობითა. თორემ „მამაო ჩვენო“-ს წაკითხვა ხომ მე და შენც ვიცით, მკითხველო, მაგრამ ბეღლები კი არა გვაქვს სავსე პურითა. თუ დღეს ვიშოვით ხოლმე პურსა ჩვენსა არსებისას, ღმერთს მადლობას ვსწირავთ.

დიახ, ისე ბლომად მოეპოვება თურმე ალა მინასიანცს ფქვილი, რომ მისმა შთამომავლობამ მეორეთ მოსვლამდე სჭამოს ეს ფქვილი, მაინც ვერ შესჭამს. ვერც მთელი ბაქო შესჭამს თურმე ამ ფქვილსა, შიმშილობაც რომ ჩამოვარდეს.

ჩამობრძანდა ალა მინასიანცი თბილისში, გაუგია, რომ ქალაქის გამგეობას შეუძლიან დაეხმაროს, ფქვილი იგი ჩამოიტანოს რკინის გზით თბილისში და მერე ან აქ გაყიდოს, ან კიდევ აქედგან გაგზავნოს იქ, სადაც ხალხს ფქვილი ენატრება.

ქალაქის გამგეობაში უარი უთხრეს. ჩვენ თვითონ თვალები დაგვიჭყეტია—საიდგან და როგორ მოვიტანოთ ფქვილიო. აქვე გაუგია ალა მინასიანცს, რომ ქალაქის გამგეობის წევრს ჯაბარს ჰყავს მეგობარი ვინმე არვანიანცი. წასულა ალა მინასიანცი ჯაბარის მეგობართან ალა არვანიანცთან და უთქვამს.

— ალა არვანიანც, დამეხმარე ფქვილი ჩამოვიტანო ბაქოდგან.

— ლავნეო,—უთხრა არვანიანცმა, ჯაბარმა კი მოინდომოს, თორემ ფქვილი კი არა, თუ გინდა ბაქოს ნავთის წყაროებს სულ თბილისში გადმოვწურამთო.

მართლაც და 4 ივლისს ალა მინასიანცმა ჩამოიტანა თბილისში 11 ვაგონი ფქვილი, ვითომ და ქალაქის გამგეობისთვის.

აღსრულდა ნება ალა მინასიანცისა, ჯაბარისა და არვანიანცის.

ჯაბარმა გასცა ბრძანება:

„ბაქოდან მოსული ფქვილი ქალაქის გამგეობისა, მიეცეს ალა მინასიანცს“.

ბრძანება ჯაბარისა აღსრულებულ იქმნა.

ალა მინასიანცმა მიჰყიდა ფქვილი იგი ალა არვანიანცს, ალა არვანიანცმა მიჰყიდა ფქვილი იგი—ალა არამიანცს, ალა არამიანცმა მიჰყიდა ფქვილი იგი ბორჯომის ვაჭრებს—ალა მურადიანცს და ალა ნალბანდიანცს.

ასე და ამ გვარად აუბეს თვალები რკინის გზასა და სხვა ყოველგვარ მთავრობას ჯაბარმა და ფქვილის ალა ვაჭრებმა.

ნათქვამია: არა არს დაფარული, რომელიც არ გამომჟღავნდების.

გამომჟღავნდა ამბავი ესე ფქვილის მოგზაურობისა.

თბილისში რკინის გზის სადგურის ჟანდარმს შეუმჩნევია, რომ ვითომ და ქალაქის გამგეობის ფქვილი არვანიანცს მიუყიდნია არამიანცისთვის ბორჯომში გასაგზავნათ და საყურადღებო ამბავი ესე ჩაუწერია ოქმში.

გამოირკვა ჯაბარის სასიქადულო ოინი.

ჯაბარმა რა შეიტყო ეს, კუდი მოიქნია.

წაბძანდა სადგურზე და გამოაცხადა:

ფქვილი იგი ქალაქის გამგეობისა გავყიდე მე, ჯაბარმა, ვინაიდან ფქვილი წამხდარი არის და საჭმელად არ ვარგა. თბილისის მოქალაქეს კუჭს აუტკიებს. ხოლო ბორჯომის ხალხი ისეთი ჯანსაღი და ისეთი კუჭები აქვთ ბორჯომელებს, რომ ქვას მოინელებენო.

ჟანდარმმა ჰკითხა ჯაბარს:

— მაშ ეგ ფქვილი ქალაქის გამგეობისა გახლავთ?

ჯაბარმა უპასუხა:

დიახ, ჩვენ ეგ ფქვილი გვაწყენს და იმიტომ გავყიდეთო.

ჟანდარმმა არ დაიჯერა. წავიდა ბაქოში და გამოარკვია ყოველივე, რაც მოგახსენეთ. გამოირკვა ჯაბარისა და ალა ვაჭრების ოინები.

მერე ჟანდარმი ბორჯომში წავიდა, გაასინჯვინა ფქვილი მცოდნე კაცებს და აღმოჩნდა, რომ ფქვილი გაფუჭებული კი არა, მშვენიერი ხარისხისა ყოფილა.

თურმე ნუ იტყვით, თბილისში რომ თითო ტომარა ფქვილი (5 ფუთია), 12 მანეთათ იყიდებოდა, ბორჯომში ჯაბარის წყალობით წაღებული ფქვილი იყიდებოდა ტომარა (5 ფუთი) 15 და 16 მანეთათ.

ალა-ვაჭრებმა მინასიანცმა, არამიანცმა, არვანიანცმა, მურადიანცმა და ნალბანდიანცმა ჯაბარის დახმარებით მოატყუეს მთავრობა, თვალთმაქცობითა და ეშმაკობით წაიღეს ვითომ და თბილისის ფქვილი ბაქოდგან ბორჯომში, გაუძვირეს ბორჯომელებს პური ჩვენი არსებისა და მოიგეს ბლომათ ფული.

მე ხოლოთ ერთი რამ ვერ გავიგე და ამას ვერც ჟანდარმი და ვერც პროკურორ-გამომძიებელი გაიგებს:

რათ მოატყუებინა მთავრობა ალავაჭრებს ჯაბარმა. ჯაბარი ხომ ვაჭარი არ არის. ქალაქის გამგეობის წევრია და ღმერთმა დამიფაროს, რომ გულში ეჭვი შევიტანო, რომ ჯაბარმაც ფული მოიგო ასეთი ოინბაზობით. აბა რა საკადრისია...

ისკანდერ ბეი.

მწარე შთაბეჭდილება

(ვუზიარებ ადამ ფორაქიშვილს)

და გამოვედი იმ სახლიდან ცრემლით აღვსილი თვალებით, გულ-დაწყვეტილი! იყო ოჯახი და აღარ არის! სჩქეფდა სიცოცხლე, სუფევდა ფუფუნება და მოისპო ეს ყველაფერი! იშვიათ შემთხვევაში თუ მიგრძვნია ცხოვრების ისეთი ამაოება, როგორიც იმ სახლიდან გამოსვლის დროს ვიგრძენი!

რა გლოვის მწარე სურათი სუფევს, ყოველ ოთახში, ყოველ კუთხეში! რა კუშტი არის გამომეტყველება ყოველი ავეჯისა, ზოგი რამ უკვე დიდ ზონდუკებში ჩაჭედილა სხვა, მისთვის სულ უცხო, სულ უცნობ ბინაზე გადასასვლელად. ყველაფერი მირეული, აყრილ-დაყრილი, გასატან ბარგად გამზადებული!

პირისუფალი, ახლობელნი, მოსამსახურენი, ძაძით მოსილნი, მწარის მდუმარებით შავი ლანდებივით დატრიალებენ.

ღრმა მდუმარებას ხან-გამოშვებით ერთმანეთის შეკითხვით თუ დაარღვევენ.

გლოვის ზარად ისმის დეზების წკრიალი ვიღაც სამხედრო პირისა. ის, იქ მყოფთაგან სრულიად დამოუკიდებლად, თავის ნებაზე დადის ოთახებში და მუშტრის თვალით ათვალიერებს.

ვიგრძენი, რომ ეს წკრიალი პირისუფალს ლახვრად ხვდებოდა. ვინ იცის, რომ მარტო ერთმა ფიქრმა, შიშმა, რომ ამ სახლში სხვები დაბინავდებოდნენ, სიცოცხლე მოუსწრაფა მის პატრონს, მისთვის ძვირფას არსებას. ოჯახის უკანასკნელ ბურჯსა და ბაი ჯერ არც კი გაცივებულიყო მისი ცხედარი, ჯერ არც კი შეშრებოდა მას პირველი ცრემლი თვალზე, რომ ეს, განსვენებულისთვის საზარელი ფიქრი, უკვე სისრულეში მოდიოდა: იმის საყვარელს, უმშვენიერესად მორთულ-მოკაზმულ, ჩახატულ სახლებში ტლანქი არსებანი მოიკალათებენ. საზარელი და აუტანელი იყო ეს ფიქრი მისთვის და თმებში ხელ-წავლებული, უშწეოდ ქვითინებდა...

უნებურად გავიმსჭვალე მისი მწუხარებით და მორიდებით ბაღისაკენ გავედი. მინდოდა უკანასკნელად ის კოკლუცი ბაღიც მენახა.

იქ კი ყველაფერი ისევ თავის ალაგას სდგას, მაგრამ თითქო ველარ არის ისე მომხიბლავი, ხეებს თავ-პირი ჩამოსტირით, ვარდი ნაღვლიანად ქანაობს ობოლ ბუჩქზე, გრძნობს, რომ მას არას დროს აღარ შეეხება ტკბილი ხელი მისი დამრგველისა და სტირის... სტირის...

აუზის გაშლილი ქოლგაც მხიარულად აღარ სჩქეფს, თითქო ისიც ბევრის ტირილით დამშრალა...

მწარე, მეტად მწარე სურათად გადამეშალა ეს ყველაფერი და გულაჩუყებულმა ვაფრქვიე ცრემლები.

მაგრამ ჩემს თავს მაინც ვერ ვაძლევ ნამდვილ ანგარიშს, თუ რად მწყდება ასე გული იმ სახლიდან სამუდამოთ გამოსვლით? ხშირი სტუმარი ხომ მაინც არასდროს არა ვყოფილვარ მისი და რად უნდა იყოს ჩემთვის მისი დაკარგვა ასე საგრძნობი?

მართალია, დავით და ეკატერინე სარაჯაშვილები ცნობილნი და პატივცემულნი პირნი იყვნენ ჩვენს ცხოვრებაში თავისი ქველმოქმედებით შრომის უნარით, პურ-მარილით, ვიცნობდით მათ მეც და ერთგვარი კარგი დამოკიდებულება მეც მქონდა მათთან, მეტადრე ეკატერინესთან და მათი სიკვდილი, მათი სახლის დაცარიელება, კარის გამოხურვა სამუდამოთ, დიახაც დამაღონებდა, წყენას მაგრძნობინებდა, მაგრამ ეს გრძნობა მაინც არ არის ის გულის ტკივილი, რომელიც მე მათის ბინის დათვალიერებისა და სამუდამოთ გამოთხოვების დროს ვიგრძენი. აქ თითქო რაღაცა უფრო ფართო, უფრო საზოგადოა.

გამახსენდა ის, სულ მოკლე წარსულის დრო, როდესაც განსვენებულმა ეკატერინემ ჩვენი თავად-აზნაურობის სახელით ხელმწიფე მიიღო ამ სახლებში. როგორც ქართველი, ისე ვიყავი თავ-მოწონე, რომ ჩემი მოდგმის ადამიანს შეეძლო ღირსეულად მიღება თვით ხელმწიფისა, რომ ნადიმის დასრულების დროს, სიამაყითა და თან მადლობის გრძნობით აღვსილმა, მოვალეთ ჩავთვალე ჩემი თავი, ღირსეული დიასახლისისათვის, როგორც საზოგადოების წევრს, უგულითადესი მადლობა გადაეხადნა.

და ვგონებ, რომ სწორედ ამ გრძნობასთანა აქვს ჩემს წუხილს კავშირი, სწორედ ამ მხრივ უნდა მაღონებდეს გადამეტებით იმ საუცხოვო სახლის დაკარგვა; რომ მას გამოეთხოვნენ არა მარტო დავით და ეკატერინე სარაჯიშვილები, არამედ ქართველობაც; რომ ის სიმდიდრე—სახლი კუთვნილება იყო არა მარტო დავით და ეკატერინე სარაჯიშვილებისა, არამედ მთელი ქართველობისა და ხელიდანაც ამ ქართველობას გამოეცალა.

ესეთი აზრი კი შედეგი უნდა იყოს იმის, რომ ორივე ცოლ-ქმარი სიცოცხლეშივე საზოგადოთა სთვლიდა თავისს ოჯახს თუმცა სიცოცხლეშივე იყო ის სახლი ჩვენთვის ზოგიერთ შემთხვევაში თავის გამოსაჩენად და სიკვდილის შემდეგ ხომ მთელი მათი დიდი ქონებაც ჩვენზევე გადმოვიდა.

და ეხლა რომ ესეთი მამულის-შვილები სამუდამოთ გამოეცალნენ იმ სახლ-კარს—გადამეტებულად, ამიტომ არის ეს გულის დამწყვეტი.

დიახ, იყო ოჯახი და აღარ არის!

გადმოდიოდა ბარაქა და ჩამოილია!

სჩქეფდა სიცოცხლე და ჩამოწყდა, დაშრა!..

ულმობელია ბედის-ტრიალი, ულმობელი.

ნინო უფიანისა)

„ისეთმა ფურმა დამწიხლოს, რომელიც ჩემზე მეტს იწველის“

(ქართული ანდაზა)

კაცისაგან კაცის საქციელისა, მოქმედებისა და მიმართულების შეფასება, ე. ი. მოწონება ან წუნის დადება, ქება ან დაგმობა და უვარგისად ცნობა სულ ჩვეულებრივი მოვლენაა ცხოვრებაში. უამისობა არც შეიძლება: თვითეული საქციელი ადამიანისა, კაცის ყოველი აზრი, შეხედულობა და რწმენა ან სასარგებლო და სასიკეთოა უსათუოდ მოყვასთათვის, ან ფუჭი, მავნე და საზარალო. პირველ შემთხვევაში საქებური და მოსაწონია საქციელიცა და აზრიცა, მეორეში კი დასაგმობ-გასაკიცხი. ეს კია, რომ სხვათა საქციელისა და რწმენათა შემფასებელს სულიცა და გონებაც გამთბარი უნდა ჰქონდეს სიმართლის სიყვარულით, სხვების საქციელთა გამკიცხავი აუცილებლად უნდა თვით აღემატებოდეს მისგან აუგად ნახსენებ პირებს გონებითაც, მიმართულებითაც და პირადი ცხოვრებითაც. უამისოდ მას არავითარი უფლება არა აქვს, რომ სხვების საქმეთა მსაჯულად გამოვიდეს. ეს აზრი მოხდენილადაა ჩამოყალიბებული წერილის სათაურად მოყვანილ ანდაზაში: „ისეთმა ფურმა დამწიხლოს, რომელიც ჩემზე მეტს იწველისო“.

ნათქვამი გამახსენა ვინმე „ძველი ავტოკეფალისტის“ წერილმა, რომელიც მიმდინარე წლის მარიამობისთვის 27 გადმოუბეჭდია „პეტროგრადის უწყებებიდან“ გაზეთ „საქართველოს“. ბ. „ძველი ავტოკეფალისტი“ გაუმწარებია და აუშფოთებია იმ გარემოებას, რომ თბილისში ჩამოსვლისთანავე ქართველი ეპისკოპოსები და სამღვდელოება ყელში არ ეწვდით სინოდის ყოფილ ობერ-პროკურორს ბ. ვოლჟინს და ხელიდან არ გამოგლიჯეთ მას ჩვენი ეკლესიის დამოუკიდებლობა. „საკვირველიაო“, ბრძანებს გულდაწყვეტით ბ. ძველი ავტოკეფალისტი, „როგორ ვერ გამოიჩინეს გამბედაობა ქართველმა ეპისკოპოსებმა ლეონიდმა, გიორგიმ, ანტონიმ, პიროსმა და პირდაპირ ვერ უთხრეს (ვოლჟინს), რომ იღუპება საქართველოს ეკლესია, რომ მას სჭირდება ავტოკეფალია, ან და სრული დამოუკიდებლობა კანონიურ უფლებებით... ჩვენს სამღვდელოებაში თვითეული კერძოთ და ათ რიცხვში თვით ეპისკოპოსებიც—ვეფხვები და ლომ-გმირები არიან, რასაკვირველია, თავის ბინაზე, შინ! მაგრამ, სადაც ცოტაოდენი თავის გამოდება, დამოუკიდებელი ნების ყოფა და თავის განწირვა არის საჭირო, იქ ენა სასაზე აეკვრებათ ხოლმე... ეპისკოპოსი ლეონიდი საქართველოს ეკლესიის ხსნას იმაში ხედავს, რო საქართველოს ეკლესიის კათედრები თავის მოგვარეებს მისთავაზოსო“ და სხ. და სხ. რასაკვირველია, არც გიორგის, არც ანტონის, არც პიროსს, არც ნაზარის და არც სხვას ვისმეს ჩემი ვექილობა და გამოსარჩლება არ ესაჭიროებათ და არც მე ამოვიღებ ვისმეზე ხმას. ეს კი არა, მეც სრულებით ხმას არ აუბამდი ბ. „ძველ ავტოკეფალისტს“, მისი წერილი რომ მარჯვე შემთხვევას არ მაძლევდეს გავაცნო ქართულ საზოგადოებას, თუ რა არის ნამდვილად გარიგებული ავტოკეფალიის საკითხში და როგორი მოქმედებაა საჭირო დღეიდან ამ საქმის წინ წასაწევად. გაბედულად და საჯაროდ ვაცხადებ, რომ ავტოკეფალიის საკითხში ქართველ სასულიერო პირთაგან მხოლოდ და მარტოოდენ ყ-დ სამღვდელო კირიონს ვთვლი ჩემ სწორად და ღირსეულ ამხანაგად. ამითი არც ვტრაბახობ და არც თავს ვიწონებ, ხაზს ვუსვამ მხოლოდ შიშველ ფაქტს, რეალობას, თვალით სახილავ სინამდვილეს. ვერ წარმოვიდგენდი, თუ ქართული მწიგნობრობის მიმდევარი კაცი მიკიჟინებდა ავტოკეფალიის საქმეში სიმხდალეს და გაუბედაობას. მაგრამ, როგორც ვრწმუნდები, ჩვენში ყველაფერი მოსალოდნელი და შესაძლო ყოფილა!

ავტოკეფალიის საქმეში არასოდეს ფარულად და შეცვლილი სახელით არ მიმოქმედია. თუ მილაპარაკია როდისმე ამ საკითხის შესახებ, მილაპარაკია დიდ კრებებზე და საჯაროთ, თუ დამიწერია რამე, უსათუოდ საკუთარი სახელი მოწიწერია. „ძველი ავტოკეფალისტი“ კი, რომელიც გაუბედაობას მიკიჟინებს, ფსევდონიმს ამოფარებია, უეჭველია, იმისთვის, რომ ერთი მხრით მოთავეობას დაემალოს, მეორე მხრით კი ასეთი ფანდის წყალობით მიეფარებინოს ავტოკეფალიის

საკითხში თავისი საკუთარი მოღვაწეობის სრული არარაობა და უნაყოფობა. აი ამას ჰქვიან, „ჩემი შენ გითხარ, გული მოგიკალო“. სწორუპოვარო გმირო, ნუ მორცხვობ, დაგვანახვე შენი ლამაზი სახე!

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის საკითხს სათაურად და საფუძვლად დაედო ჩემ მიერ 1905 წელში სინოდში შეტანილი ვრცელი **მოხსენება** აუცილებელი საეკლესიო რეფორმების შესახებ. ეს მოხსენება თავის დროზე რუსულმა ორგანოებმა დაბეჭდეს და დიდი აურ-ზაური გამოიწვია მემარჯვენეთა ბანაკში. სინოდი მოხსენების წარდგენას ავალებდა იმ დროის ყველა ქართველ მღვდელთმთავრებს, მაგრამ ჩემს მეტს არავის არ წარუდგენია და ჩემი მოხსენება დღესაც ობლად გამოიყურება იმ უშველებელი ზომის ტომიდან, რომელშიაც მოთავსებულია რუსეთის მღვდელთმთავრების მოხსენებანი.

2) ნაჩვენებმა ჩემმა მოხსენებამ დაბადა ჩემდამი რწმუნებულ სამღვდელოებაში აზრი ავტოკეფალიის მოთხოვნისა პეტიციით;

3) ჩემი მეთაურობით ყველა ქართველ მღვდელმთავარმა წერილობით მოვითხოვეთ ვისგანაც ჯერ იყო ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობა;

4) ჩემი ნაწერების გამო სინოდში შესდგა ცალკე კომისია საქართველოს ეკლესიის საქმეების მოსაწყობათ და სხვათა შორის 1906 წელში მე და ყ-დ სამღვდელო კირიონიც ვიყავით გაწვეულნი კომისიაში სამუშაოთ. კომისიის წევრებმა გვერდი აუქციეს ჩემგან ცენტრალურ საკითხად დასმულ ავტოკეფალიის საკითხს, საკუთრად შეადგინეს ოქმი, რომელიც მათი შეხედულობით, ყოველ მხრივ ჰკურნავდა და აკმაყოფილებდა ქართულ ეკლესიას და გამომიგზავნეს მე ხელის მოსაწერათ. ზედ ამ ოქმზე 3 თებერვალს 1906 წელს წავაწერე ცხარე პროტესტი და უბრალო პალიატივად ვცანი კომისიისაგან ნაჩვენები ზომები. ყოფილი ობერ-პროკურორი გაოცდა ჩემი გაბედულობით და დამექადნა სოლოვეცკის მონასტერში გაგზავნას;

5) პირველ მუხლში აღნიშნული ჩემი მოხსენება, რომელმაც მთელი ლიტერატურა დაბადა რუსეთში და ჩვენში, გადაეცა გასარჩევად რუსეთის ეკლესიის კრების წინასწარ კომისიას. ნაჩვენებ კომისიის ოქმებში დაწვრილებით არის გამოყვანილი, რა უნარითა და გაბედულობითაც ვიცავდი საქართველოს ეკლესიას ყ-დ სამღვდელო კირიონთან და პეტროგრადში მყოფ ქართველ პროფესორებთან ერთად.

6) იმავე 1906 წელში სასულიერო ჟურნალ „მწყემსში“ დავსტამბე ქართული სამღვდელოების საყურადღებოდ დამახასიათებელი წერილი, რომელიც არც დღეს არის მოკლებული მნიშვნელობას.

მარად ავტოკეფალისტი
ეპისკოპოსი ლეონიდი

(დასასრული იქნება)

სვანეთის სამთავროს უკანასკნელი დღეები

(ისტორიული ამბავი)

(დასასრული.)

პოლკოვნიკმა უსლარმა გაგარინს შემოუთვალა: „თავ. კონსტანტინეს მოქცევას მე ვთვლი ხაფანგში უეცრად გაბმულ მელიას ოინად, სვანეთში მაგის გარდა კიდევ დარჩნენ ორი მაგისი ძმები ისლამი და თენგიზი და ამისთვის მე საჭიროთ ვთვლი განვაგრძო გზა სვანეთისაკენო“.

პოლკოვნიკ უსლარს სვანეთში დიდი არაფერი გაურიგებია. ჩქარა ისევ ქუთაისში დაბრუნდა და მთელი ტომი მოხსენებისა სვანეთის შესახებ წარუდგინა გაგარინს. გაგარინმა ეს მოხსენება და თითონ თავ. კონსტანტინე თავ. ბარიატინსკის გაუგზავნა თბილისში.

ბარიატინსკიმ არც კი ინახულა თავ. დადიშქელიანი და ისევ უკან ქუთაისში გაგზავნა. დადეშქელიანს თან გააყოლეს პოლკოვნიკი ბარტოლომეი, კაცი მეტად სასტიკი და უხასიათო. პოლკოვნიკმა ბარტოლომეიმ თითქოს თავი შეურაცხყოფილად იგრძნო, როდესაც დადეშქელიანს გაატანეს და ეს იყო მიზეზი, რომ ის ცოტა უდიერათ ექცეოდა დადეშქელიანს.

თავ. კონსტანტინე დადეშქელიანი მეტად ლამაზი, მაღალი, შესანიშნავი ღონისა და მშვიდობიანი კაცი იყო მეტად კარგ შთაბეჭდილებას ახდენდა მნახველებზედ. თუმცა თავისი სიცოცხლე სვანეთში გაატარა, სადაც გარს ეხვია მას მკვლელობა, გამცემლობა, მუდამ თოფ-იარაღი და მოუსვენარი ცხოვრება, მაგრამ მიუხედავად ამისა ის მაინც არ იყო მოკლებული უმაღლეს ცხოვრების იდეალებს. თითონ გაუნათლებელი იყო, მაგრამ მეტად აინტერესებდა საუბარი ევროპიელ აღზრდა-განათლებაზედ და დიდი სურვილი ჰქონდა აღეზარდა შვილები ევროპიულად.

სვანეთის თავისუფალი შვილი მეტად ცუდად გრძნობდა თავს ქუთაისში, განსაკუთრებით მის შემდეგ, როცა გაიგო, რომ სვანეთში დაბრუნების ნებას აღარ აძლევდნენ.

ერთხელ ვიღაც ცრუ ექიმმა ურჩია კონსტანტინეს წერილით მიემართა ნაპოლეონ მე-III და ეთხოვა შუამდგომლობა რუსის მეფესთან, რომ შეემსუბუქებიათ მისი მდგომარეობა. ექიმმა რამდენიმე მანეთი აიღო და კიდევაც შეუდგინა წერილი ნაპოლეონ მე-III. ეს წერილი ხელში ჩაუვარდა პოლკოვნიკ ბარტოლომეის, რომელმაც მას პოლიტიკური ხასიათი მისცა. გაგარინი უფრო პატიოსანი კაცი იყო, არ უნდოდა მიექცია ამ წერილისათვის ყურადღება, მაგრამ ბოლოს ისიც დაიყოლიეს ნებას და გადასწყვიტეს კონსტანტინე ქალ. ერივანში გაეგზავნათ.

20 ოქტომბერს, 1857 წელს, გაგარინს ბრძანება მოუვიდა კონსტანტინე დაუყოვნებლივ გაეგზავნათ ერივანში საცხოვრებლად. ამ განკარგულებამ თავ. კონსტანტინე ბრაზზე მოიყვანა, ველარ მოითმინა ასეთი შეურაცხყოფა და იქვე ხანჯლით მოჰკლა გუბერნატორი გაგარინი და მასთანვე რამოდენიმე მისი მსახურიც.

კონსტანტინე შეიპყრეს, პასუხისგებაში მისცეს და დახვრეტა გადაუწყვიტეს.

სრულიად უბრალოდ დაიღუპა თავი გუბერნატორმა გაგარინმა. ის სხვერპლი გახდა თავისი უბრალო მოუფიქრებელი და მოუსაზრებელი განკარგულებისა. მისი თხოვნისა და განკარგულების ძალით იქმნა ბრძანება, რათა კონსტანტინე ერივანში გადაეყვანათ საცხოვრებლად.

არც ხელმწიფე იმპერატორსა და არც საქართველოს მთავარ მართებელს არ უნდოდათ კონსტანტინე დადიშქელიანს სასტიკად მოპყრობოდნენ.

11 ენკენისთვეს 1857 წ. გამოქვეყნებული იქმნა უმაღლესი ბრძანება, რომლის ძალით თავ. ისლამი და თენგიზი გადაესახლებინათ რუსეთში, როგორც მკვლელნი თავ. ჯანსუხისა. თავ. კონსტანტინესათვის უნდა დაებრუნებინათ ჩებუხევის მამული, მხოლოდ უგანათლებულესის ტიტულის მაგიერ მას უნდა ჰქონოდა ტიტული ბრწყინვალებისა. ეს უმაღლესი ბრძანება ვერ იქმნა მოყვანილი სისრულეში საჩქაროდ მისთვის, რომ სვანეთიდან იბარებდნენ ისლამსა და თენგიზს და ისინი კი არ მოდიოდნენ ქუთაისში გამოსაცხადებლად. ეს უკანასკნელნი, რომ დროზედ გამოცხადებულიყვნენ თავ. კონსტანტინეც აღარ გახდებოდა მსხვერპლი უბრალო შემთხვევითი განკარგულებისა.

თავ. კონსტანტინეს დახვრეტის შემდეგ რუსის მთავრობა შიშს მიეცა, რომ ძმები კონსტანტინესი სამაგიეროს გადუხდიდა მათ და ვინმე გახდებოდა მსხვერპლი მათი იარაღისა. ამისათვის გადასწყვიტეს უსათუოდ კონსტანტინეს ძმები გადაესახლებინათ შორეულ რუსეთში. ეს განკარგულება სისრულეში მოიყვანეს ერთი წლის შემდეგ, ისიც მაშინ, როდესაც ერთი მათგანი პორუჩიკი ალექსანდრე დადეშქელიანი გადაიყვანეს შორეულ ციმბირში სამსახურში. ალექსანდრე ისე კარგად მიიღო ციმბირის გენერალ-გუბერნატორმა მურავიოვმა—ამურსკიმ, რომ ალექსანდრეს გული მოულბა და თავის ძმებს სწერდა დამორჩილებოდნენ ხელმწიფე იმპერატორის ნება-ყოფილებას. ამ დადიშქელიანების მამული რუსის მთავრობამ შეიყიდა 150 ათას მანეთად.

ამის შემდეგ არ გაუვლია დიდ ხანს და შეერთებულ იქმნა ბეჩოსი და ეწერის მთავარიც თავ. თენგიზ დადეშქელიანი. შუამავლად არჩეულ იქმნა ცებელდის უფროსი თავ. მარშანია, რომელმაც ნებას დაიყოლია თენგიზ დადეშქელიანი და უარი განაცხადა იმ ავტონომიაზედ, რომელიც მინიჭებული ჰქონდა მას უმაღლესად 1833 წ.

ამნაირად მოისპო თავ. დადეშქელიანების სამფლობელოს ავტონომიები.

რაიცა შეეხება თავისუფალ სვანეთს, ის უფრო ადრე და უფრო იოლად იქმნა შეერთებული რუსეთთან.

მე-40 წლებში იქ გაიგზავნა დეკანოზი ქუთათელაძე მისიონერად. ქუთათელაძემ დიდი სიყვარული და ნდობა მოიხვეჭა სვანეთში, ბევრი მათგანი გააქრისტიანა. მისი რჩევით სვანებმა დეპუტაცია გაგზავნეს თბილისს ვორონცოვთან, რომელსაც სთხოვდენ მიეღოთ მათი მხარე მათ მფარველობაში. 1847 წ. თავისუფალი სვანეთი გამოცხადებულ იქმნა რუსეთის საბოქაულოდ. სვანეთის გასაცნობად ვორონცოვმა გაგზავნა იქ პოლკოვნიკი ბარტოლომეი, რომელმაც ხალხს ფიცი მიაღებინა და დააარსა მალახო-იფარის საბოქაულო. ეს საბოქაულო ემორჩილებოდა რაჭის მაზრის უფროსს.

პირველი ბოქაული, რომელიც დაინიშნა სვანეთში იყო თავ. მიქელაძე.

მიქელაძე საუკეთესო მოხელეთ ითვლებოდა. მართლაც, რომ ძალიან მოწადინებული იყო ისე მოქცეულიყო, რომ სვანების გული მოეგო. მიუხედავად მისი გულკეთილობისა სვანებს მაინც არ ეპიტნავათ რუსის მოხელის ზოგიერთი კანონები, და ოთხი თვის შემდეგ მას ბარგი აუკრეს. 4 თებერვალს 1849 წელს, მიქელაძე იძულებული შეიქმნა სამეგრელოში გაქცეულიყო და იქ შეეფარებინა თავი.

როდესაც ეს ვორონცოვმა გაიგო, გაჯავრებულმა ბრძანა მოესპოთ სვანეთის საბოქაულო და თავისუფალი სვანეთი სრულად გამოერიცხათ რუსეთის სამფლობელოდან. მთელი სამი წლიწადი თავისუფალი სვანეთი ისევ შინაურ მართვა-გამგეობას მიეცა. მაგრამ ჩხუბმა, განხეთქილებამ და უთანხმოებამ ისევ ჩქარა იჩინეს თავი, ამისათვის სვანებმა 1852 წელს ისევ მიმართეს ქუთაისის გუბერნატორს გაგარინს დაენიშნათ მათთვის რუსის ბოქაული. როგორც გაგარინი, ისე ვორონცოვი დიდხანს ყოყმანობდნენ და არ უნდოდათ სვანეთში დაენიშნათ ბოქაული, იცოდნენ, რომ იქ რუსის კანონები და ბოქაული ვერას გააწყობდნენ. ბოლოს იმ შიშის გამო, რომ სვანები არ მიმხროდნენ სხვა მეამბოხე მთიულებს, რომელთანაც მაშინ საქმე ჰქონდა რუსის მხედრობას, ვორონცოვმა ბრძანა ბოქაულის დანიშვნა. ბოქაულად ისევ თავ. მიქელაძე დანიშნეს, მაგრამ განსაკუთრებული ინსტრუქციით, რომელიც უფრო უახლოვდებოდა სვანების ზნე-ჩვეულებას და ცხოვრებას.

ბოლოს მთელი ზემო სვანეთი ერთ საბოქაულოდ გადააკეთეს. 1859 წელს იქ ბოქაულად დანიშნეს მოხუცებული კაპიტანი თავ. ამირაჯიბი.

ეს უკანასკნელი ისეთ კარგ მოხელედ გამოდგა, რომ მთელი სვანეთში მან მამის სახელი მოიხვეჭა. სვანები ამირაჯიბს ბოქაულის მაგიერ მამას ეძახდნენ. რუსის მთავრობისათვისაც ის კარგი მოხელე გამოდგა, ვინაიდგან ეს პირველი კაცი იყო, რომელმაც სვანებს რუსის მთავრობა ცოტა-თი-თუ ბევრად შეაყვარა.

ავ. აბესაძე.

მებრძოლი სახელმწიფონი

გერმანეთი.

II

როგორც დავინახეთ, ბისმარკმა მტკიცე საძირკველი ჩაუყარა გერმანეთის იმპერიას 1871 წელს. ისტორიას არ ახსოვს არც ერთი მაგალითი ომის შემდეგ სახელმწიფო ასე სწრაფად გაზრდილიყოს და აღორძინების გზას დასდგომოდეს, როგორც ეს ახალგაზრდა იმპერია დაადგა ამ სახელოვან გამარჯვების შემდეგ. საფრანგეთთან ომის დაწყებამდე გერმანეთი ღარიბესი ქვეყანა თუ არა, ყოველ შემთხვევაში დღევანდელ ბელგიაზე და მით უმეტეს ინგლისზე და საფრანგეთზე დაბლა იდგა. მსოფლიო ბატონთა შორის მას მეექვსე ხარისხოვანი ადგილი ეჭირა. არავინ იცოდა მისი მრეწველობა ანუ ვაჭრობა რაში მდგომარეობდა. უმთავრესად მთელი ეს ქვეყანა მიწადმოქმედებას მისდევდა და მითი ირჩენდა თავს. მაგრამ აი, დასჯაბნა ერთი პირველთაგანი—საფრანგეთი და შეიცვალა როლებიც. მალე მიწათმოქმედ ქვეყნიდან გერმანეთი გახდა მრეწველობისა და ვაჭრობის ქვეყანად. ახალი მიმართულება იმდენად სარფიანი გამოდგა, რომ თვით გლეხობამ უკანა პლანზე დააყენა ხვნა-თესვა და თავიანთ მინდვრებზე დაიწყეს ჭარხლის მოყვანა, რა არის შაქრის ქარხნებისათვის შეეწყოთ ხელი, სთესდნენ სხვა და სხვა სამრეწველო მცენარეს, სელს, თამბაქოს.

ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას დიდად ხელი შეუწყო სამხედრო კონტრიბუციამ, იმ ხუთ მილიარდმა ოქრომ, რომელიც პარიზიდან შემოჰზიდეს რაინის ნაპირებზე. ოქრომ შეაძლებინა გერმანელთ სამეტალურლიო ქარხნები გაეხსნათ, რომელთა მეთაურად გამოვიდა კრუპპი ქალაქ ესსენში ვალდი, დორპი, ბურშაიდი, ლაიპლინგენი და მრავალი სხვა,—აი ის ქალაქები, რომელთაც თუჯისა, რკინისა და ფოლადის მრეწველობით მთელს მსოფლიოს გაუსწრეს წინ და ერთი მეტოქეც აღარ ჰყავთ. ასეთივე სასწაული მოახდინეს ქვანახშირის მრეწველობით. 1870 წლამდე გერმანიის ამ მხრივ არ იცნობდნენ. შემდეგ კი, მთელი რურას აუზი, ვესტფალიაში ესსენის აღმოსავლეთით, ქალაქი დორტმუნდი უეცრივ გაიზარდა, მცხოვრებთა რიცხვმა მალე 300 ათასამდე მიაღწია და მისი ქარხნებიც მსოფლიოზე საყვირსა სცემენ. იგი ცენტრადა ჰხდება, რომელიც თავისთან ერთად ააყვავებს გარშემო მდებარე ქალაქებს, როგორც მაგალითად ჰელზენკირხენს, შალკეს, იუკენდორფს, ვიტტენს, ვატტენშეიდს და მრავალს სხვას.

თუ შემოტანილმა ოქრომ ასეთი სამსახური გაუწია გერმანელთ, შემოერთებულმა ახალმა ქვეყანამ ელზას-ლოტარინგიამ თავისი წვლილი შეიტანა მის სიმდიდრის უზრუნველყოფაში. ელზას-ლოტარინგია სახარბიელო იყო გერმანეთისთვის არა მარტო იმ მხრივ, რომ ორი მილიონი მცხოვრები კიდევ შეემატა, არამედ იმიტომ უფრო, რომ ეს ქვეყანა ერთი უმდიდრესი კუთხეთაგანი გახლდათ. მის შემოერთებისათანავე გერმანეთის იმპერიაში ორჯელ გაიზარდა ბამბეულობის მრეწველობა. ამ მხრივ ელზასმა გაჰხადა იგი მსოფლიოში პირველ ქვეყნად. ერთი სიტყვით, ჩვენ ვხედავთ, რომ ყოველს დარგში იზრდება გერმანეთის ძალ-ღონე, იზრდება და იფურჩნება მისი ნივთიერი მხარე. ქარხნების საოცარმა ზრდამ ის ნაყოფი მოუტანა, რომ გერმანეთი ამ მხრივ ოც მილიარდს მარკას იჩხრიალებს წლიურად, ესე იგი ცხრა მილიარდ მანეთამდე. თუ რა ფულია ეს ფული, იქიდანაც შეგვიძლიან გავითვალისწინოთ, რომ მთელს რუსეთში წლიურად ყოველს დარგის ფაბრიკა-ქარხანაზე თვით იმის ნახევარსაც არ ამუშავებენ, რასაც გერმანეთი მარტო ამ მოგებას იღებს.

გერმანეთის ზრდას ყველა სახელმწიფონი გაფაციცებით თვალყურს ადევნებდნენ, მაგრამ მაინც ვერას ახერხებდნენ, რომ როგორმე ფრთები შეეკრათ. ის კი არა, თვით გერმანეთმა მოქმედება მალე მეტროპოლიიდან გარედაც გაიტანა. მას ვხედავთ ინგლისისა და საფრანგეთის ახალშენებში, ყოველგან მის საქონელს ეზიდებიან ბაზარზე, ინგლისელები და ფრანგები იძულებული ჰხდებიან მათგან იყიდონ და შემდეგ თავიანთ ქვეყნებს მისთავაზონ საჭირო საქონელი. ასე მიდიოდა გერმანეთი განდიდებისაკენ, ასე შეუსვენებლივ იზრდებოდა ყოველი მხრიდან. მთელი ქვეყანა მოიფინა უამრავი რკინის გზებით. შიგნით თუ გარედ მისმა ვაჭრობამ და მრეწველობამ ახალგაზრდა სახელმწიფო უძლიერეს სახელმწიფოდ ამოუყენა გვერდით და მალე მათი პირველობის კვერთხი იგდო ხელთ. სავაჭრო ფლოტი რაინზე თუ ზღვებზე თვალს უყენებს ინგლისისას. მალე სამხედრო ფლოტითაც იმაგრებს ფრთებს. ეხლა გერმანეთის ფლოტი ერთად ერთს ინგლისისას თუ ჩამოუვარდება, თორემ მსოფლიოზე სხვა მეტოქე დიდი ხანია მოიშორა. ვინ იცის, იქნებ რამდენიმე წელში ზღვის დედოფლისთვის მოეხადნა პირველობის გვირგვინი, რომ ეს ომი არ მომხდარიყო! აი ეს იყო მიზეზი, რომ გერმანეთისადმი ყველა მძულვარებით აივსო, მძულვარებით და შიშით. ინგლისი სადაც კი მოიხელებდა, საერთაშორისო ცხოვრებაში ებრძოდა გერმანეთის გავლენის გაძლერებას, რა თქმა უნდა, თავის გავლენის გასაძლიერებლად. ყველა ეს თავისთავად ჰგულისხმობდა, რომ ორი მეტოქის შუა დიდი კონფლიქტი მზადდებოდა, რაც ადრე თუ მალე სამხედრო შეხლით უნდა გათავებულიყო. არა ერთხელ მიიღო გერმანეთმა წინადადება ინგლისის მიერ შეეჩერებინა სამხედრო ფლოტის გაძლიერება, მაგრამ გერმანეთი ყურს არ იბერტყავდა. ჯერ კიდევ ომამდე მისი სამხედრო ფლოტი შესდგებოდა 390 სხვა და სხვა მნიშვნელოვანი გემებისაგან. იგი შეუჩერებლივ აგებდა ახალ-ახალ დრედნოუტებს. კილის ნავსადგური ბალტიის ზღვაზე და ვილჰელმსჰაფენი ჩრდილოეთის ზღვაზე,—აი განსაცვიფრებელი ადგილები, სადაც თავი მოუყრიათ მათს ზღვის ვეშაპებს; კუნძული ჰელჰოლანდი,—აი ნალმოსანთა და წყალქვეშა ნავთა მკვიდრი ბინა, ხოლო კუქსჰაფენი და ბრუნსბიუტელი,—აი ის მზარავნი ციხენი, რომელნიც სრულიად უზრუნველჰყოფენ სამხედრო ფლოტის სადგურებს კილის არხთან.

De-Ka

(შემდეგი იქნება)

რედაქტორ-გამომცემელი
ხანდრო შანშიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	10.33	საღ.
ბორჯომის	სამგზ.	№ 17,	8.27	დილ.
„	სამგზ.	№ 19,	3.19	დღ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	11.13	დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54	დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-3,	11.13	საღ.
თელავისაკენ		№ 4, 7 „	58 „	დილ.

თფილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	9.52	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.43	დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12	საღ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08	დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12	საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	8.48	საღ.
თელავიდან		№ 3, . 7 „	58 „	საღ.

სუსუნატი

ვისაც სურს [illegible] და სამუდამოდ განიკურნოს ამ ავადმყოფობისაგან მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მისი თავიდან მოშორება შეიძლება **სუსუნატის** წამლით პირველ-ხარისხოვანი „გონოზანით“. ეს წამალი სულ რამდენიმე დღეში ჰკურნავს დაძველებულ სუსუნატს. საშვალება **ნაცადია ტფილისის, რუსეთისა და საზღვარგარეთელ ექიმებისა და პროფესორების** მიერ და აღიარებულია საუკეთესო წამლად სუსუნატის მოსარჩენად.

ჩვენი გარანტია.

თუ თქვენთვის ეს საძნელო არ იქნება, გთხოვთ შეეკითხოთ რომელსაც გსურთ ექიმს ჩვენს აბებზე და ის აუცილებლად აგიხსნით, რომ ეს აბები საუკეთესო და რადიკალური საშვალებაა. საშვალება ერთნაირად ნაცადია მამაკაცებზეც და ქალებზეც. მაშ, ნუ ხარჯავთ დიდ ფულს უშედეგო წამლობაზე, რადგანაც 3 კოლოფი და სამი შუშხაპუნებით რომელიც წამალთან არის ერთად, სავსებით ჰკურნავს ავადმყოფს ამ მძიმე სენისაგან.

ერთი კოლოფი აბებისა ღირს 4 მან. და 3 შუშა შეშხაპუნებული ღირს ცხრა მან. სხვა ქალაქებში გაიგზავნება 3 მანეთის მიღების შემდგომ.

მიწერ-მოწერა და წამლის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ **რ. შმიდტ** თბილისი, თხინვალის ქუჩა № 12 отд. 3. მახლობლივ გოლოვინის პროსპექტისა და მეჟავოს ქუჩის.

Р. Шмидтъ, Тифлисъ, Тхинвалская ул. № 12 отд. 3.

პირადად ნახვა შეიძლება 2—5 საათამდე. წამალი იყიდება მთელი დღე. —300—

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

კომერციულ ცოდნათა

კურსები

ტ. მ. ფილოიანისა

ორივე სქესისთვის

(თბილისი, მიხეილის პროსპ., № 24, ტელ. № 976)

თხოვნები მიიღება: 4—5 საათ. საღამოთი. მეცადინეობა დაიწყება 15 სექტემბერს. პროგრამები და წესდებანი მსურველთ გაეგზავნებათ, ან მიეცემათ უსასყიდლოთ კურსების კანცელარიაში.

(20—231—13)

სავაჭრო სახლი

„ძმ. სესიევები და ამხ.“

(ვაგზლის ქ. № 6)

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ პირველ ივნისიდან ამა 1916 წ. თავის საწყობში წვრილად გაიყიდება

ნამდვილი კახური საკუთარი ვენახების ღვინო

ხილეული, მადნეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე ლაღიძის და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის ნამდვილი სამკურნალო წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების ყალბი ეტიკეტების მიმსგავსებით ნამდვილი ლაღიძის წყლის ეტიკეტის ნიშანი შემდეგია

ქართულად თაემოთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო სამრეწველო მინისტრის მიერ პეტროგრადში და თვით პრობკებსაც აწერია

„ლაღიძის წყალი“

ქუთაისში
მ. ლაღიძე და ამხ.
საუკეთესო ხილეული წყალი
1900
ქარხანა
თბილისში

მხოლოდ და მარტო ლაღიძის წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით და მასთანვე

სუნი და გემოც საამური აქვს

წლ.

თევზის მრეწველნი

ძმ. ძეგველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „დ. მაილოვის-ზვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზალადა, მცირე მარილიანი, შავი „ამშორნი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან

სტამბა „ცხოვრება“ კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.

წლიწადი მეორე   ფასი 7 კაპ.   სამშაბათი, 13 ენკენისთვე 1916 წ.   № 203

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. [illegible] ლებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 5 მ.; 20×2 ღირს 7 მ., 25×2 ღირს 8 მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი.

დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წლიწადი მეორე. **საქართველო** წლიწადი მეორე.

ტფილისში ღირს: ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 80 კ. 3 თვით—3 მ. 60 კ. 1 თვით—1 მ. 20 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

პროვინციაში: წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან.

სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 5 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 6—მან.

გაზეთის კანტორა ღია დილით—9—3 საათამდე.

ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი **ხარიტონ შავიშვილი.**

გრიგოლ ვასილის ძე ჩარკვიანი, თამარ გრიგოლის ასული ლოსაბერიძისა, ნინო და მარიამ გრიგოლის ასულნი ჩარკვიანი, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდგომ, პირველი მეუღლის და შემდეგნი ძვირფასი მშობლის

ელისაბედ დავითის ასულის ჩარკვიანისას

გამოსვენება საკუთარ სახლიდან, მაგისტრალის და ხუდადოვის ქუჩის კუთხე, ნაძალადევში, ივერიის ღვთის-მშობლის ეკლესიაში. დასაფლავება იმავე ეკლესიის გალავანში. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. დასაფლავების დღე ცალკე გამოცხადდება.

(2—330—1)

თამარ გრიგოლის ასული, ვლადიმერ ვასილის ძე და ცაცა ვლადიმერის ძე ლოსაბერიძენი, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდგომ, პირველის დაუვიწყარ დედის, მეორის სიდედრის და მესამის დიდედის

ელისაბედ დავითის ასულის ჩარკვიანის

გამოსვენება საკუთარ სახლიდან, ხუდადოვის და მაგისტრალის ქუჩ. ნაძალადევში, ივერიის ღვთის-მშობლის ეკლესიაში. დასაფლავება იმავე ეკლესიის გალავანში. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. დასაფლავების დღე ცალკე გამოცხადდება.

(2—331—1)

პეტრე პავლეს ძე კვირიკაშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულის ძვირფას საყვარელის და დაუვიწყარ მეუღლის

ალექსანდრა (საშა) კონსტანტინეს ასულის კვირიკაშვილის

სულის მოსახსენებლათ იქნება გადახდილი ხუთშაბათს, 14 ენკენ, წირვა დაიწყება დილის 9 საათზე და პანაშვიდი 12 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში.

(1—329—1)

ახალი მელანი
კოტე ონიკაშვილისა

მელანი ასლის ახალგაზდაც („კოპიროვკისთვის“) კარგია

დავამზადე მელანი და ვყიდი შემდეგ ფასებში

ვინც 20 მანეთზე მეტს გამოიწერს ფლაკონით ეღირება 1 მ. 20 კაპ.

ფუთი უბრალო შუშით 40 მან.

სანიმუშო მელანი ფას დადებით გაეგზავნებათ.

✦ მსურველს მივაწვდი ჩემის მელნის ნიმუშს ✦

მისამართი: ქ. თელავი, კოტე ონიკაშვილი.

საგალანტერიო მაღაზია
ძრ. ივ. ჭავჭანიძისა და ი. ი. გველესიანისა

იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.

იყიდება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი: ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი

(101—წ.)

ღვინის საწყობი
ნიკო გ. სესიაშვილისა

✦ იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი ✦

კახური ღვინო

განოვის ქუჩა № 4.

——— სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა. ———

(185—წ.)

ენკენისთვის 20-ს, სამშაბათს,
თავად-აზ. დეპუტატების საკრებულოში მოხდება
(ბელინსკის ქ. № 2)

საქართ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთა წლიური კრება

კრების დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

საგანი კრებისა: 1) ე. ს. თაყაიშვილის მოხსენება ლეჩხუმის ზოგიერთ ეკლესიათა შესახებ. 2) საზოგადოების 1915 წლის მოქმედებისა და შემოსავალ-გასავლის ანგარიში. 3) სარევიზიო კომისიის აქტი. 4) 1816 წლის სავარაუდო აღრიცხვა შემოსავალ-გასავლისა. 5) ახალ წევრთა არჩევანი. 6) საბჭოსა და სარევიზიო კომისიის წევრთა და მათ კანდიდატთა არჩევანი.

კრებაზე დასწრება გარეშეთაც შეუძლიანთ.

(1—249—1)

დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში
(ბელინსკის ქუჩა 2)

სამშაბათს, 13 სექტემბერს,

თბილისის ქართველ ქალთა საზოგადოება

ჰმართავს ჩვეულებრივ კრებას, რომელზედაც

ქ-ნი დომინიკა ჩიხლაძე

წაიკითხავს მოხსენებას

ქეთევან წამებულზე

(2—28—2)

სასცენო სტუდია ს. ნ. ვორონოვისა
ქართულსა და რუსულ ენაზე

I განყოფილება — დიქცია და დეკლამაცია.
II „ — პლასტიკა და გიმნასტიკა.
III „ — თეატრის ისტორია.
IV „ — ესტეტიკა.
V „ — პრაქტიკული მეცადინეობა.

ცნობების მიღება შეიძლება ოთხშაბათ-კვირაობით, საღამოს 6—7 ს. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში. ტელეფონი 8—43. დანარჩენ დღეებში 12—1 საათამდის და საღამოს 6—7 საათამდის, ნიკოლოზის ქუჩა № 64, სადგომი ვორონოვისა.

(თ.—230—14)

პირველ ხარისხოვანი რესტორანი

კაფე პარიზი

ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.

(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის“ ქვეშ)

სიცხისაგან თავის შეფარება მხოლოდ „კაფე პარიზში“ შეიძლება.

ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია

ყოველ დღე მზადდება

საუზმე, სადილები, ვახშმები

ჩაი, ყავა, ხაჭაპური, პიროჟკები

ადგილობრივი და უცხოური ხილეულები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.

პატივისცემით ხიდ. ხ. გიგიბერია.

ექიმი
ფონ-ირტელი

(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).

მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი (Бѣль), საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის $9^1/_2$-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.

ერლიხის „914“ და „606“ შეშხაპუნება

ექიმი
მ. ი. ვაჩნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

დ. ზესტაფონში
ექიმი
დ. კ. მაჭავარიანი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

✦ პროვიზორის ახვლედიანისა ✦

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.

უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა
ექიმი
ა. დ. შაჰბაზიანცი

ყოფილი ასისტ. ბერლინის უნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. საღ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

ექიმი-დოსტაქარი
ბ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

ბოროტმოქმედება

სამართლიანი გულისწყრომა და აღშფოთება გამოიწვია იმ ცნობამ, რომელიც ადგილობრივ გაზეთების კვირის ნომერში იყო მოთავსებული. ამ ცნობით, თბილისის ქალაქის გამგეობის ერთ წევრს ყოვლად ულირსი საქციელი ჩაუდენია. ქალაქის გამგეობის ფირმით და სახელით მას თურმე არსობის პური პირიდან გამოუცლია იმ ქალაქის პატარებისა და დიდებისათვის, რომელსაც ამ პირისთვის ხმა მიუცია, ნდობა გამოუცხადებია და თავის საქმეების ერთ-ერთ გამგედ აურჩევია! არის დანაშაული, რომლის პატიება და შენდობა ადამიანის ზნეობისა და მართლმსაჯულებისა სრული გაკოტრება და გახრწნა იქნებოდა. დანაშაული, რომლის ავტორად თბილისის გამგეობის წევრი, ბ-ნი ჯაბარი გამოდის, სწორედ ერთი ასეთი დანაშაულია.

ურცხვი ანგარებით შეპყრობილმა არ დაინდო თავისი ამომრჩევლები: დაალალატიანა ისინი, ვინც იგი ნდობით და პატივით აღჭურვა. რაც ამ დანაშაულს კიდევ ამრავალკეცებს, ეს ის გარემოება გახლავთ, რომ ბ-ნი ჯაბარისა და მისი ამხანაგების სპეკულიაცია ლუკმა პურზედ ხდება, სწორედ იმ ლუკმა პურზედ, რომელსაც დაკეტილი ფურნეებისა და თონეების წინ გუშინ და გუშინ წინ და კიდევ ადრე ასე ნერვიულად დარაჯობდენ რიგში გამწკრივებული თბილისის მცხოვრებნი, დედები, ბავშვები და ოჯახის მამები! თითქოს განგებ, ამ საერთო სიმშილის დროს ბ-ნ ჯაბარს რომ თავისი ანგარიანი გულისცემა უკეთ დაეკმაყოფილებინა, იგი მთელი ქალაქის სურსათის საქმის გამგეა. შაქარმა, ფქვილმა და სხვა პირველ საჭიროების საგანმა ბ-ნ ჯაბარის ხელში უნდა გაიაროს, იქ უნდა გაიცხრილოს.

მთავრობაც განსაკუთრებულის ყურადღებით ეპყრობა ქალაქის მცხოვრებთა საჭიროებას და ხშირად თვით სამხედრო საჭიროების საზიანოდაც კი, ქალაქს ვაგონებს უთმობს, რომ ეს უსაჭიროესი სანოვაგე შემოზიდოს.

და ასეთ განსაკუთრებულს პირობებში, როდესაც ყოველი მხრიდან მსხვერპლია გაწეული პურის შემოსაზიდათ და მცხოვრებთა გამოსაკვებათ, ქალაქის არჩეული პირები სპეკულიაციას ეწევიან, ანგარობენ და საზოგადოებას დღეებს უმწარებენ. და როდესაც ასეთ ბოროტმოქმედებას ფარდა აეხდება, საზოგადოება სამართლიანად დრტვინავს და ღელავს.

საზოგადოებაში ჯერ კიდევ არ დამცხრალა ის მღელვარება, რომელიც ბ-ნ შაჩკოვსკის სპეკულიაციის ამბავმა გამოიწვია, რომ ეხლა ახალი ამაშფოთებელი ბოროტმოქმედება წაემატა. და რადგანაც საზოგადოება მოკლებულია ყოველგვარ საშუალებას მუდმივი კანტროლი გაუწიოს იმ პირთა მოქმედებას, რომელთა ხელშიც მოქცეულია სურსათის მოგვარების საკითხი, და ამგვარად თავიდან აირიდოს მათი მოსალოდნელი ბოროტმოქმედება, მას ის-ღა დარჩენია, რომ post factum მაინც მოითხოვოს ამ პირთა პირუთვნელი გასამართლება. ზარალ გადახდილ და შავ-დღე გამოვლილ საზოგადოებას ეს კომპენსანცია მაინც უნდა მიეცეს.

გ. ვაშაძე.

ომის ამბები

ბრძოლის ველზე

მკითხველებმა უკვე იციან, რომ რუმინეთი პირველად ავსტრიელებს ეკვეთა და ტრანსილვანიაში შეიჭრა. გადალახა საზღვრები და რამოდენიმე საყურადღებო სიმაგრეებიც იგდო ხელში. ჯერ-ჯერობით სამხრეთით ბოლგარელებთან ომიც კი არ იყო გამოცხადებული. ყველა სამხედრო მიმომხილველნი ადასტურებდა იმ აზრს, ვითომ რუმინელები და რუსები შეთანხმებულად მოქმედობდნენ ავსტრიელების წინააღმდეგ. ჩვენ მაშინვე წინ აღუდექით ასეთ მოსაზრებას. ვამტკიცებდით, რომ არც ტრანსილვანიაში და კარპატებში ფართო ოპერაციების დაწყებას ადგილი არ ექნება; ჯერ ისედაც მთა-გორიან ადგილებში ზამთრობით ყოველგვარ საშუალებას მოკლებულია სამხედრო შტაბი მტერს პირდაპირ ეკვეთოს და გენერალურ ბრძოლაში ჩაითრიოს. ჩვენ არც ის ცნობა გავიზიარეთ, ვითომ გერმანელები თავიანთ ჯარებს ტრანსილვანიაში ავსტრიელების დასახმარად აგროვებდნენ. ასეთ შეცდომაში, რასაკვირველია, უპირველესად რუმინეთის ცნობებს შეჰყავნდა სამხედრო მიმომხილველნი. მათ შეტევას ისეთი მკაცრი ხასიათი ჰქონდა, რომ მართლაც ყველა იფიქრებდა, ვითომ რუმინეთი გადამწყვეტ და მთავარ ბრძოლას იწყობდეს.

არ გასულა სულ მოკლე ხანი, რომ სამხრეთით ბულგარელებმა იწყეს შეტევა. გერმანელები უეცრივ სწორეთ აქ გაჩნდნენ. თუ რამდენად სერიოზულად ჰფიქრობდა მტერი ამ ასპარეზით მოქმედობას, მარტო იქიდანა სჩანდა, რომ თავისი სახელოვანი სარდალი მაკენზენიც აქ დანიშნა. პირველი ნაბიჯი მათი გამარჯვებით დამთავრდა. გერმანელებმა და ბულგარელებმა ქ. ტურტუკაი დაიპყრეს, შეიჭრენ დობრუჯაში და თითქმის 70 ვერსით წინ წაიწიეს. ბრძოლამ ამ პროვინციაში თითქმის რამდენიმე კვირამ გასტანა და საშინელი მკაცრი ხასიათიც მიიღო. რუმინეთის მთავარი შტაბი ან სდუმდა, ან და ორი სიტყვით გვამცნობდა, ბრძოლა გრძელდებაო. ვინ იცის რამდენი რუმინეთისთვის არა ხელსაყრელი ეჭვი დაიბადა საზოგადოებაში. ბოლოს კი გამოირკვა, რომ მტერი ახალმა მებრძოლმა მოიგერია და უკანაც დაახევინა. არც ახლა ვიცით, თუ სად გაჩერდნენ ბულგარელები და გერმანელები. არც ის არის ნაჩვენები თუ რამდენად უკან დაიხიეს. მოხდა ეს მათი უკან დახევა დიდი ბრძოლის შემდეგ თუ მხოლოდ მოწინავე რაზმები განდევნეს,—ამის გამოცნობაც ძალიან ძნელია, რადგან რუმინეთის მთავარი შტაბი ამის შესახებაც არაფერს ამბობს. აგრეთვე არ ვიცით, შესძლეს ბულგარელებმა და გერმანელებმა მდ. დუნაის გადალახვა თუ ვერა.

უკანასკნელ დღეებში მოსული ცნობები ხომ სრულებით ვერ არკვევენ მდგომარეობას. ვიცით მხოლოდ, რომ ავსტრიელები იერიშებს განაგრძობენ და რუმინელებიც, მაგალითად, გუშინდელ ოფიციალ დეპეშის ცნობით, ამ იერიშებს იგერიებენ. რა ხდება სამხრეთით ცნობა არ მოსულა.

აღსანიშნავია გერმანელების ახმაურება დასავლეთის ბრძოლის ველზე. მათ რამდენჯერმე დაუწყიათ მოშხამულ გაზების ხმარება. იერიშებითაც

წამოსულან, მაგრამ რუსებს მოუგერიებიათ. კარპატებში ავსტრიელები სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ რუსეთის ჯარს და ალაგ-ალაგ კონტრიერიშებს აწარმოებენ. მდ. სტოხოდზე დაწყებული ბრძოლის შესახებ ეს ორი დღეა რუსეთის სამხედრო შტაბი არაფერს არ გვატყობინებს. შეიძლება აქ ბრძოლა სრულებით განელდა ან და ჯერაც არ დამთავრებულა.

სოლუნიდან მოკავშირეთა ჯარების მოქმედების შესახებ ღირს შესანიშნავი ცნობა არ მოგვსვლია.

X.

ომის დეპეშები

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა

11 ენკენისთვე.

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. ნაროჩის ტბის სამხრეთ-დასავლეთით 9 ენკენისთვეს მოპირდაპირემ მოწამლული გაზის დახმარებით იერიში მოიტანა, რომელმაც 2 საათს გასტანა. მოვიგერიეთ ზარბაზნებისა, თოფებისა და ტყვიისმფრქვეველების სროლით. ბარანოვიჩის სამხრეთ-აღმოსავლეთით სოფ. დარევოსა და ლაბუზის მიდამოებში მოპირდაპირე მოწამლულ გაზით გაგვიმასპინძლდა.

კავკასიის ასპარეზი. გიუმიანის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი მოწინავე რაზმები მტრის სადარაჯოებს დაეცნენ და ოსმალებს დიდი ზარალი მიაყენეს. რადგანაც წამოღება ვერ მოხერხდა, მტრის ბანაკში დარჩენილი ავლა-დიდება ცეცხლს მივეცით. შავ ზღვაზე, ჩვენმა ნაღმოსნებმა ერეგლის ნავთსადგურში 3 ორთქლმავალი და რამდენიმე იალქნიანი გემი დაღუპა. გემები ქვანახშირით იყო დატვირთული.

12 ენკენისთვე.

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. პრიპიატიდან რუმინეთის საზღვრებამდე ადგილ-ადგილ მედგარი ბრძოლაა. ზემო სერეტში, ტანაევ-ჩარბუზას მიდამოებში მოპირდაპირემ ძლიერი წინააღმდეგობა გაუწია ჩვენს შეტევას, მისი შემოტევა მოვიგერიეთ. ტყვედ წამოვიყვანეთ 1500 ავსტრო-გერმანელი.

კავკასიის ასპარეზი. ზღვის პირის მიდამოებში, ელეუს სამხრეთით ჩვენმა ჯარმა ბრძოლით წინ წაიწია.

11 ენკენისთვე.

ლონდონი. ოფიციალი ცნობა. 9 ენკენისთვეს დუვრის მახლობლად ნაშუადღევს 3 საათზე გამოჩნდა გერმანელების ჰიდრო-პლანი. საჰაეროპლანო ზარბაზნები ავახმაურეთ. რამდენიმე ჩვენი მფრინავი გამოეკიდა მტერს, რომელიც სამი ყუმბარის ჩამოგდების შემდეგ, ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მიეფარა. ზარალი არ მოგვსვლია.

10 სექტემბერს ჩვენმა საზღვაო ჰაეროპლანებმა იერიში მიიტანეს მოპირდაპირის ჰაეროდრომზე სან-დენივესტერში და საგრძნობი ზარალი მიაყენეს.

რიგა. 10 სექტემბერს გერმანელების ახალმა ჰაეროპლანმა რიგაზე იერიში მოიტანა. ჰაეროპლანი ძალიან მაღლა ფრენდა და მალე მიეფარა.

მუკდენი. სინტაორის სადგურთან ჩინელებმა სროლა აუტეხეს იაპონელების პატრულს, მოჰკლეს ერთი. ბამანჩენის მახლობლად მძიმედ დასჭრეს იაპონიის სასურსათო ტრანსპორტის მხლებელი. იაპონიის კონსულმა რჩევა მისცა იაპონელებს, რკინის გზის ფარგალს ერიდეთ, ან ჩინელი მხლებლები გაიყოლეთ ხოლმეო.

ბუქარესტი. რუმინეთის ოფიც. ცნობა. ჩრდილო-დასავლეთის ასპარეზსა და ყალიმანის ხაზზე ჩვენ კვლავ ვუტევთ მტერს. ტყვედ წამოვიყვანეთ 75 კაცი და 1 ტყვიისმფრქვეველი.

სიმიუს და გერმანშტატის აღმოსავლეთით იერიშით მივედით და მტერი უკუ ვაგდეთ. აქ ტყვედ წამოვიყვანეთ 30 მეომარი და წამოვიღეთ 5 ტყვიისმფრქვეველი. ჯიუს ველში ადგილობრივი ხასიათის ბრძოლაა, მტერი უკუვაგდეთ. ხელთ ვიგდეთ 2 ტყვიისმფრქვეველი. დობრუჯში ჩვენმა მარცხენა ფრთამ წინ წაიწია. აქ ტყვედ წამოვიყვანეთ 1 აფიცერი და 53 მეომარი.

პარიზი. ოფიც. ცნობა. სომას ჩრდილოეთით ღამემ მშვიდობიანათ გაიარა. სომას სამხრეთით, სხვა და სხვა ადგილას ძლიერი ბრძოლაა ზარბაზნებით. სხვა ადგილებშიაც ზარბაზნების ბრძოლაა პროჟექტორებით.

9 ენკენისთვეს 56 ბრძოლა იყო მფრინავებისა. მტრის 41 საფრენი ჩამოვაგდეთ. 4 სხვა საფრენიც ძირს დაეშვა, მაგრამ ვერ გავარჩიეთ სად დაეცა. სომას მიდამოებში ჩვენმა 16 ჰეროპლანმა იერიში მიიტანეს ფენსა, ენსა, რუალზელსა და ერვალზე, სადაც 80-დე ყუმბარა ისროლეს 120 ყალიბისა. სუასონის ჩრდილო-აღმოსავლეთით 20 ყუმბარა ესროლეს ავტომობილების სახელოსნოს. მფრინავებმა შეამჩნიეს აფეთქება. 10 ენკენისთვეს ღამე მარკუენის მიდამოებში კანგრეს სამხრეთ-დასავლეთით ფრანგების დირიჟაბლმა რკინის გზაზე მიიტანა იერიში.

დოირანის ტბის მიდამოებში ქვეითა ჯარის მოქმედება არა ყოფილა. აქ უამინდობა აფერხებს სამხედრო მოქმედებას.

ლონდონი. კეპტოუნიდან ოფიციალი ცნობაა 3 ენკენისთვის თარიღით: პორტუგალიის ჯარმა მდ. როვამა გასცურა გერმანელების კუთვნილ აფრიკის აღმოსავლეთ ნაწილში და წინ მიიწევს. აიღეს მოპირდაპირის რამდენიმე პოზიცია.

ქრისტიანია. სკანდინავიის სახელმწიფოთა მინისტრების თათბირი დასრულდა. თათბირის დადგენილებანი ხვალ გამომჟღავნდება. 2 საათზე მეფესთან გამოსათხოვარი საუზმე გაიმართა. საღამოს 6 საათზე, შვეციელი და დანიის მინისტრები სამშობლოსაკენ გაემგზავრნენ.

პარიზი. მახლობელ აღმოსავლეთის ცნობა. სტრუმის მარცხენა ნაპირას კოპრივის ჩრდილოეთით, თაინოსის ტბის მიმართულებით ინგლისელებმა ძლიერი იერიში მიიტანეს ბულგარელებზე. ბელეშას მთიდან კარდარიმდე ძლიერი ბრძოლა განახლდა ზარბაზნებით. ცრნის აღმოსავლეთით სერბიელებმა კაიმაყჩალანის ჩრდილო-დასავლეთით წინ წაიწიეს და ტყვეები წამოიყვანეს. მარცხენა ფრთაზე ბულგარელების მედგარი იერიშები მოიგერიეს „1550“ სიმაღლესთან და მტერი დიდათ დააზარალეს. ფლორინის ჩრდილო-დასავლეთით მოკავშირეთა ჯარმა წინ წაიწია.

ლონდონი. საფრანგეთში მომქმედ ინგლისის ჯარის მთავარ ბანაკის ცნობა. დავღუპეთ მოპირდაპირის 3 საფრენი, 5 დავაზიანეთ. ჩვენ 5 საფრენი დაგვაკლდა.

ტოკიო. მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა 1917 წლის ხარჯთ-აღრიცხვა. ჩვეულებრივი შემოსავალი ნავარაუდევია 547 მილიონი იენი, საგანგებო —500 მილიონი. ჩვეულებრივი ხარჯი 417 მილ. იენი, არაჩვეულებრივი—180 მილ. მომავალი წლიდან 7 წლის განმავლობაში უნდა ააშენონ: 3 ზედრედნოუტი, 2 კრეისერი-დრედნოუტი, 9 სუბუქი კრეისერი, 7 კონტრ-ნაღმოსანი, 8 წყალქვეშა, 2 ტრანსპორტისა და ბოლორია გემი. ამისათვის გადაიდო 258 მილიონი იენი.

ჰირანი. იაპონიის კონსულმა კვანტუნის პროვინციის ჯარის სარდალს მოთხოვნილება წარუდგინა, დაუყოვნებლივ გაიყვანეთ ჩინეთის ჯარი ნაილინსიანისა და რავიუსიანის მიდამოებიდან 50 ვერსის მოშორებით და აგრეთვე 15 ვერსის მანძილზე მოაცილეთ ჯარი გუნჩჟულინ-ჩანლისიანის რკინის გზის მიდამოებსაო.

პარიზი. კალედან იტყობინებიან: პარასკევს, თორმეტის ნახევარზე ახალი ტიპის ცეპელინი გამოჩნდა ქალაქის თავზე, მაგრამ დროზე შეამჩნიეს, პროჟექტორებმა შუქი მიაყენეს და ზარბაზნებმა სროლა აუტეხეს. ცეპელინი ძალიან მაღლა ავიდა და მიეფარა.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ავსტრიის ზარალი.

1914 წლის 1 მარიამობისთვიდან, 1915 წ. 1 მარიამობისთვემდე ავსტრიელებისათვის მოუკლავთ 14,850 აფიცერი და 416 ათასი მეომარი (მოკლული), დაუჭრიათ 26 ათასი აფიცერი და 1 მილიონი და 40 ათასი მეომარი, ტყვედ წაუყვანიათ 763 ათასი მეომარი.

მეორე წელიწადში მოუკლეს 9,904 აფიცერი და 277,500 მეომარი, დაუჭრეს 17,340 აფიცერი და 643,500 მეომარი, ტყვედ წაიყვანეს 387 ათასი.

საბერძნეთის ახალი კაბინეტი.

საბერძნეთის მინისტრთა კაბინეტს პეტროგრადის დიპლომატიური წრეები უფერულად სცნობენ. მინისტრთა შორის პარლამენტის წევრები თეოტოკის პარტიის მომხრენი შედიან, რომელიც გერმანელთა მომხრეა. ახალი კაბინეტის პრემიერ-მინისტრს კალოგეროპულოსს, როგორც დიპლომატიურ წრეებში, აგრეთვე თვით საბერძნეთშიც ნაკლებ იცნობენ. გარეშე საქმეთა მინისტრის ადგილი ეპირის დეპუტატს კერაპანოსს აკუთვნეს, რომელსაც საზოგადოება არ გასცნობია. ესევე უფერულნი არიან დანარჩენი მინისტრები. ამგვარ მინისტრთა შემადგენლობით ცდილობენ კაბინეტის გერმანოფილობა დამალონ, რაც საბერძნეთის სახიფათო მდგომარეობას უფრო ართულებს და ამწვავებს.

კალოგეროპულოსის განცხადება.

ახალმა პრემიერ-მინისტრმა კალოგეროპულოსმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ იგი საჭირო ნეიტრალიტეტს დაიცავს; რაც შეეხება მის გერმანოფილობას, მან სთქვა, რომ იგი გერმანეთს აღტაცებაში მოჰყავს.

ახალი კაბინეტის არჩევა მოკავშირეთა შეუკითხავად მოხდა, რამაც ამ უკანასკნელთა შორის დიდი ეჭვი და უკმაყოფილება დაჰბადა. მოკავშირეთა წარმომადგენლები თავიანთ სახელმწიფოდან მოწერილობას მოელიან იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეხვდნენ ამ ახალ მდგომარეობას.

ან მეფე, ან ვენიზელოსი.

ბუქარესტიდან იტყობინებიან: ჩვენმა სალონიკის მთავარმა კონსულმა ბ. კალმა „ჰაერის“ საშუალებით ბუქარესტის ელჩს ბ. პოკლევსკი-კოზელს ვენიზელოსის გაზ. „დამოუკიდებელი“-ს პირველ ენკენისთვის ნომერი გამოუგზავნა, სადაც სხვათა შორის ნათქვამია: ზაიმისის გადადგომა რომ მართალი გამოდგეს, ეს მაინც საერთო მდგომარეობას ვერ შეასწორებს. პირობების შეცვლა მინისტრთა გადაყენებით კი არ შეკეთდება, არამედ თვით რეჟიმის შეცვლით. საბერძნეთს მხოლოდ რევოლიუცია გამოაბრუნებს. თუმცა ეს სასურველი არ არის, მაგრამ იგი აუცილებლად გადაიქცა. საბერძნეთში მხოლოდ ერთი კაცია, რომელიც შესძლებს საბერძნეთის ხსნას, ეს კაცი ვენიზელოსია, მაგრამ მისი მეფესთან მუშაობა შეუძლებელი გახდა. როგორც მეფის, აგრეთვე ვენიზელოსის გარდაქმნა შეუძლებელია, მათი შეურიგებლობა გამორკვეულია. აღარ ითქმის „მეფე და ვენიზელოსი“. უნდა ვსთქვათ: „ან მეფე, ან ვენიზელოსიო“.

ჰინდენბურგის აზრი.

„ბერლ. ცაიტ.“-ი სწერს: ჰინდენბურგმა რამდენიმე სამხედრო მიმომხილველი სადარბაზოდ მიიღო და განუცხადა: თუმცა გერმანეთის ჯარს დიდი დაბრკოლებანი აქვს დასაძლევი, მაგრამ უფლება გვაქვს იმედი ვიქონიოთ, რომ გამარჯვება მაინც ჩვენი ხვედრია. გერმანელები მაგრად სდგანან ჩრდილოეთით, სამხრეთით, აღმოსავლეთით და დასავლეთით.

საბერძნეთის ახალი მინისტრ-პრეზიდენტი.

„პოლიტიკენ“-ი სწერს: საბერძნეთის ახლად შემდგარი კაბინეტი გერმანეთში კმაყოფილებას იწვევს. ახალი პრემიერ-მინისტრი კალოპერაპულოსი გერმანელთა პოლიტიკურ წრეებში ცნობილია როგორც სული დათ გულით მომხრე მეფე კონსტანტინესი. იგი მტრულად უცქერის მოკავშირე სახელმწიფოებს. ამისდა მიუხედავად გარემოება ისე მოეწყო, რომ იგი იძულებული გახდება მოკავშირეებს მაინც დაუთმოს რაშიმე.

პარიზის გაზეთებიც აღნიშნავენ, რომ კალოპეროპულოსი გერმანელების თანამგრძნობიაო.

ბერლინის გაზეთების ცნობით რევოლიუციონური მოძრაობა მოედო კრიტოსის, მიტელენის, ხიოსის და სამოსის კუნძულებს.

საბერძნეთის ნაციონალისტები სიამოვნებით შეხვდნენ კალოპეროპულოსის პრემიერ-მინისტრობას. ვენიზელოსის მიმდევრები უნდობლად ეკიდებიან ახალ კაბინეტს.

პროტესტი კავალის შესახებ.

ათინიდან დეპეშაა: თუმცა ხმა გავრცელდა, ვითომც საბერძნეთის მთავრობამ კავალის დაჭერის გამო ბულგარეთს პროტესტი განუცხადაო, მაგრამ ეს ხმა დამოწმებული არ არის.

„პატრი“ სწერს: მოკავშირე სახელმწიფოები არა სცდილობენ, რომ საბერძნეთმა ხელი შეუწყოს მათ.

გერმანეთ-ავსტრიის და მათ მოკავშირე სახელმწიფოთა დესპანებმა ოფიციალად სადარბაზოდ ეწვივნენ საბერძნეთის ახალ მინისტრ-პრეზიდენტს.

ნეიტრალ სახელმწიფოთა კონფერენცია.

კოპენჰაგენიდან იტყობინებიან: სკანდინავიის სახელმწიფოთა მინისტრების კონფერენციის გამო კორესპონდენტი შეეკითხა ნორვეგიის პრემიერ-მინისტრს, რომელმაც ზოგიერთ კითხვაზე უპასუხა. მინისტრმა სხვათა შორის განაცხადა: ნორვეგია თავის დღეში არ გაილაშქრებს შვეციის წინააღმდეგ, მით უმეტეს, რომ 1914 წლის მარიამობისთვიდან ამ ორ სახელმწიფოს შორის საიდუმლო შეთანხმება მოხდა. ასეთივე შეთანხმება არ მომხდარა ნორვეგიასა და დანიის შორისაო.

ფელდმარშალი ჰინდენბურგი

„რუს. ვედომოსტ.“ კორესპონდენტი მ. ლურიე საყურადღებო ცნობებს იტყობინება ფელდმარშალ ჰინდენბურგის შესახებ, რომელსაც ამ უკანასკნელ ხანებში იმპ. ვილჰელმი წყალობის თვალით არ უცქეროდა.

გენ. ფალკენჰაინი, როგორც იუწყებიან, იმპერ. ვილჰელმს დიდ კაცად ჰყავდა მიჩნეული და აკი სწორედ ამისათვის იგი დიდხანს ითვლებოდა მთავარ-სარდლის შტაბის უფროსად და სამხედრო მინისტრად. ამგვარად, თუ გენ. ფალკენჰაინი ვილჰელმის ყურადღებას იპყრობდა, ჰინდენბურგს, პირიქით, არა სწყალობდა. როგორც ვიცით ჰინდენბურგი სამხედრო საქმის მეცნიერია, აკადემიის პროფესორი, რომელმაც ომამდე ერთი შესანიშნავი ნაშრომი გამოუშვა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაიფარონ აღმოსავლეთ პრუსია, როგორ გამოიყენონ მაზურის ტბები, აქვე ნათქვამია თუ გერმანეთს მოპირდაპირე რა გზით შეუტევს.

ერთხელ ალლუმის დროს ჰინდენბურგმა დაამარცხა და ალყა შემოარტყა იმ ჯარს, რომელსაც ვილჰელმი სარდლობდა, რაც რომ ვარჯიშობის გეგმაში არ შედიოდა. მალე იმპერატორმა თანამდებობიდან გადააყენა და როდესაც ეს ომი დაიწყეს, ჰინდენბურგის გარდა ყველა გამოჩენებული გენერალი სხვა და სხვა თანამდებობაზე დანიშნა.

მის ბიოგრაფიაში სხვათა შორის ნათქვამია, რომ ომის დროს იგი ჰანოვერში ცხოვრობდა, როგორც კერძო პირი, მაგრამ ომს დიდის ყურადღებით აქცევდა თვალყურს და ბრძოლის რუქას ხელიდან არ უშვებდა. ჰინდენბურგი ამჩნევდა, რომ გენ. რენენკამფი და სამსონოვი იმ გზით უტევდნენ გერმანელებს აღმოსავლეთ ასპარეზზე როგორც მას ჰქონდა დაწერილი, ხოლო გერმანელთა სარდლები მის მიერ ნაჩვენებ გზას არ მისდევდნენ, რაც უნუგეშოდ დარჩენილს ძლიერ სტანჯავდა“. მხოლოდ მაშინ, როდესაც ბერლინი უკიდურესმა შიშმა შეიპყრო, იმპერატორმა მშრალი ოფიციალი ბრძანება გაუგზავნა ჰინდენბურგს, რომ მას დაუყოვნებლივ სარდლობა ეკისრნა და ამასთანავე ჰანოვერში ჩქარი მატარებელიც გაუგზავნა. ექვსი დღის შემდეგ მაზურის ტბებთან ბრძოლა გაჩაღდა, რამაც ჰინდენბურგს ღვთაებრივი სახელი მოუხვეჭა. ჰინდენბურგი მრავალი თვისებით კუტუზოვს წააგავს. აღსანიშნავია, რომ ჰინდენბურგი ომის ორი წლის განმავლობაში იმგვარსავე ცხოვრებას განაგრძობს, როგორსაც ჰანოვერში ატარებდა. ადრე იძინებს და ნებას არავის აძლევს ვინმემ შეაწუხოს, კითხულობს ფრანგულ რომანსებს, სადილს შემდეგ მასლაათობს, ამასთანავე სამი საათის განმავლობაში ლუდს შეექცევა და ნებას არავის აძლევს ომზე ილაპარაკოს. მშვიდი ხასიათისაა და სიმშვიდეს არასდროს არა ჰკარგავს.

ჰინდენბურგი წინააღმდეგია „ფართო ანექსიისა“, ისე რომ იმპერატორი ამ უკანასკნელ ხანამდე მას სრულიად ჩრდილავდა და ერთი წლის განმავლობაში მხოლოდ ამ ბოლო დროს ინახულა.

უკანასკნელი დეპეშები

სატახტო გაზეთების ცნობით: სათათბიროს დეპუტატები, განურჩევლად იმისა, თუ ვინ რომელ ფრაქციას ეკუთვნის, დღევანდელ მდგომარეობის გამო, ერთხმად საჭიროდ სცნობენ ამ მოკლე ხანში მოწვეულ იქმნას სათათბირო.

ახლად შემდგარ საბერძნეთის კაბინეტის წევრები თითქმის რომ გარეშე სახელმწიფოებისთვის სულ უცნობნი არიან. მინისტრ პრეზიდენტად არჩეულია კალოგეროპულოს, რომელიც, თურმე გერმანელების მომხრე ყოფილა. საეჭვოა, რომ ახალმა კაბინეტმა საბერძნეთი დღევანდელ მძიმე მდგომარეობიდან გამოიყვანოს. თუმცა კაბინეტის მეთაურმა გაზეთების თანამშრომლებს განუცხადა, რომ საბერძნეთი მოკავშირე სახელმწიფოებთან კარგ განწყობილებაში იქნებაო. მოკავშირე სახელმწიფოთა დიპლომატიურ წრეებში კი ჰფიქრობენ, რომ ჩვენ და საბერძნეთის დიპლომატები „ერთ ენაზე“ ვერ დავილაპარაკებთო, ერთმანეთში თანხმობა არ იქნებაო.

ახალი ამბავი

სასახლეში.

◆ **მეფის ნაცვალს სადარბაზოდ** წარუდგნენ ინგლისის სამხედრო უწყების ლეიტენანტი ბ. ხილლი და ამერიკის დროებითი კონსული თბილისში—ვილსონ კრესონი.

ქართული დაწესებულებანი.

◆ **ქართული თეატრი.** ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას გადაწყვეტილ აქვს წელსაც იყოლიოს მუდმივი დასი და ქართული წარმოდგენები სისტემატიურად მართოს თბილისში. გამგეობამ ზამთრის სეზონისათვის დასის შედგენა მიანდო ტასო აბაშიძეს, იუზა ზარდალიშვილს და ვალერიან გუნიას. გამგეობამ შემდეგი დახმარება აღუთქვა დასს: 1) უნდა მისცეს 5000 მანეთი სუბსიდიის სახით და 2) წარმოდგენების მთელ შემოსავალს დასის წევრები გაინაწილებენ თავიანთ შორის. ყოველივე ხარჯს, რაიცა წარმოდგენების გამართვას დასჭირდება, კისრულობს დასი. წარმოდგენები გაიმართება სახალხო სახლში და „ახალი კლუბის“-ს დარბაზში. 10 ენკენისთვეს, ზემოდ აღნიშნულმა პირებმა გამგეობას წარუდგინეს სია მსახიობთა, რომელნიც ამ სეზონის განმავლობაში ითამაშებენ. დასში შედიან: ქ-ნნი ნ. დავითაშვილი, ტ. აბაშიძე, ა. ქიქოძე, ნ. ჯავახიშვილი, მ. ქილარჯიშვილი, ა. შოთაძე, ლ. ჩერქეზიშვილი და თანამშრომლად ო. სინაურიძე; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, ი. ზარდალიშვილი. ფრონისპირელი, გ. იმხნელი, ნ. გვარამე, მ. ხონელი, დ. მგალობლიშვილი, ქ. ჩაგუნავა და თარალაშვილი, საჭიროების კვალობაზე დასი მიიპატიჟებს სათამაშოდ ვ. გამყრელიძეს და ბ-ნ გედევანოვს. სეზონი დაიწყება 25 ამა თვეს.

◆ **ახალციხის განყოფილება** სთხოვს ქართ. საქველ. მოქ. საზოგადოების მთავარ გამგეობას ს. უდეში მასწავლებელ ქალის დანიშვნის შესახებ და 500 მანეთს სკოლის ავეჯეულობის შესაძენათ. გარდა ამისა განყოფილება ს. რაბათის სკოლისათვის, რომელსაც ადგილობრივი საზოგადოება ინახავს, დახმარებასა სთხოვს 400 მანეთს, ვინაიდან ეს სკოლა ქართველ საქმეს ემსახურებაო.

◆ **საზოგადო კრება ქართვ.** საქველ მოქმედო საზოგადოებისა დანიშნულია 24 ენკენისთვეს. კრება განიხილავს საზოგადოების ანგარიშს 1915 წლისას.

◆ **ს. ბალიჯის და არშიის სახელოსნოების მოსაწყობად ქართ.** საქველ მოქმედო საზოგადოების გამგეობამ დაადგინა: წარმოდგენილი ინსტრუქტორი ქალის ქ-ნ გლურჯიძის ხარჯთ-აღრიცხვა, რომლის საერთო ჯამი უდრის 1348 მან. დამტკიცებულ და მიღებულ იქმნას.

◆ **მასწავლებლების დანიშვნა.** ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობამ დაამტკიცა ბათომის რაიონულ განყოფილების მიერ წარმოდგენილი მასწავლებელთა კანდიდატები ამ ოლქის სკოლებისა.

◆ **სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება.** ამ საზოგადოების მდივანი ბ-ნი ვ. რცხილაძე საზოგადოების საბჭოს დავალებით იყალთოში (თელავის მაზრა) იყო თავ. დ. ი. მაყაშვილთან, რომელმაც ძვირფასი მამული და კარ-მიდამო შესწირა აღნიშნულ საზოგადოებას. რცხილაძემ დაათვალიერა მამული და ძველებური 2 ქართული მარანი, რომელიც 120 საპალნე ღვინოს იტევს. ბ-ნმა რცხილაძემ გააცნო გულუხვ შემომწირველს პროექტი პროგრამისა პრაქტიკულ სამეურნეო სკოლისა, რომელიც იმ მამულში უნდა გახსნას სამეურნეო საზოგადოებამ. პროგრამა ძალიან მოსწონებია თავადს.

ბ-ნ რცხილაძეს, როგორც სამეურნეო საზოგადოების მდივანს, ცნობები შეუკრებია წრევანდელ ყურძნის მოსავლის შესახებ. ამ ცნობების მიხედვით, თელავის მაზრაში შუათანაზე ნაკლები მოსავალია და ყურძენიც დაბალი ღირსებისა არის, განსაკუთრებით გაფუჭებულია თეთრი ჯიშის ყურძენი.

◆ **ქართული საქველმოქმედო საზოგადოება** თავის განყოფილებას ხსნის რიზეში. საზოგადოების მთავარმა გამგეობამ, ბათომის განყოფილების წინადადების თანახმად, გადასწყვიტა დაარსოს ლაზისტანში ჯერჯერობით 1 სკოლა სოფ. აბუსლანში. მთავარმა გამგეობამ საზოგადოების სახელით 500 მანეთი გადასცა ტყვედ წაყვანილ ქართველ ჯარის კაცთა დასახმარებლად. ფული უკვე გაიგზავნა.

◆ **ფულის შეგროვება მცხეთობას.** ქართ. საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობამ შუამდგომლო აღძრა თბილისის გუბერნატორის ნაშე, ნება დართოს საზოგადოე გამგეობას თვის სახსართა გასაძლ რებლად 1 ღვინობისთვეს, მცხეთ მოაწყოს ყულაბებით ფულის შეგრ ვება სვეტი-ცხოვლობას.

მთავრობის დაწესებულება

◆ **ახალი საზოგადოების და** ბა. თბილისში მცხოვრებ აისორ შუამდგომლობა აღძრეს თბ. გუბერ ტორის წინაშე „აისორთა კულტურ განმანათლებელ საზოგადოების“ არსების შესახებ. მიზანი ამ საზო დოებისა: ხელი შეუწყოს აისორ ფართე საზოგადოებაში კულტურ და განათლების შეტანას. ამ მიზ მისაღწევად ეს საზოგადოება აარ სამკითხველოებს, წიგნსაცავებს, ლებს ბავშვებისათვის და მოზარდ თვის.

◆ **ბინის ქირების ფასი.** მინის თა საბჭოს დადგენილება საცხოვ ბელ ბინებზე ქირის მომატების აკ ძალვის შესახებ უმაღლესად დამტ ცებულ იქმნა. თანახმად ამ დადგე ლებისა კერძო პირთ და დაწესე ლებათ, რომელნიც აქირავებენ ს ხოვრებელ ბინებს და კუთხეს თავ მოწყობილობით, განათებით, გათ ბით და სხვ. აკრძალული აქვთ ბინებზე ფასების აწევა როგორც წ ისე ახალ მდგმურებზე გაქირავე დროს.

◆ **ხორცეულობის აკრძალ შეხახებ** თბილისის გუბერნატორი ყოველთაოდ აცხადებს, რომ შ ნაცვლის ბრძანების თანახმად ეს კარგულება კავკასიაზე არ იქნება სრულებში მოყვანილი, ვინაიდან კუთხე განსაკუთრებულ პირობ იმყოფებაო.

◆ **საგანგებო თათბირი.** 18 ე ნისთვეს მეფის ნაცვლის სამხედრო წილის თანაშემწის ინჟ. გენერ ნ. ნ. იანუშკევიჩის თავჯდომარეო დანიშნულია კრება საგანგებო თ ბირისა, რომელიც განზრახულია დმივ იქმნას არსებული. ამ მუდმ თათბირმა უპირველეს ყოვლისა ს ნლის გადატანის გეგმა უნდა შე შავოს და შემდეგ რამდენიმე სექ ზე დაიყოს, სხვათა შორის საკვე სექციაზე, რომლის სხდომებზედაც წვეულ იქმნებიან ქალაქების მოუ ვეები და რწმუნებულნი საკვებ მეებისა.

◆ **სამოსწავლო ოლქში.** ვაჟთა რველ გიმნაზიის დირექტორი ი. ღულაძე ინიშნება საოლქო ინსპექტ რად კავკ. სამოსწავლო ოლქისა, გ. ლაპატინსკის ადგილზე, რომელ სამსახურს თავს ანებებს.

ქალაქის დაწესებულება

◆ **ხოლერა.** 12 ამა თვეს დილ 8 საათზე, ქალაქის ლაზარეთში № იმყოფებოდნენ: ხოლერიანი 116 ხოლერის ნიშნებით 7 კაცი. 11 თვეს ლაზარეთში გადაიცვალა ხო რიანი 2 და გაეწერა ლაზარეთიდ 4 კაცი. იმავე დღეს ხოლერის ნიშ ბიანთაგან გაეწერა ლაზარეთიდა კაცი.

◆ **გადამდები სნეულებანი.** ამა თვეს, დილით, საქალაქო საავ მყოფოში ირიცხებოდნენ: ქუნთ შიანი 83, ხუნაგიანი 17, ყვავილი 3, მუცლიანი 15, სახადიანი 19, ს ფლიანი 143 კაცი.

◆ **ქალაქის წყალში** ბაქტერიოლოგიურის გამოკვლევით, რომელ 8 ენკენისთვეს მოხდა, არავითა ვიბრიონი არ აღმოჩენილა და წყა ხოლერის მხრივ უვნებელია.

რკინის გზებ

◆ **მოსამსახურეთა ჯილდო.** რ ნის გზის მთავარ გამგეობამ გუშინ დ პეში აცნობა ამიერ კავკასიის რკ გზის გამგეობას რომ სამხედრო დ ის გამო ფული მიეცემათ ჯილდ მთელ ამიერ კავკასიის რკინის გზ იმ გარჩევით, რომ სადგურ ალტაგე დან ბაქო სურახანის რკინის გზის ხურნი 1 ხარისხის ჯილდოს ფ მიიღებენ, ხოლო მცხეთა-სამტრედ ლიანდაგსა და დანარჩენ შტოებ მეორე ხარისხის ჯილდოს.

სომეხთა შორის

◆ **ეპისკოპოსი მესროპი,** რო ლიც ამ დღეებში ასტრახანს უ წავიდეს ახალ თანამდებობაზე, 9 თვეს გამოსამშვიდობებლად იყო ქართველთა ეგზარხოსთან, მაღალ ყოვლადუსამღვდელოეს პლატონ და მეფის ნაცვლის სამხედრო ნ ლის თანაშემწე ინფანტერიის გ რალ იანუშკევიჩთან.

◆ **ეპისკოპოს მესროპს,** რომელ ასტრახანში გადაიყვანეს, 11 ენკ თვეს, დიდის გულმტკივნეულობით მოეთხოვა სომეხთა საზოგადოება

დღეს საეპარქიო სახლში შეიკრიბნენ სომეხთა სხვა და სხვა დაწესებულების წარმომადგენელნი, ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი, გამგეობის წევრი ათაბეგოვი, არშაკ ბაბოვი, სომეხის გმირი ანდრონიკი და სხ. პირველად სიტყვა წარმოსთქვა ბ-ნმა ხატისოვმა, რომელსაც სხვებიც მიჰყვნენ და დიდხანს ილაპარაკეს. ეპისკოპოსმა მადლობა გადაუხადა შეკრებილ საზოგადოებას და ნაღვლიანად განაცხადა, რომ მე თითონ მწყენს აქედან წასვლა, საცა დავიბადე და აღვიზარდე!

◆ **სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოების** მიერ მიღებულ ცნობათა მიხედვით ვანში გამოლეულა ფქვილი, ნავთი და სხვა, პირველ საჭიროების საქონელი. ხალხი გაჭირვებას განიცდის, განსაკუთრებით გამოქცეულები.

◆ **ხურსათი გადმოხვეწილთათვის.** სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოებამ ელმუტის სადგურიდან 5 ვაგონი ფქვილი გაგზავნა ერევანსა, განჯასა, გუმბრსა და სარაყამიშში შეხიზნულ სომეხთა საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

◆ **ბ-ნი სპანდარიანი.** როგორც ამბავი მოვიდა თბილისში, ენისეის გუბერნიაში გარდაცვლილა სომეხთა ახალგაზრდა მწერალი ს. სპანდარიანი, რომელიც რამდენიმე წლის წინად გადასახლებული იყო თბილისიდან, როგორც წევრი სოც.-დემ. პარტიისა.

◆ **სომეხთა უქმის** „ბერელოცის“-ს გამო გუშინ სომეხთა გაზეთები არ გამოსულა.

სხვა და სხვა ამბები.

◆ **ერობა ამიერ-კავკასიაში.** წარსულ შაბათს, 10 ამ თვეს, საღამოს, აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში. იქ ბლომად იყვნენ ქართველები, სომხები, რუსები და სხ., დაწყებული მთავრობის დიდი მოხელეებიდან, გიმნაზიის შეგირდებამდე. დარბაზში ტევა აღარ იყო, ზოგიერთ სტუმრებს, რომელნიც შედარებით გვიან მივიდნენ, ფეხზე დგომა უხდებოდათ. ყველანი მოუთმენლად მოელოდნენ რჟევსკის გამოსვლას, რომელსაც თავისი მოხსენება უნდა წაეკითხა საერობო რეფორმების შესახებ ამიერ კავკასიაში. სრულს 8 საათზე (საღამოს) კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტმა ა. ს. ფირალოვმა გამოაცხადა, რომ ბ-ნი რჟევსკი მძიმე ავად არის და მოხსენებას დღეს ვეღარ წაიკითხავსო. კრებიდან ზოგიერთებმა სთხოვეს ბ ნ ფირალოვს, რომ მოხსენების წასაკითხად უფრო დიდი დარბაზი გამონახონ სადმე, რადგან სამეურნეო საზოგადოების დარბაზი ვერ დაიტევს ხალხს.

ბ-ნი რჟევსკი უკეთ გამხდარა და თავის მოხსენებას წაიკითხავს ხვალ, ოთხშაბათს, 14 ენკენისთვეს, საღამოს 8 საათზე, ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლის დარბაზში. კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭო მისაწვევ ბარათებს დაუგზავნის საზოგადოების წევრებს და საპატიო სტუმრებს, ხოლო მცხოვრებთაგან, ვისაც მოხსენების მოსმენა სურს, საგანგებო ბილეთი უნდა აიღოს დარბაზში შესასვლელად კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების კანცელარიაში. პრესის წარმომადგენლებისათვის დიდი მაგიდა იქნება დადგმული დარბაზში.

◆ **უპურობა თბილისში.** 11 და 12 ამა თვეს თბილისში ისევ ცოტა პური ცხვებოდა. ფურნეებს და თორნეებს დილა-ადრიან მოყოლებული მთელი დღის განმავლობაში აუარებელი ხალხი აწყდებოდა, მაგრამ ბევრნი, განსაკუთრებით ჯანსუსტი ადამიანები, სრულიად ხელცარიელნი რჩებოდნენ. ვისაც გამოჰქონდა პური, ისიც უმცხვარი, ნაკლები წონისა და გაფუჭებულ ფქვილისაგან გამომცხვარი.

◆ ქვრივი ანნა საძაგლიშვილისა ოთხი ობოლი შვილით უსახსრობისა გამო დიდ გაჭირვებას განიცდის. სთხოვს გულშემატკივართ და ქველმოქმედთ დაეხმარონ. ბინა: მატინოვის ქუჩა (ვერა) გაბაშვილის სახლი, № 6.

◆ **გადმოხვეწილთა ბედი.** როგორც ტუაპსედან ატყობინებენ ა. ი. ხატისოვს, ყუბანის ოლქის უფროსს და შავი ზღვის გუბერნიის გუბერნატორს გადაუწყვეტიათ 3 დღის განმავლობაში იქიდან განაძევონ ოსმალეთის ქვეშევრდომი ყველა ეროვნებისა და სარწმუნოების ლტოლვილნი. სომეხთა საზოგადო დაწესებულებანი შუამდგომლობენ, რომ ეს განკარგულება გაუქმდეს სომეხ ლტოლვილთა შესახებ.

◆ **თამბაქოს ქარხანა „კომეტამ“** ჯამაგირების 20—35 პროცენტი მიუმატა მუშებს. ნარდით მომუშავეებს მიუმატა 1.000 ცალი პაპიროსების გაკეთებაში ნახევარი კაპეიკი.

◆ **ბაზარი.** 10 ამა თვეს თბილისის ბაზარს შედარებით გამოცოცხლება დაეტყო. ბლომად იყო ჩამოტანილი კართოფილი, რომელიც ნიხრის კვალობაზე იყიდებოდა. აგრეთვე შინაური ფრინველები და ნანადირევიც ბლომად იყო. ცოცხალი ინდაური იყიდებოდა 2 მ. 80 კ.—3 მან., დაკლული ინდაური 2 მ. 60 კ.—3 მან., ბატი 2 მ. 40 კ.—2 მ. 60 კ., ქათამი 1 მ. 40 კ.—1 მ. 60 კ., წიწილი 1 მ. 20 კ.—1 მან. 40 კ., 10 კვერცხი 35—40 კაპ., ოსური ყველი გირვანქა 50—60 კაპ., ხილი საერთოდ ბევრია. ტყის მხალი (პანტა) გირვანქა 5 კ., ერბო საერთოდ არ არის თბილისში, ჩიჩქინს მოუვიდა ცოტაოდენი ერბო, და აუარებელი ხალხი მიაწყდა მის მაღაზიებს.

◆ **ცეცხლის გაჩენა.** სასულიერო სემინარიის ძველ შენობაში, ბ-ნ ვინოგრადოვის კერძო კულტურ-ტეხნიკურ სასწავლებელში, კვირას, 11 ამა თვეს, დილის 11 საათზე ცეცხლი გაჩნდა. ცეცხლის მქრობელი რაზმი დროზე მივიდა და ცეცხლი ჩააქრო. როგორც ამბობენ ზარალი, დიდი არ არის.

◆ **დღეს,** საღამოს, ხვალინდელ უქმის გამო აკრძალულია წარმოდგენები, პროჟექტორები და სხვა გასართობი.

◆ **საქართველოს ეგზარხოსი** გუშინ კახეთს გაემგზავრა არქ. ნაზარიოსა და დეკ. ქ. კეკელიძის თანხლებით.

◆ **საავარაკო საზოგადოების** წევრთა საერთო კრება დანიშნულია გიორგობისთვის პირველ რიცხვებში. არჩეულია საგანგებო კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს კრების მუშაობის პროგრამა. კომისიაში წევრებად შედიან: ბ-ნი პროტასიევი, თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი, ა. ი. ხატისოვი, ლიბ-მედიკა მალამა, ინჟინერი ბრაილოვსკი, ვექილი გრუზენბერგი, ინჟ. ნევრინცევი, ბ-ნი ათაბეგოვი, და სხ. მეფის ნაცვალმა, დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ, საერობო თანხიდან 30 ათასი მანეთი გადასდვა კრების საზოგადოების მოქმედების გასაფართოებლად.

◆ **ვ. ბ. პოხვისნევი,** ფოსტა-ტელეგრაფის უწყების უფროსი, გუშინ, 12 ენკენისთვეს თბილისს ჩამოვიდა.

◆ **პურის მოუსავლობა კახეთში.** გვატყობინებენ წელს ძალიან მცირე მოსავალი მოსულა პურისა კახეთში. მცხოვრებნი ეხლავე თადარიგს იჭერენ პურის სასყიდლად.

◆ **პანაშვიდი ე. ი. სარაჯიშვილისა.** კვირას 11 ენკენისთვეს დიდუბის ტაძარში გადახდილ იქმნა წირვა და შემდეგ პანაშვიდი განსვენებულ ეკ. ივ. სარაჯიშვილის სულის მოსახსენებლად, განსვენებულის ორმოცის დღის თავზე. წირვასა და პანაშვიდს დაესწრნენ ქართულ საზოგადოებათა წარმომადგენელნი, ნათესაობა და მრავალი პატივისმცემელნი მისი ხსოვნისა.

ხონი.

ადგილობრივმა მეფურნემ ი. ტაბიძემ მიიღო ერთი ვაგონი ფქვილი.

— პირველ ენკენისთვიდან აქ გაიხსნა „ქალთა შრომა“. ამ რიგად ხონის საზოგადოება დიდ ყურადღებას აქცევს ქალთა სასწავლებლებს.

— ხონის ბაზარი ძლიერ უსუფთაოდ არის, არავინ ყურადღებას არ აქცევს. საჭიროა ამ გარემოებას ოცისთავები მიაქცევდნენ ყურადღებას.

— პირველ ენკენისთვიდან ყველა სასწავლებლებში დაიწყო სწავლა.

გურია.

5 ენკენისთვეს დილის 11 საათზე კოკისპირული წვიმა დაუშვა, წვიმა გაგრძელდა 7 ენკენ. დილამდე. მდინარეები ძლიერ ადიდდა, მიმოსვლა შეფერხდა, მდინარეებმა ბევრგან ხიდები მოიტაცა.

— აქა-იქ სიმინდის მოტეხა იწყეს. ყურძნის კრეფასაც შეუდგნენ, ასეთი ნაადრევი რთველი ჯერ არავის ახსოვს...

— წითელ ბილეთიანების გაწვევამ მშვიდათ ჩაიარა.

ზემო ქართლი.

ქერნახულის მოწევა უკვე თავდება. სიმინდის მოსავალს ძლიერ უჩივიან, პურისა საშუალოზე მეტი ყოფილა.

— მახლობელი მთები ჩამოთოვა, საკმაოდ აგრილდა. საქონლის ჭირმა ცოტათი იკლო.

გომი (ქართლი).

ვექსილის პოვნა. სადგურ გომში რკინის გზის მოსამსახურე ვასილ აბუკაძემ გომში იპოვა ორი ვექსილი, თითო 500 მან. ხელმოწერილი გიორგი ედიშერიძის მიერ. აბუკაძემ ვექსილები სადგურის უფროსს გადასცა.

— 5 ენკენ. სახერხ მანქანასთან გაუფრთხილებლობის გამო გამოსროლილი მორგვი მოხვდა გლეხ ნოზაძეს, რომელიც ნახევარი საათის შემდეგ გარდაიცვალა.

ს. წვერში (გორის მაზ.)

ს. წვერში კოტე კალატოზიშვილის მეთაურობით ამ დღეებში გაიხსნება საამხანაგო მომხმარებელი დუქანი. წვერელებს გარდა ამხანაგობაში წევრებათ შედიან არადელები, სალოლაშენელებები და ბრეთელები. სასურველია ამ სოფლებიდან გასულმა ინტელიგენციამ მონაწილეობა მიიღონ და წევრებათ ჩაეწერნენ. თითო პაი 11 მანეთი ღირს.

„ისეთმა ფურმა დამიხლოს, რომელიც ჩემზე მეტს იწველის“

(ქართული ანდაზა)

(დასასრული. იხ. „საქართ.“ № 202)

ყველა ამ ჩამოთვლილ საბუთებს უგზავნი „საქართველოს“ რედაქციას *), ერთი რომ თვით რედაქციას ჰქონდეს ნამდვილი ცნობები საქართველოს ეკლესიის საკითხებზე, რაც დიდათ აინტერესებს მას და მეორე, რომ თვით რედაქციის კოლლეგიამ დასდოს მსჯავრი, რამდენად შესაბამია ბ. ძველი ავტოკეფალისტის მხრივ ჩემი პიროვნებისა და მოქმედების დახასიათება. შეიძლება ბ. ძველმა ავტოკეფალისტმა მიბრძანოს: „რაც იყავი ის აღარ ხარ, დიდი ხანია დაწვი შენი გემები და დღეს არაფერს ურიგებ საქართველოს ეკლესიას გარდა იმისა, რომ შენს მოგვარეებს იწვევ საეპისკოპოზო კათედრებზეო“. მივმართოთ ისევ საბუთებს:

1) ამ წლის მარტში მე და ჩემმა სამღვდელოებამ წარუდგინეთ საქართველოს ეგზარხოსს, რამდენადაც შევძლით, დასაბუთებული და მეცნიერულად გაშუქებული საერთო დადგენილება ავტოკეფალიის შესახებ. თუმცა დანარჩენ ქართულ ეპარქიებში ჩვენზე წინ ჰქონდათ კრებები, მაგრამ კრინტი არ დაუძრავთ ეკლესიაზე. ჩვენი დადგენილება დაისტამბა მთლიანათ გაზ. „საქართველოში“.

2) ამასთან ერთად „საქართველოს“ რედაქციას უგზავნი ახალი ეგზარხოსის სახელობაზე ჩემი მოხსენების პირს საქართველოს ეკლესიის საჭირბოროტო კითხვებზე.

3) ძმური სიყვარულით ვთხოვ ყ-დ სამღვდელო ანტონს გამოაქვეყნოს ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით, რასა ვწერდი მე მას კერძო წერილში ავტოკეფალიის შესახებ გაზაფხულზე რომ ხმები გავრცელდა მისი მეუფების გადაყვანის შესახებ ვლადიკავკავის ეპარქიაში. აგრეთვე გულსმოდგინეთ ვთხოვ პატივცემულ პ. გოთუას, გრ. დიასამიძეს და ექვთიმე თაყაიშვილს გამოაცხადონ, რა სიტყვებით მომმართა და რა დამავალა ყოფილმა ეგზარხოსმა პიტირიმმა წარსული წლის 5 ოქტომბერს კნეინა კაკო ქავჭავაძის სახლში. დეე ამაების გამოცხადების შემდეგ მკითხველმა საზოგადოებამ და პრესამ გადასწყვიტონ, ურიგებ რასმეს ქართულ ეკლესიას, თუ მართლა, მარტო ჩემი მოგვარეების ეპისკოპოსობა მაინტერესებს და სხვა არაფერი.

„ძველი ავტოკეფალისტი“ მაინც ბრძანებს: „მშიშარა და გაიძვერა რომ არ იყო, ენა მუცელში არ ჩაგივარდებოდა და ვოლჟინი რომ საქართველოში იყო, უნდა უსათუოდ მისთვის გაგეცხადებინა, რომ ქართულ ეკლესიას ესაჭიროება ავტოკეფალიაო“.

განგებ და მოსაზრებით არა ვთხოვე რა ბ. ვოლჟინს ავტოკეფალიის შესახებ, რადგანაც ვოლჟინთან და მისფერებთან ამ საქმეზე ხვეწნა-მუდარას სასულიერო პირების მხრივ მე ვთვლი დიდ შეცდომად და სასტიკ უტაქტობად შემდეგ იმ აქტისა, რომელიც ხელში უჭირავს თვითეულ ქართ. მღვდელთ-მთავარს. ეს აქტი არის უწმიდესი სინოდის ბრძანება, რომელიც სიტყვა-სიტყვით იკითხება ასე: „ბრძანებისამებრ მისის იმპერატორობის უდიდებულესობისა, უწმიდესმა და უმართებულესმა სინოდმა მოისმინეს: წინადადება ბ. უწმიდესის სინოდის ობერ-პროკურორისა, აგვისტოს 14-სა № 6541-ითა, რომელშიაც მოხსენებულია, რომ იმ შუამავლობისა გამო, რომელიც საქართველოს ეგზარხოსად ყოფილის, არქიეპისკოპოსის ნიკოლოზის საშუალებით აღძრეს ეპისკოპოსებმა: იმერეთისამ, გურია-სამეგრელოისამ, გორისა და ალავერდისამ, რომ საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალობა მინიჭებოდა. ხელმწიფე იმპერატორმა, მის, ობერ-პროკურორის, უქვეშევრდომილეს მოხსენებაზე აგვისტოს 11 დღესა, უმაღლესად ინება: გამოეცხადოს დასახელებულ ეპისკოპოსებს, რომ საკითხი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობისა გარდაეცა განსახილველად სრულიად რუსეთის მომავალ საეკლესიო კრებას“.

მოყვანილი ბრძანება მეფისა ვოლჟინისთვინაც და იმპერატორის ყველა ქვეშევრდომისთვინაც გაუტეხელი მცნებაა. ავტოკეფალიის საკითხი შეწყნარებული და მორიგ საკითხადაა დაყენებული უმაღლესი ბრძანებით და რაღა უნდა მეთხოვა ვოლჟინისთვის? ჩვენთვის საჭიროა დღეს ვოლჟინებთან ხვეწნა-მუდარა კი არა, არამედ ის, რომ ჩვენმა ერმა შეიგნოს ავტოკეფალიის საჭიროება, ქართველი ერი გაიმსჭვალოს თავისი ეკლესიის დამოუკიდებლობის მტკიცე სურვილით, ქართველობა გაერთიანდეს ამ საკითხში და წინდაწინ მოემზადოს, რომ მისი ხმა, რაც შეიძლება, მკვეთრად და შეთანხმებულად გაისმას იმ კრებაზე, რომელსაც უმაღლესად მინდობილი აქვს მისი განხილვა. ავტოკეფალია ესაჭიროება მთელ მორწმუნე ერს, ავტოკეფალია უნდა მოითხოვოს თვითეულმა ქართულმა მრევლმა, ავტოკეფალიაზე დღეს ხმა უნდა ამოიღოს ქართული ეკლესიის სამწყსომ. ქართველმა სამღვდელოებამ თავისი შესრულა, ამ ხლად ჯერი ხალხზეა მიმდგარი და სავალალოდ მიმაჩნია, რომ ამ მხრივ უმოქმედობას იჩენს საერო საზოგადოება. თუ ვისმეს უნდა გაეცხადებინა ვოლჟინისთვის ავტოკეფალიის საჭიროებაზე, უნდა გაეცხადებინათ ქართული პრესისა და საერო წოდებათა წარმომადგენლებს. აი ესაა გასაკიცხ-დასაგმობი და არა სამღვდელოების გაჩუმება აღებულ შემთხვევაში, რადგანაც სწორეთ ვოლჟინის თანამდებობის პირები ამტკიცებდნენ და ამტკიცებენ, რომ ავტოკეფალიას თხოულობს ქართველი სამღვდელოება და არა ერი, არა ქართული ეკლესიის სამწყსოო. აი ამ მოსაზრებათა გამო ვარჩიე ბ. ვოლჟინის ჩამოსვლის დროს გაჩუმება ავტოკეფალიის შესახებ და დეე საზოგადოებამ გადასწყვიტოს, რა ფასი აქვს ამ შემთხვევაში „ძველი ავტოკეფალისტის“ გამოლაშქრებას ჩემი მოღვაწეობის წინააღმდეგ.

ჩემი რწმენით „ძველი ავტოკეფალისტი“ იმდენადვეა მომხრე და მოტრფიალე ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალობისა, რამდენადაც ცნობილი ვოსტორგოვი. მას კალამი აუღია ხელში არა იმ მოსაზრებით, რომ თავისი წვლილი შეეტანა ავტოკეფალიის საკითხში. მას, როგორც წერილის შინაარსი ცხად ჰყოფს, ყელზე დასდგომია ყ-დ სამღვდელო პიროსის ეპისკოპოსობა და უილაჯობის გამო, თავისი, რომ ვეღარ გაუყვანია, გულს იფხანს ჩემი ლანძღვით, რადგანაც მახლობელი ვარ პიროსისა და **ჩუმი** „დანოსით“ პიროსზე. ივარჯიშოს ბ. „ძველმა ავტოკეფალისტმა“ მისგან შეთვისებულ ლამაზ ხელობაში, აქ მე მთლად სუსტი ვარ და უღელს ვერ გაუწევ მას. ეს კი ახსოვდეს, რომ თუ იგი გამოიჩენს მოქალაქობრივ გაბედულობას და გამოაცხადებს თავის ნამდვილ ვინაობას, თუ იგი უტყუარი საბუთებით დამიმტკიცებს, რომ ჩემზე ნაკლები არ უმოღვაწნია ავტოკეფალიის საკითხისათვის და დღესაც ჩემზე მეტად შრომობს მშობლიო ეკლესიის კეთილდღეობისათვის, ბოდიშს მოვიხდი მის წინაშე წერილობით და მოწიწებით ქუდს მოუხდი მას. წინააღმდეგ შემთხვევაში. რამდენიც და რაც უნდა ჰსწეროს დღეის იქით ჩემ შესახებ, დამცირებად ჩავთვლი მასთან რაიმე ანგარიშის გაწევას და ნაწერზე პასუხის გაცემას.

მარად ავტოკეფალისტი
ეპისკოპოსი **ლეონიდი**

1 ენკენისთვეს 1916 წ.
ქ. ფოთი.

---

*) რედაქციას მოუვიდა ყველა დასახელებული საბუთი. რედაქციის კოლლეგია საჭიროდ რაცხს აღნიშნოს, რომ მისთვის არც ეს საბუთები იყო უცნობი და არც ის უპირატესობა, რომელიც წერილის ყოვლად სამღვდელო ავტორს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის წამოყენება-დაცვაში მიუძღვის ყოვლად სამღვდელო ღირსეულ თანამებრძოლ კირიონთან ერთად.

რედ.

ნობათი

რაბინდრანათ ტაგორიდან

ნამგალა მთვარე

პაწია მოზრდილი.

პატარა ვარ, იმიტომ რომ ბავშვი ვარ. დიდი ვიქნები, როცა მეც მამაჩემის ოდენა გავხდები. როდესაც მოვა ჩემი მასწავლებელი და მეტყვის: „დაგაგვიანდა, მოიტანე შენი დაფა და წიგნები!“ მე ასე ვუპასუხებ: „ნუ თუ არ იცით, რომ უკვე დიდი ვარ? სულაც არ ვსაჭიროებ გაკვეთილებს!“

განცვიფრებული მასწავლებელი ჩაილაპარაკებს: „თუ უნდა, თავი დაანებოს სწავლას, ის უკვე მოზრდილია!“.

გამოვეწყობი ლამაზად და სავაჭროზე გავივლი, ხალხში გავერევი.

მომიახლოვდება ბიძა ჩემი და მეტყვის: „გზას დაჰკარგავ, ჩემო ბიჭიკო, მომეცი ხელი!“

მე კი ვუპასუხებ: „ნუ თუ ვერ მამჩნევ, ბიძია, რომ უკვე დიდი ვარ მამასავით? მარტოსაც შემიძლია სავაჭროზედ გავლა“.

ბიძა ჩემი ყველაფერს მიხვდება: „მართალია, შეუძლია მარტომ იაროს დამოუკიდებლად საცა უნდა, ის უკვე დიდია!“

სწორედ იმ დროს მომისწრებს დედა, როდესაც ძიძას ჯამაგირს შევაძლევ, რადგან მე უკვე მეცოდინება ყულაბის გაღება.

დედა გამიწყრება: „რას სჩადიხარ, საძაგელო ბავშვო?“ მე ვუპასუხებ: „დედა, ნუთუ ვერ მიმხვდარხარ, რომ უკვე დიდი ვარ და მე თვითონ შემიძლიან ანგარიში გავუსწორო ჩემსავე ძიძას!?“

დედა მიხვდება ყველაფერს და ჩაილაპარაკებს: „ვისაც და რამდენიც უნდა, იმას მისცემს ფულს, ის ხომ დიდია უკვე!“

ღვინობისთვის დღესასწაულებზე დაბრუნდება მამა და, დარწმუნებული, რომ ისევ პატარა ვარ, პაწია ფეხსაცმელებსა და ფარჩის ტანისამოსს მომიტანს ქალაქიდან.

მე ვეტყვი; „მამილო, დედეს მიეცი ეგენი, მე ხომ უკვე დიდი ვარ შენსავით!“

მამა ჩაფიქრდება და იტყვის: „თუ ასეა, მან თვით იყიდოს სამოსი,-ის ხომ დიდია უკვე!“

თორმეტი საათი.

დედა, მთელი დილა წიგნებს ჩავკირკიტებდი; დღეს კი ხელს აღარ მოვკიდებ არც ერთ მათგანს.

შენ ამბობ, რომ ჯერ მხოლოდ თორმეტი საათიაო. დაეუშვათ, რომ მეტი არ არის; და განა არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ უკვე ნაშუადღევია, თორმეტზე მეტიც რომ არ იყოს?

მე სულ ადვილად შემიძლიან წარმოვიდგინო, რომ აგერ გადიხარა მზე—ბრინჯის ყანის ბოლოს და მეთევზე დედაკაცი ფხალეულობას ჰკრეფს ვახშმისათვის.

მე შემიძლიან დავხუჭო თვალები და წარმოვიდგინო, რომ **მადარის** ხის ქვეშ მუქდება და მუქდება ლანდი და შავად ბზინავს ტბის წყალიც.

თუ ღამით შეიძლება იყოს თორმეტი საათი, რატომ არ შეიძლება დღის თორმეტ საათზე მობრუნდეს ღამე?

გ. მუმლაძე.

მომხმარებელი საზოგადოება „მეურნე“

კვირას, 11 ამ თვეს, გაგრძელდა საზოგადოების წევრთა საგანგებო კრება. თავმჯდომარეობდა ბ-ნი გ. რცხილაძე. კრებამ მოისმინა საგანგებო კომისიის პროექტი შესახებ სასყიდლის დანიშვნისა გამგეობის წევრთათვის. შეწყნარებულ იქმნა პროექტის პირველი მუხლი, რომელიც ამბობს, რომ გამგეობის წევრებად ისევ ხუთი კაცი დარჩეს. აგრეთვე შეწყნარებულ იქმნა პროექტის მეორე მუხლი, რომელიც ამბობს, რომ გამგეობის 1 წევრს თვით გამგეობა ნიშნავდეს საზოგადოების მაღაზიისა და სავაჭრო საქმეების ფაქტიურ გამგედ და დაენიშნოს მას, გამგეობის მიხედვით, წლიურ ჯამაგირად 1800—2400 მანეთამდე. ამ საქმისათვის გამოსადეგ კაცს თვით გამგეობა უსახელებს კანდიდატად საზოგადო კრებას ასარჩევად, ხოლო ამ უკანასკნელის საქმეა აირჩევს მას თუ არა. პროექტის მესამე მუხლი შესახებ იმისა, რომ გამგეობის დანარჩენ 4 წევრთაგან თითოს მიეცეს ხუთი მანეთი კვირაში თითო კრებაზე დასწრებისათვის, კრებამ არ შეიწყნარა და ნაცვლად 5 მანეთისა გადასწყვიტა დაუნიშნოს სამ-სამი მანეთი. პროექტის მე-4 მუხლი შესახებ იმისა, რომ გამგეობის რომელიმე წევრი, გარდა გამგისა, საზოგადოების რაიმე ტეხნიკურ საქმეს თუ შეასრულებს, ანუ რაიმე საქმისათვის სადმე გაემგზავრება, ამისათვის შესაფერისი [illegible] მისცეს გამგეობამ, შეწყნარებულ იქმნა. შემდეგ ლაპარაკი აღიძრა იმაზე, რომ სარევიზიო კომისიის წევრებსაც მიეცეთ რაიმე სასყიდელიო და კრებამ საჭიროდ სცნო თვეში თითო კრებაზე დასწრებისათვის თითო წევრს მიეცეს თვიურად 3 მანეთი. ბოლოს კრება შეუდგა გამგეობის 2 წევრის არჩევას, ნაცვლად ბ-ნ ივ. ზედგინიძისა და შ. ქარუმიძისა, რომელთაც თანამდებობა დასტოვეს. გამგეობამ კანდიდატად დაასახელა ბ-ნი ალ. დგებუაძე, რომემელიც უკანასკნელ დროს ფაქტიურად მუშაობს საზოგადოების მაღაზიაში და კარგად იცნობს, როგორც საზოგადოების სავაჭრო ოპერაციებს, აგრეთვე საერთოდ კოოპერაციის საქმეს. კრების მხრივ დასახელებული იქმნა რამდენიმე კანდიდატი. ბარათების მიცემით გამგეობის წევრებად არჩეულ იქმნენ ალ. დგებუაძე და ნ. წვერავა, კანდიდატებად ბ-ნი ჩიმაკაძე და არ. ჯაჯანაშვილი.

დასასრულ კრებამ მადლობა გამოუცხადა უსასყილო და მუყაით სამსახურისათვის ბ-ნთ ივ. ზედგინიძეს და შ. ქარუმიძეს, რომელთაც თანამდებობა დასტოვეს.

მებრძოლი სახელმწიფონი

გერმანია.

II

(გაგრძელება)

ასეთს განსაცვიფრებელს ზრდას რომ გადაჰხედავს ადამიანი, უნებურად ეკითხება თავს: ნუ თუ ბუნებრივია ყველა ეს და ზრდამ სიმწიფეს არ გაუსწროო? ჩვენ არ შევდივართ ამ საკითხის გარკვევაში, ჯერჯერობით კი ვიტყვით, რომ ყოველს დარგში ახალგაზრდა სახელმწიფომ შესძლო თამამად მიზანშეწონილ შრომის ატანა. შედარებით სხვა სახელმწიფოებთან იგი დაზღვეული გახდა მეტოქეთა მუქარებისაგან. თუ თავის საზღვრებს იქით მას არც ერთი მეგობარი არ უცინოდა, სამაგიეროდ შიგნით, ხმელეთზე ყველა მისი თაყვანისმცემელი გახდა. მისი ზრდის პროცესი ჯერ არ დასრულებულა და არც დასრულდება, ვიდრე ბატონობის კვერთხს გამოსტაცებდნენ ხელიდგან.

მაგრამ ვინ უნდა ყოფილიყო ასეთი რჩეული?

რა თქმა უნდა, ასეთს მსოფლიო სახელმწიფოთა შორის ცალცალკედ არავინ მოსჩანდა. ამიტომ დაიბადა აზრი სამს სახელმწიფოთა შორის—ინგლისსა, საფრანგეთსა და რუსეთს შუა მომხდარიყო ერთგვარი შეთანხმება, რომ ერთმანეთს დაჰხმარებოდნენ ყოველისფერში გერმანეთის როგორც გავლენის ასალაგმავად, ისე მის გაძლიერების მოსასპობად. ეს მოხდა 1880 წელს. გერმანეთმა ამის საპასუხოდ იშოვნა მომხრეები, ერთის მხრით ავსტრია და მეორეთი—იტალია. შედარებით, თქმა არ უნდა, პირველი კავშირი, ანუ, როგორც დღეს ეძახიან შეთანხმებული სახელმწიფონი გაცილებით ძლიერნი იყვნენ, ვიდრე მოკავშირენი, რომელთაც ჰბელადობდა ნორჩი სახელმწიფო გერმანეთი.

ჯერ კიდევ 1874 წელს ბისმარკმა ელზას რო გადაჰხედა, განსჭვრიტა, რომ ეს მდიდარი მხარე მომავალში ბრძოლის არენად გარდაიქცეოდა. „აი სამარადისო ბრძოლის სარტყელი“! ეს მისი ისტორიული სიტყვები დამახასიათებელია იმ მიმდინარეობისა, რომელსაც ორთავე მხარე მისცემოდა 1871 წლიდან. საფრანგეთი რევანშის იდეით იყო მთვრალი. დღიდან ახალი სახელმწიფოებრივი გამიჯვნისა მისი გონება მიჯაჭვული იყო ელზასზე. პირველი მან დაიწყო ამ მხარეებზე დიდი ციხეების აგება, თუნდა დღევანდელი სახელოვანი ციხისა—ვერდენის, ტულის, ბელფორისა, ეპინალისა თუ სხვების. თავის მხრით გერმანეთმაც ციხეებით უპასუხა და ამ სამხედრო მიზანს ანაცვალა უთუოდ, რომ დიდად მომრეწავი ისეთი ქალაქი, როგორიც იყო და არის დღეს პირველ ხარისხოვან ციხედ მიჩნეული სტრასბურგი, მეცი, ანუ მიულჰაუზენი, ეს „წისქვილების სოფელი“, რომელიც სხვა დროს და სხვა პირობებში, უთუოდ ცენტრი უნდა ყოფილიყო ბამბეულობის მრეწველობისა. ამ ნაირად, ელზას-ლოტარინგია ერთის მხრითაც და მეორეს მხრითაც სარევანშო სამზადისის გამო სამხედრო ბანაკადაა ქცეული, რკინა და ბეტონი, ზარბაზნის გამოყოფილი ტუჩნი და ციხე-სანგართა სახურავნი,—დიდი ხანია რისხვას და ომის ღმერთის გაწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყრომას ელოდნენ. მარტო ის, რაც საფრანგეთმა უკანასკნელ 35 წლის განმავლობაში დახარჯა როგორც იარაღის გასაუმჯობესებლად და შეთანხმებულ სახელმწიფოთა სიმპატიის შესანახველად, ამის გარდა, სამხედრო ბეგარის პირობების შეცვლა, რითაც საფრანგეთის არმია უკანასკნელი 40% მაინც გაიზარდა, თავისთავად ჰგულისხმობს რა პლატონიური დასკვნაა დიპლომატთა რწმუნება, ვითომც ომი მოულოდნელი იყო, ვითომც მარტო გერმანეთი იყო მის სამზადისში და სხვა არავინაო! არა, ომის მოლოდინი ყველას ჰქონდა, საკვირველი მხოლოდ ის იყო, რომ ომს ელოდნენ და ომის გამოცხადება კი გაიკვირვეს, გაიკვირვეს იმ ულტიმატუმის გამოქვეყნება, რომელიც გერმანეთმა 40 წელზე მეტია, რაც ევროპას წამოუყენა, როგორც ეკონომიურს ნიადაგზე, ისე პოლიტიკურსა და სამეცნიერო სფეროში. უპირატესობა გერმანეთისა იმაში მდგომარეობდა, რომ ხმლის ამოღებამდე უხმლოდაც კარგად მოასწრო ისეთი ცენტრების დაპყრობა, როგორიც ერთის მხრით პარიზია და მეორე მხრით ლონდონი. თუ უნივერსიტეტები, ლაბორატორიები გერმანელ ქარხნის მასალებით იყო სავსე, სამაგიეროდ ბაზარზე გერმანელ საქონელს ვხედავთ. მაშასადამე, საჭირო იყო მხოლოდ ამ დაპყრობის ფაქტიური დასაბუთება, ეს ის დასაბუთება, რომელიც ხმლის წვერით იბეჭდება ხოლმე. მიზეზს ეძებდნენ და ასეთი მიზეზიც მალე იჩენს თავს: 15 ივლისს, 1914 წელს, მოხდება ერც-ჰერცოგ ფერდინანდის მკვლელობა და ერთი თვის შემდეგ, 15 ივლისს პირველი თოფიც გავარდება...

De-Ka.

(შემდეგი იქნება)

მკითხველის შენიშვნა

„საქართველოს“ მე 191 ნომერში მოთავსებულ წერილში პატივცემული მოგზაური ბ. Legatus, სხვათა შორის ეხება წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლას. მე როგორც ერთი ახლო და დიდი ხნიდან ამ სკოლის ვითარების მცოდნე სავსებით ვეთანხმები, რომ სკოლას პატრონი სჭირია, თორემ მისი საქმე დღითი-დღე უკან მიდის. როგორც ვიცით, ამ სკოლას 35 წლის განმავლობაში თავს დასტრიალებს ღრმად პატივცემული, სკოლისავე სულის ჩამდგმელი ბ-ნი ილია ივანეს ძე წინამძღვრიშვილი, მხცოვანი მოღვაწე... ყველაფერს საზღვარი აქვს, დაუშრეტელი ენერგიაც მოხუცების გამო დაიშრიტა და ამის გამო ბ-ნ ილია ივანეს ძეს გული უკვდება, მაგრამ ძველებური სიჭაბუკით სკოლის პატრონობა აღარ შეუძლია. სკოლას კი მიმხედავი ეჭირვება. ნუ დავივიწყებთ, რომ იქ 160 მოწაფე სწავლობს საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან. თავად-აზნაურობა სკოლას ყოველ წლიურად ხუთას თუმანს აძლევს, ამიტომ უფლებაც აქვს და უპრიანიც იქნება სკოლას ან თვით მიეპატრონოს, ან მისი მოვლა გადასცეს ქართულ სამეურნეო საზოგადოებას, ან წერა-კითხვისას. ეს ძლიერ მწვავე საკითხია და ის ამდენ ხანს საჭიროებდა გადაჭრას. ყოველივე დაყოვნება საქმის ღალატია...

ბ-ნი Legatus თავის წერილში აღნიშნავს, რომ თითქოს სკოლის გამგეებს თვით დიდი ქონება შეეძინოთ და სკოლა კი გაეცარცვოთ (სხვა დასკვნის გამოტანა არ შეიძლება). ამაში კი არ შემიძლია დავეთანხმო პატივცემულ მოგზაურს. ეს უდიდესი შეურაცხყოფაა იმ პირების, რომელთაც ჩვენი საზოგადოება უანგარო პირებად იცნობს და რომელთაც სკოლის კეთილ-დღეობისათვის არაფერი დაუზოგავთ და მაინც ვერას გახდნენ. ეგ მთლად მათი ბრალი არ არის, არამედ საერთო ანარქიის.

ძველი მოწაფე.

ყაჩაღების შეპყრობა

ამ ომიანობის მიზეზით ათას ნაირ მძარცვავ-მყვლეფავებს გარდა, ჩვენს, ისედაც გაჭირვებულს ზემო ქართლის მკვიდრთ, ჭერათხევში მოევლინა ყაჩაღთა ბრბო გაგლოშვილები და შეგელური (ოსებია), ზაქარია სამხარაძის მეთაურობით. ეს გაგლოშვილები და შედელური კარგა ხანია დათარეშობდნენ ჭერათხევში. ამას წინედ, ამათვე მოჰკლეს ერთი მეწისქვილე და წაართვეს ოცი თუმანი ფული. ესენივე ხვდებოდნენ მგზავრებს, ატიტვლებდნენ და საცვლების ამარა უშვებდნენ, ერთი სიტყვით, მგზავრი ხალხი ისეთ გაჭირვებაში ჩააგდეს, რომ გავლა-გამოვლა ვეღარ შესძლეს და დიდს საგონებელში ჩავარდნენ. ამ დღეებში გაატიტვლეს ერთი გლეხი ივანე გელაშვილი და სანამ არ დაღამდა სახლში ვეღარ გაბედა სირცხვილით მისვლა. სახლის უფროსმაც ყველაფერი ეს აცნობა ს. ალის საზოგადოების მამასახლისს სპირიდონ მაჭარაშვილს, რომელმაც მაშინვე ბოქაულს ეს ამბავი აცნობა, რომ მოშველებოდა, მაგრამ ბოქაულმა „მოუცლელობის“ გამო ყურადღება არ მიაქცია. თვითონ მამასახლისი მაჭარაშვილი იმ ღამესვე წავიდა თავისი ორი ჩაფრით. მისულიყო ერთს გლეხისას ს. ჩორჩანაში ზაქარია სამხარაძესთან, რომელსაც აბრალებდნენ რომ ასმევს, აჭმევს, ბინასაც აძლევს და გასაცარცვავებზედაც უთითებსო. ზაქარია სამხარაძე მამასახლისმა დაატუსაღა, მაგრამ მიუხედავად ბევრი რეპრესიების მიღებისა, მაინც არ გამოტყდა. მაჭარაშვილმა მამასახლი მა გაიგდო წინ და წაიყოლა შუაღამისას ტყეში იქ, სადაც ამ სამხარაძის ყავრის სახდელი ქოხი ეგულებოდა, რომ იქნებ იქ იყვნენო, ეჭვები არ გამტყუნდა, მართლაც ისინი იქ ყოფილიყვნენ. ყაჩაღთა მხრივ მცველს რომ გაეგო, დიდი ხმაურობა ჰგონებოდა, რომ დიდძალი ჯარი დაესხათ თავსაო. როგორც გამოირკვა პატრონებიც გამოლეული ჰქონებოდათ და მალე დამორჩილებოდნენ. მამასახლისმა დაიჭირა სულ ყველანი. მოიყვანა თავიანთ სოფელში, ყველანი გამოტყდნენ, სახლები დაუჩხრიკეს და რაც განაცარცვი ჰქონდათ ყველა თავ-თავის პატრონებს ჩააბარეს. ხალხი დიდ სიხარულს მიეცა, რომ თავისუფლად ამოისუნთქეს, მამასახლისს დიდ მადლობას უძღვნიან. დაჭერილებიც გორის სატუსაღოში სხედან.

ზემოქართლელი.

სამეგრელოდან

სავალალო და სამწუხაროა ოდესღაც სწავლა-განათლებისკენ მავალი სამეგრელოს დღევანდელი სურათი.

დღიდან ომის დაწყებისა არა ერთხელ აღნიშნულა ჩვენს პრესაში ამ კუთხის უმწეო მდგომარეობა. მე მოგახსენებთ არა უმუშევრობაზე და აქედან წარმომდგარ გაჭირვებაზე, არა იმ მოუსავლობა-შიმშილობაზე, რომელიც აგერ ორი წელიწადია მძვინვარებს სამეგრელოში, არა ამ ომით გამოწვეულ ზღაპრულ სიძვირეზე და ხალხის ეკონომიურ გაძვალტყავებაზე, არამედ იმ ცარცვა-გლეჯაზე, რომელიც ყველა ზემო მოხსენებულ პირობებზე უფრო სასტიკი ასატანი ხდება მკვიდრთათვის. ადამიანს მათი თავ-გასული თარეშისა გამო ვეღარ ჩაუტანია ქალაქში რამე გასაყიდათ, ვეღარ წასულა სადმე სამუშაოდ, ვერც გაუბედნია ერთი ადგილიდან მეორემდის გამგზავრება, ვეღარ წამოუყვანია ბავში სკოლაში. თუ ვინმემ გამოიჩინა რაინდობა და გადასდგა ნაბიჯი, ყოველი ლანდის დანახვაზე შიშით გული უნდა უკვდებოდეს და ყოველ ჩირგვიდან თუ ბუჩქიდან უნდა მოელოდეს დამცემს, რომელიც უკანასკნელ ტანისამოსსაც გახდის. ხშირად ყოფილა ამ უკანასკნელ ხანებში ისეთი შემთხვევა, რომ პოზიციებისკენ მიმავალ ჯარის კაცებისათვის ყოველისფერი წაურთმევიათ, თითქმის სარტყელიცა და რკინის გზებზე უფასოდ წასასვლელი ბილეთები!

ამას წინად ზუგდიდიდან სენაკს მომავალ დილიჟანზე მჯდომ მოწაფისათვის წაურთმევიათ უკანასკნელი გროში. ჩანს ამ ხელობისათვის თითქმის იმათაც კი მოუკიდნიათ ხელი, ვისაც კი შეუძლია წამოიძახოს: „შეჩერდით! ხელები ზევით“. და რადგანაც წინააღმდეგობის გამწევი არავინაა, ისინიც თავისუფლად განაგრძობენ თავიანთ საქმეს.

ამასწინად გაზეთებში წერილები იყო მოთავსებული, რომელიც საზოგადოებას მოუწოდებდა მჭიდროდ შეკავშირებულიყვნენ და თვითვე გასძღოლოდნენ ამ ბოროტმოქმედების მოსასპობ საშუალებას. მაგრამ ამავე წინადადებით ვეღარ მივმართავთ დღეს იმავე საზოგადოებას, ვინაიდან ასეთი საქმის გამძღოლი საზოგადოების შემადგენელი ელემენტები ბრძოლის ველისკენ მიემგზავრებიან. და ცხადია დღეს შინ დარჩენილი დედაკაცები და ბებრები ვეღარ შესძლებენ ამ საქმის გაძღოლას და საამისო უნარი არც კი შესწევთ მათ. ამ შემთხვევაში საჭიროა უფრო ფართედ დაყენება ამ საკითხისა მთავრობის მიერ და უფრო ენერგიული ზომების მიღება, რომ რაც შეიძლება საჩქაროთ მოეღოს ბოლო ამ ბოროტმოქმედებას და ამით ხელი შეუწყოთ ვიხსნათ ხალხი ეკონომიური დაუძლურებისაგან, თორემ ხალხს მათის შიშით ვერ გაუბედნია დოვლათის შეძენა, ფულის შოვნა და საქირაოზე წასვლა.

ნარდონი.

წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულს გაზეთში ამ ჩემს წერილს:

პასუხი ბ-ნ გიკალს.

წავიკითხე-რა ბ-ნ გიკალის წერილი „საქართველოს“ № 189-ში, რომლითაც ბატონ გიკალს სულითა და გულითა სურს ჩემი დამცირება და ამისთვის არა ზოგავს სიცრუის მასალას, ვაუწყებ პატივცემულს მკითხველთ, რომ გიკალის წერილი თავიდგან ბოლომდის სიმართლეს მოკლებულია. 1) არას დროს ჩემს ეკლესიაში მრევლს რუსულ ენაზედ ლოცვა არ მოუსმენია. 2) მე ვოსტორგოვთან არავითარი დამოკიდებულება არც მქონია და არც მაქვს. წერილში მოყვანილი სიტყვები შესახებ ქართული წირვა-ლოცვის ამოფხვრისა, ჩემი ნათქვამი არ არის, და უსათუოდ ბატონმა გიკალმა ან სიზმარში გაიგონა, ან ზეპირ გადმოცემული ჭორით იხელმძღვანელა.

არავითარი კიცხვა ქართული ენის შესახებ ჩემს ბაგეთ არ წარმოუთქვამს და ყველა ის, რაც წერილში მოყვანილია, მტკნარი სიცრუეა. მართალი მთელ წერილში მხოლოდ ის არის, რომ ჩვენ სოფელში ბევრი გაჩნდა ის ცხოველები, რომელთა მოსაგერებლად ბატონი გიკალი მირჩევს დიდი ჯოხით ვიარო.

არ შემიძლიან მივიღო მისი რჩევა, რადგან ორ-ფეხა ცხოველთ ჯოხით არ იგერებენ და მე, როგორც მღვდელს, არ შემფერის მათზედ ჯოხის მოხმარება, თუმცა ბევრი კია ჯოხის ღირსი. მიუტევე, უფალო, უგუნურთა, რამეთუ არა უწყიან, რასა იქმიან.

ნეტა, ბ. გიკალი სწერს თავის ნახულს თუ ნაამბობს? თუ ნაამბობს ძალიან სცდება, რადგან ვიდრე კაცმა დარწმუნებით არ იცოდეს, სხვას ყური არ უნდა უგდოს.

მღ. ი. თუშმალიშვი.

ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ თქვენი პატივცემულ გაზეთ „საქართველოს“ საშუალებით აუწყოთ პატივცემულ საზოგადოებას ის, რომ 24 ივლისს, ს. საგარეჯოში საფეიქრო სკოლის სასარგებლოთ გავმართე სეირნობა, საიდანაც ავიღე წმინდა შემოსავალი 145 მან. ამავე სეირნობაზედ შემოსწირეს ფულათ ქალბ. პარისა კონსტანტინეს ასულ ქურდოვანიძისამ 25 მან. ბ. ალექსანდრე ივანეს ძე ლომსაძემ 20 მანეთი. ბ. გიორგი არჩილის ძე ჩხინაძემ 5 მან. ბ. მიხეილ დიმიტრის ძე დაფქვიაშვილმა 10 მან. რომელთაც უგულითადეს მადლობას ვწირამ. ამასთან გულითადს მადლობას უძღვნი ქალ. დარია ივანეს ასულ მაისურაძეს, რომელიც თავგანწირვით მეხმარებოდა სეირნობაზედ და თვით სასეირნოდ ბალიც მანვე დამითმო. აგრეთვე დიდი მადლობის ღირსნი ბძანდებიან: კონსტანტინე ალექსის ძე ლომაური, ქალბატონი ქეთო ბედიაშვილის ასული და პარუჩიკი ანტონ ქურხული, რომელთაც ერთი წუთითაც კი არ დასტოვეს სეირნობაზედ მხნე მუშაობა გამართულ „ბუფეტში“. შემოწირულებით შემოსავალი იყო სეირნობაზედ სულ 205 მანეთი, რომელიც გადავეცი ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების გამგეობას, რადგან მათს მფარველობის ქვეშ იმყოფება ს. საგარეჯოს საფეიქრო სკოლა.

პატივისცემით ს. საგარეჯოს სკოლის ინსტრუქტორი ანნა კაპანაძე.

შემოწირულება

გაზ. „საქართველოს“ რედაქციას.

გულით ვიზიარებთ დიდ საჭიროებას ქართველ მოღვაწეთათვის აგარაკის აგებას და ამ მიზნისათვის გაახლებთ ჩვენ წვლილს ზოგიერთი არტანელი ქართველები. გთხოვთ აღნიშნოთ შემომწირველთა სია: ინჟინერი ა. ქ. ჯ—ძე—20 მან. ნ. ი. პ—შვილი —20 მან. ტ. კ—ლი—10 მან. გ. ს.— 10 მან. სულ 60 მან. წვლილის გამღებთა მონდობილობით

გ. სალარიძე.

სპორტი

(ფრანგული ჭიდაობა)

10 ენკენისთვეს, გაიმართა ბენეფისი გამოჩენილ ინდოელ ფალავანის **საიდ კრახუტასი**. ამ დღეს კრახუტა პირველად შეხვდა კარგად ცნობილ ფალავანს „შავ ნიღაბს“. ჭიდაობა გამოცხადდა დროის განუსაზღვრელად. ან ერთი უნდა წაქცეულიყო, ან მეორე. კრახუტას წაქცევა ბენეფიციანტის დამარცხებას მოასწავებდა, ხოლო მოპირდაპირეს ნიღაბს ახდიდნენ, სწორეთ ამან მიიზიდა აუარებელი მაყურებელი. ხალხი მოუთმენლად ელოდებოდა „შავი ნიღაბის“ დამარცხებას და კრახუტას, როგორც მობენეფისეს გამარჯვებას, მაგრამ მოხდა ის, რასაც არ მოელოდნენ. სწრაფი ფალავანი „შავი ნიღაბი“, ვით გაბრაზებული ლომი, ეკვეთა მოპირდაპირეს და ხალიჩას მიაკრა **გიორგი ლურიხის** წაქცევად გამოცხადებული მობენეფისე საიდ კრახუტა. ამ რიგად გამოჩენილი ინდოელი ფალავანი თავის ბენეფისზე იმით გაგვიმასპინძლდა, რომ თავის თავი წაქცეული გვიჩვენა. ეს ახალი ამბავი არ იყო, კრახუტა გვინახავს ორჯერ ბულისაგან, ორჯერ **ზაიკინისაგან** წაქცეული. თუ ეს ბენეფისია, ასეთი ბენეფისის გამართვა ი. ლებშსაც შეუძლია.

მეორე წყვილი.

გამოჩენილი „მსოფლიო ფალავანი“ დაჯილდოებული მრავალ მედლებით და „საპატიო შარფით“, „ფალავანთა პრემიერად“ გამოცხადებული მოსკოვის და პეტროგრადის სპორტთა რედაქციების მიერ **კლემენტი ბული**, პირველად შეხვდა ახლად ჩამოსულ ფინელ ფალავანს **კარლ კოზინგს**. ახლად ჩამოსული ფალავანი ლამაზად ჭიდაობს, ეტყობა სიმარდე, ხოლო „მუსკულები“ ნაკლებად აქვს განვითარებული, ვარჯიშობაც აკლია, რაც აიხსნება იმით, რომ ჭიდაობის დროს ძალიან მალე იღლება და სუნთქვა უმძიმდება (ეს მოჭიდავესთვის უდიდესი ნაკლია). რამოდენიმე წუთის ჭიდაობის შემდეგ კარლ კოზინგმა ხელი იღრძო, რის გამოც ჭიდაობა უშედეგოდ შესწყდა.

მესამე წყვილი.

რუსეთის-სახელ-განთქმულს ფალავანს, გამოჩენილ სპორტსმენს, ავიატორს და პილოტს **ი. ზაიკინს** დაეჭიდა ცნობილი ფრანგულ ჭიდაობის ტეხნიკი, „ფანდების კაროლი“ **პ. ზაგარუიკო.** იჭიდავეს მეტის-მეტად ლამაზად, მოხდენილად, მრავალი თვალ-წარმტაცი ხერხი უჩვენეს საზოგადოებას. დიდს ხანს გაუძლო მარდმა მოჭიდავემ ზაგარუიკომ ი. ზაიკინის რკინისებურ და მძლავრ მკლავებს, ბოლოს ზაიკინმა tour de tete ს საწინააღმდეგო ხერხით წააქცია ზაგარუიკო. ხალხმა ორივე ტაშით დააჯილდოვა. ზაიკინს ძლიერ მოეწონა მოპირდაპირის სიმარდე და ჭიდაობის შემდეგ გადაკოცნეს ერთმანეთი.

მეოთხე წყვილი.

გამოჩენილ ბელგიელ ფალავანს **ჟორჟ დაზეს** დაეჭიდა პოლონელი მსუბუქ ტანის პატრონი მოჭიდავე **ზნოსკო**. ჭიდაობას არა უშავდა-რა. ექვს წუთში ჟ. დაზემ წააქცია ზნოსკო.

გენო

რედაქტორ-გამომცემელი
ხანდრო ზანზიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია ტფილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისაკენ	საფ.	№ 3,	11.03	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	10.33	სად.
ბორჯომის	სამგზ.	№ 17,	8.27	დილ.
„	სამგზ.	№ 19,	3.19	დღ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	11.13	დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54	დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28	სად.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-3,	11.13	სად.
თელავისაკენ		№ 4,	7 „ 58	„ დილ.

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	9.52	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38	სად.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.43	დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12	სად.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08	დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12	სად.
„	ჩქარ.	№ 5,	8.48	სად.
თელავიდან		№ 3, .	7 „ 58	„ სად.

ქ. ბაქოში
ღვინით ვაჭრობა
„მელაანი“
თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.
აშოვება საუკეთესო კახური ღვინოები
(112—წ.)

სავაჭრო სახლი
„ძმ. სესიევები და ამხ.“
(ვაგზლის ქ. № 6)
ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ პირველ ივნისიდან ამა 1916 წ. თავის საწყობში წვრილად გაიყიდება
ნამდვილი კახური საკუთარი ვენახების ღვინო

თუ გსურთ,
რემინგტონზე რისამე დაბეჭდვა,
რემინგტ. სწავლა ამერიკ. წესით,
საქმის ქაღალდის დაწერა,
თხოვნების შედგენა,
საქმის და თხოვნის წარმოება,
ცნობების შეკრება,
მოსამსახურის შოვნა,
საქომისიო მინდობილობა,
ბინის გაქირავება,
ბინის შოვნა,
მამულის სყიდვა,
მამულის გასყიდვა,
მამულის დაგირავება,
მამულის იჯარით გაცემა და სხვ.

მიმართეთ
ცნობის კონტორას
ი. თ. გვათუასას
თბილისი, ვერის დაღმართი,
სახლი მელიქ აზარიანისა № 1
შუამავლობას ეს კონტორა
გასწევს როგორც ქალაქელთა
ისე ქალაქ გარეშელთათვის.
ყველა საქმეს კონტორა სწრაფად
და პირნათლად ასრულებს.
◆ ხელმისაწვდენ ფასებში ◆
მისამართი პროვინციელთათვის: Тифлисъ, Верійск. спускъ И. Т. Гватуа, Справочная контора

მანგლისის გზაზე, თბილისიდან 23—25 ვერსის მანძილზე,
იყიდება 300 დესეტინამდე
რცხილის ტყე მოსაჭრელად და სანახშირედ.
იმავე მამულში ეძებენ
მერძეობის, მეურნეობის მცოდნე მოზიარეს,
რომელსაც უნდა ჰყავდეს ასამდე მეწველი ძროხა.
დაწვრილებით ცნობების შეტყობა შეიძლება მამულაიშვილის ფართლეულობის მაღაზიაში, სომხის ბაზარი, მანთაშევის ქარვასლა № 20—22.
(10—224—9)

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
კომერციულ ცოდნათა
კურსები
ტ. მ. ფილოიანისა
ორივე სქესისთვის
(თბილისი, მიხეილის პროსპ., № 24, ტელ. № 976)
თხოვნები მიიღება: 4—5 საათ. საღამოთი. მეცადინეობა დაიწყება 15 სექტემბერს. პროგრამები და წესდებანი მსურველთ გაეგზავნებათ, ან მიეცემათ უსასყიდლოთ კურსების კანცელარიაში.
(20—231—14)

გამოვიდა და იყიდება
კ. ოცხელის და ამხ. წიგნის მაღაზიაში
(ქუთაისში)
რუსული ენის პირველ დაწყებითი სახელმძღვანელო „Новое Слово“ ნაწ. I, მეორე გამოცემა. უხვად დასურათებული, შედგენილი ს. ოცხელის მიერ. ფ. ყდით 2 აბაზი.
ამ წიგნის პირველ გამოცემას თითქმის ყველა ქართული პერიოდული გამოცემა (გარდა ჟურნ. „განათლებისა“) თანაგრძნობით შეხვდა.
პრაქტიკის მქონი მასწავლებლები გამოცდილების შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ „Новое Сслово“-თ სწავლებით მოწაფეები არაჩვეულებრივი ხალისით და წარმატებით ითვისებენ რუსულ ენას.
სასწავლო ოლქმა თანახმად მზრუნველის რჩევის დადგენილებისა ავტორს აცნობა ოლქის რეცენზენტის აზრი, სადაც სხვათა შორის ნათქვამია: Способъ разучиванія матеріала, предложенный составителемъ „Новаго слова“ имѣетъ несомнѣнныя достоинства. и умѣлое пользованіе имъ значительно оживитъ преподаваніе, а равно и усвоеніе дѣтьми русскаго языка... „Новое слово“ можетъ быть признано вполнѣ подходящимъ руководствомъ для грузинскихъ народнихъ школъ“.
(თ.—225—9)

ქ. თბილისში, ოლღას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა და წიგ. მაღაზია
„განათლება“-ში
იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.
პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „საქართველო“, „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „სახალხო ფურცელი“, „ზვირთი“, ჟურნ. „განათლება“ კავკაზსკოე სლოვო „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“.
ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Тавартквиладзе.
ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Тавартквиладзе.

თევზის მრეწველნი
ძმ. მეგვინეთები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „დ. მაილოვის-ძმით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მეშიმბი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან

სტამბა „ცხოვრება“ კალანდაძისა, გაზეთის შესახვევი № 4.